63/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

178/3

საბჭოთა სამართალი

53

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამოსაცემლად

1963 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს.»

«...ბოლშევიზმი 1903 წელს წარმოიშვა მარქსიზმის თეორიის უაღრესად მტკიცე ბაზაზე.»

(ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 9, 10)

«პარტია გონება, ღირსება და სინდისია ჩვენი ეპოქისა, საბჭოთა ხალხისა, რომელიც დიად რევოლუციურ გარდაქმნებს ახორციელებს. იგი ფხიზლად აკვირდება მომავალს, უსახავს ხალხს წინსვლის მეცნიერულად დასაბუთებულ გზებს. უღვიძებს მასებს გიგანტურ ენერგიას, მიუძღვის მათ გრანდიოზული ამოცანების გადასაჭრელად.»

(სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამიდან)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საბჭოთა სამართალი

№ 4

ივლისი—აგვისტო

1963 წელი

გამოცემის X წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ორთვიური ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ნომრიდან ნომრამდე 3

მ. ჯინჭველაშვილი — რსდმპ მეორე ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა . . . 6

დ. ჯიბლაძე — ლენინური პარტიის მებრძოლი რაზმი 15

შ. რჩეულიშვილი — მარქსისა და ენგელსის ერთი დებულების გაგებისათვის . . . 24

ხ. როგავა — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ორგანიზატორია 30

ა. ხოჭოლავა — საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების უფლების საზღვრები . 39

ა. შუშანაშვილი — სისხლის სამართლის საქმეთა სამსჯავრო განხილვის აღმზრდელობითი მნიშვნელობა 49

წინადადებანი ახალი კანონმდებლობისათვის

ბ. ბარამია — სისხლის აღების საქმეებზე შემარიგებლური კომისიების შექმნისათვის 57

ა. ულენტი — სწორად შევახამოთ დასჯითი და აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებანი 61

მ. ნიკოლაიშვილი—მოქალაქეთა წლოვანების დადგენის ზოგიერთი საკითხის შესახებ 65

ოფიციალური მასალა 69

ვ. ლაფერაშვილი — მაიაკოვსკი — მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი პოეტი 78

ინფორმაცია 82

9146

ს. ფ. ბარამიძის სახ. სსრ საჯ. ბიბლიოთეკა
უნიკალური ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

М. ДЖИНЧВЕЛАШВИЛИ — Историческое значение II съезда РСДРП . . . 6
Д. ДЖИБЛАДЗЕ — Боевой отряд ленинской партии 15
Ш. РЧЕУЛИШВИЛИ — К пониманию одного положения Маркса и Энгельса 24
Х. РОГАВА — Советское социалистическое государство — организатор создания материально-технической базы коммунизма 30
А. ХОЧОЛАВА — Пределы права личной собственности на жилой дом 39
А. ШУШАНАШВИЛИ — Воспитательное значение судебного рассмотрения уголовных дел 49

ПРЕДЛОЖЕНИЯ К НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

Б. БАРАМИЯ — К созданию примирительных комиссий по делам кровной мести 57
А. ЖГЕНТИ — Правильно совмещать меры наказания с мерами воспитательного характера 61
М. НИКОЛАИШВИЛИ — О некоторых вопросах установления возраста граждан 65
ОФИЦИАЛЬНЫЙ МАТЕРИАЛ 69
В. ЛАПЕРАШВИЛИ — Маяковский — борец за мир и демократию 78
ИНФОРМАЦИЯ 82

შეკვ. № 2379
ტირაჟი 6.000
უე 12210

სარედაქციო კოლეგია:
ო. კაციტაძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, პ. ბერძენიშვილი, ი. დოლიძე, გ. ინწკირველი, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—3-09-62

გადაეცა წარმოებას 24/X-63 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/XI-63 წ. ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Тип. № 1, Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ᲠᲘᲡᲘᲛᲠᲘᲕᲘᲡᲐᲜ

□ 2 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ.

ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ:

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ;

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ Ვ. Პ. ᲛᲧᲐᲕᲐᲜᲐᲫᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲙᲐᲛᲐᲗᲨᲘ ᲒᲔᲕᲠᲘ ᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ.

ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲡᲣᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲘᲬᲝᲜᲔᲑᲔᲜ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ, ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ, ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲝᲛᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲔᲓᲒᲝᲛᲘ ᲨᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲦᲠᲣᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲜᲘ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲬᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲐᲚᲬᲠᲓᲐᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲫᲛᲔᲓᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲐᲛᲮ. Დ. Ს. ᲖᲔᲛᲚᲘᲐᲜᲚᲐᲙᲘ.

ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ — ᲛᲝᲬᲕᲘᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ 1963 ᲬᲚᲘᲡ 24 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ.

ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Ა. Გ. ᲔᲒᲝᲠᲝᲕᲘ, ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲙᲘ Ვ. Ვ. ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲔᲕᲘ.

□ 3-5 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ Ა. Თ. ᲒᲝᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ Ვ. Ი. ᲢᲔᲠᲔᲖᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲛᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲬᲚᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ.

ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲛᲐ ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ Გ. Ზ. ᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ Ა. Ნ. ᲛᲘᲨᲣᲢᲘᲜᲘᲡ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ Ი. Დ. ᲘᲐᲙᲘᲛᲔᲜᲙᲝᲡ, Დ. Პ. ᲢᲔᲠᲔᲮᲝᲕᲘᲡ, Პ. Ი. ᲢᲠᲣᲑᲜᲘᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲠᲓᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ, ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲗᲐ, ᲒᲐᲜᲩᲘᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ �გᲐᲛᲝ.

ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘ Რ. Ა. ᲠᲣᲓᲔᲜᲙᲝ, ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲝ, ᲡᲐᲝᲚᲥᲝ, ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲔᲑᲘ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ.

□ 9 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ.

ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ „ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ“ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲛᲐ, Რ. Ი. ᲤᲠᲣᲘᲫᲔ.

ᲠᲘᲡᲘᲛᲠᲘᲕᲘᲡᲐᲜ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲠᲘᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ: საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის პირველი მდივანი **ვ. ნინოშვილი**, კომკავშირის თბილისის საქალაქო კოშიტეტის პირველი მდივანი **ს. ხაბეიშვილი**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ნ. ბერძენიშვილი** და სხვები.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში აქტივის კრებამ მხურვალედ მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი და მიიღო ისინი განუხრელად სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

აქტივის კრების მუშაობაში მოხაᲬილეობა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილემ **ო. დ. გოცირიძემ**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გ. დ. ჯავახიშვილმა**, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **დ. ს. ზემლიანსკიმ**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელმა მუშაკმა **ვ. ვ. ვასილიევმა**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვ. მ. სირაძემ**, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტიულ ორგანოების განყოფილების გამგემ **ი. გ. რთველიაშვილმა**.

□ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულება „მოქალაქეთა მიერ არაშრომითი შემოსავლით აშენებულ ან შეძენილი სახლების, აგარაკებისა და სხვა ნაგებობათა უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ“. მოისმინეს საქართველოს სსრ პროკურორის პ. ე. ბერძენიშვილის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ს. ი. ქაჯაიას მოხსენებები და შედეგები შემოწმებისა, რომელიც პრეზიდიუმმა მოაწყო და რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა მუდმივი კომისიის წევრებმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შტატგარეშე კონსულტანტებმა და სხვ.

□ 14 ივლისს პრესაში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ღია წერილი საბჭოთა კავშირის პარტიულ ორგანიზაციებისადმი, ყველა კომუნისტისადმი, სადაც ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიცია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებში ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის 14 ივნისის წერილთან დაკავშირებით.

□ რესპუბლიკის საზოგადოებრიობამ დიდი სიყვარულით, უდიდესი პატივისცემით აღნიშნა საბჭოთა პოეზიის სიამაყის ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 70 წლისთავი.

□ 5 ივლისიდან 20 ივლისამდე მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციათა შეხვედრა.

შეხვედრის მსვლელობაში მხარეებმა გააშუქეს თავიანთი შეხედულებანი და პოზიციები თანამედროვე მსოფლიო განვითარების, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისა და საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან პრინციპულ საკითხებში.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წინადადებით მიღწეულია შეთანხმება დროებით შეწყვიტონ დელეგაციათა მუშაობა ისე, რომ შეხვედრა განაგრძონ რამდენიმე ხნის შემდეგ. შეხვედრის განგრძობის ადგილი და დრო დამატებით იქნება შეთანხმებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის კონსულტაციის გზით.

ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ □ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ □ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲠᲘᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

რიმრიდან

□ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის მოწვევით 1963 წლის 10-22 ივლისს საბჭოთა კავშირში მეგობრობის ვიზიტად იმყოფებოდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარის ამხანაგ იანოშ კადარის მეთაურობით.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს აწარმოებდა მოლაპარაკებას, ჰქონდა საუბრები და ეწვია ტაშკენტს, ირკუტსკს, ბრატსკს.

□ 1963 წლის 24-26 ივლისს მოსკოვში გაიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველ მდივანთა და ამ ქვეყნების მთავრობათა მეთაურების თათბირი.

□ 26 ივლისს შესრულდა გატისტას დიქტატურის წინააღმდეგ კუბის ხალხის შეიარაღებული ბრძოლის 10 წლისთავი. ეს დღე დამკვიდრდა არა მარტო კუბისა და ლათინურ ამერიკის, არამედ მთელი მსოფლიოს ისტორიაშიც. იგი, როგორც შუქურა უნათებს კონტინენტის ხალხებს განთავისუფლების გზას.

□ 30 ივლისს შესრულდა 60 წელი, რაც შეიკრიბა რსდმპ II ყრილობა.

□ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროში გაიმართა თათბირი მშრომელთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების განხილვის საკითხებზე.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკებმა, პარტიის რაიკომების მდივნებმა და ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების რაიონულ აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენლებმა.

□ 5 აგვისტოს მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ბ-ნმა რასკმა და ბრიტანეთის მისი უდიდებულესობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა ჰიუმმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

ხელშეკრულების ხელმოწერას დაესწრო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი, რომელიც მოიწვია ხელშეკრულების ხელმომწერმა სამმა მთავრობამ.

□ მნიშვნელოვანი მოვლენები □ ცნობები □ ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიმრამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რსდმპ მეორე ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა

მ. ჯინჭველაშვილი

1963 წლის 30 ივლისს შესრულდა სამოცი წელი იმ დღიდან, რაც რსდმპ IIყრილობაზე ფაქტიურად შეიქმნა ახალი ტიპის პარტია, ლენინური ბოლშევიკური პარტია, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩვენი სამშობლოს ბედის განსაზღვრაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ განვლო სახელოვანი გზა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან ხალხის მასების განთავისუფლებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის. აღმოცენდა რა მცირერიცხოვანი მარქსისტული ჯგუფებიდან და წრეებიდან, როგორც მუშათა კლასის პარტია, ამჟამად სკკპ მთელი საბჭოთა ხალხის პარტია გახდა, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე რაზმად გადაიქცა. კომუნისტური პარტია ახლა არის წამყვანი, ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა საბჭოთა საზოგადოებისა, რომელიც კომუნიზმს აშენებს.

* * *

რუსეთში რევოლუციური, მარქსისტული პარტია იქმნებოდა იმ პერიოდში, როცა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოხდა, როცა კაპიტალიზმი განვითარების თავის უმაღლეს და უკანასკნელ იმპერიალისტურ ფაზაში შევიდა. უკიდურესად გამწვავდა კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობა, პროლეტარული რევოლუცია უშუალო პრაქტიკის საკითხი გახდა. მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა დასავლეთიდან რუსეთში გადმოინაცვლა, სადაც მწიფდებოდა უდიდესი სახალხო რევოლუცია, რომლის ძირითადი საკითხები იმავე დროს მსოფლიო რევოლუციური მუშათა მოძრაობის ძირეული საკითხებიც იყო. ვ. ი. ლენინი, როგორც სხვა არავინ, კარგად გრძნობდა რევოლუციის მოახლოებას. იგი 1902 წელს წერდა: „ისტორიამ ახლა ჩვენს წინაშე დააყენა უახლოესი ამოცანა, რომელიც ყველაზე უფრო რევოლუციურია, რომელიც გნებავთ სხვა ქვეყნის პროლეტარიატის ყველა უახლოეს ამოცანათა შორის. ამ ამოცანის განხორციელება, არა მარტო ევროპის, არამედ აგრეთვე (შეგვიძლია ვთქვათ ახლა) აზიის რეაქციის უაღრესად ძლიერი დასაყრდენის დანგრევა რუსეთის პროლეტარიატს საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის ავანგარდად გახდიდა“[1].

რუსეთის მუშათა კლასი, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, თავის ისტორიულ ამოცანებს მხოლოდ მაშინ შეძლებს შეასრულოს, თუ მას ეყოლება მასებთან განუყრელად დაკავშირებული მებრძოლი, ცენტრალიზებული, რევოლუციური მარქსისტული პარტია. რუსეთის მუშათა კლასს კი XX საუკუნის დამდეგისათვის ასეთი პარტია არ ჰყავდა. როგორც ცნობილია, რუსეთში მარქსისტული მოძრაობის დასაწყისი განეკუთვნება გასული საუკუნის ოთხმოციან წლებს, როცა 1883 წელს გ. ვ. პლეხანოვის მეთაურობით შეიქმნა „შრომის განთავისუფლების“ მარქსისტული ჯგუფი. მაგრამ „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა „მხოლოდ თეორიულად დააარსა სოციალ-დემოკრატია და პირველი ნაბიჯი გადადგა მუშათა მოძრა-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 5, გვ. 465.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობისაკენ".[1] რუსეთში რევოლუციური პარტიის პირველი სერიოზული ჩანასახი იყო პეტერბურგის ლენინური „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი "(1895), რომელმაც პირველმა იწყო სოციალიზმის მუშათა მოძრაობასთან შეერთების განხორციელება. აქედან დაიწყო ახალი, ლენინური ეტაპი მარქსიზმის განვითარებაში.

1898 წლის მარტში გაიმართა რსდმპ პირველი ყრილობა, რომელმაც გამოაცხადა პარტიის შექმნა, მაგრამ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს არ ჰქონდათ ერთიანი პროგრამა, წესდება და ტაქტიკა. ყრილობის შემდეგ ცარიზმის მიერ განადგურებულ იქნა პარტიის ცენტრალური დაწესებულებანი (ცკ და ცო), სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ისევ დაბნეულობის, რღვევის პერიოდს განიცდიდა, გაძლიერდა იდეური მერყეობა და გაიზარდა ოპორტუნისტული ელემენტების გავლენა. ამრიგად, პარტია, როგორც ერთიანი ცენტრალიზებული ორგანიზაცია, ფაქტიურად არ შექმნილა.

რუსეთში ორგანიზაციული განცალკევებულობა და იდეური უთანხმოება ისე დიდი იყო, რომ ერთიანი ცენტრალიზებული პარტიის შექმნა მეტად ძნელ ამოცანას წარმოადგენდა. ამ დიადი ისტორიული ამოცანის გადაჭრას ხელი მოჰკიდა ვ. ი. ლენინმა, რომელიც სათავეში ჩაუდგა რუსეთის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს და ულმობელი ბრძოლა გააჩაღა ოპორტუნიზმის, რევიზიონიზმის წინააღმდეგ. ახალი ტიპის პარტიის შექმნის გზაზე განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენდა საერთაშორისო ოპორტუნიზმის რუსული სახესხვაობა — ეკონომიზმი, რომელიც იმავე შეხედულებებს ქადაგებდა, რასაც მარქსიზმის მოწინააღმდეგენი დასავლეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში. „ეკონომისტები" მოუწოდებდნენ მუშებს დაკმაყოფილებულიყვნენ მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიური ბრძოლით, რაც შეეხება პოლიტიკურ ბრძოლას, იგი მხოლოდ ლიბერალური ბუჟუაზიის საქმეა, რომელსაც მუშებმა მხარი უნდა დაუჭირონო. „ეკონომისტები" უარყოფდნენ მუშათა კლასის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის აუცილებლობას, ამ კლასის პოლიტიკურ როლს რევოლუციაში და ქადაგებდნენ მუშათა მოძრაობაში სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრას.

ვ. ი. ლენინმა, ჯერ კიდევ, გადასახლებაში ყოფნისას გულდასმით მოიფიქრა მარქსისტული პარტიის შექმნის გეგმა. იგი მიუთითებდა, რომ ახალი ტიპის რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნის ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა „ლიკვიდაცია ვუყოთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მესამე პერიოდს", იდეური დაბნეულობისა და ორგანიზაციული უთავბოლობის პერიოდს, სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადოთ „ეკონომისტებსა" და სხვა ჯურის ოპორტუნისტებს. მაგრამ ამის განსახორციელებლად, წერდა ვ. ი. ლენინი, „... ჩვენ უახლოეს მიზნად უნდა დავისახოთ პარტიის ისეთი ორგანოს შექმნა, რომელიც რეგულარულად გამოვა და მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ყველა ადგილობრივ ჯგუფთან".[2]

ამრიგად, პარტიის შექმნისათვის ძირითად რგოლად ლენინმა წამოაყენა საერთო-რუსული, არალეგალური, პოლიტიკური გაზეთის დაარსება, რომელიც იქნებოდა მაშინდელ პირობებში არა მარტო პარტიის იდეური ერთიანობისათვის ბრძოლის საშუალება, არამედ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ერთიან ცენტრალიზებულ პარტიაში ორგანიზაციულად გაერთიანების

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 20, გვ. 332.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 4, გვ. 261.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლავრი საშუალებაც. და სწორედ ასეთი გაზეთი გახდა ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი „ისკრა“, რომელიც წარმოადგენდა საერთო ჯაჭვში იმ ძირითად რგოლს, რომლის ხელის ჩაჭიდებით შეიძლებოდა პარტიული კრიზისის ლიკვიდაცია და ახალი ტიპის პარტიის შექმნა. „ისკრამ“ დიდი მუშაობა გასწია მარქსისტული პარტიის შექმნისათვის, „ეკონომისტთა“ იდეური განადგურებისა და დაქსაქსული სოციალ-დემოკრატიული წრეების გაერთიანებისათვის, რსდმპ მეორე ყრილობის მომზადების საქმეში. ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობითა და გაზეთ „ისკრის“ დაძაბული მოღვაწეობის მეოხებით მიღწეული იქნა ისკრული მიმართულების გამარჯვება რუსეთის ყველა უდიდეს და უმნიშვნელოვანეს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში. ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის შექმნასა და რსდმპ II ყრილობის იდეურ მომზადებაში უდიდესი როლი შეასრულა ვ. ი. ლენინის გენიალურმა წიგნმა „რა ვაკეთოთ?“ (1902 წ.), რომელშიც გადმოცემული იყო ჩვენი პარტიის იდეოლოგიური საფუძვლები, მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის პროგრამა და მისი აშენების ორგანიზაციული გეგმა.

ყოველივე ამის შემდეგ „ისკრას“ შეეძლო გაეჩაღებინა და მართლაც გააჩაღა ფართო კამპანია პარტიის აშენების ლენინური გეგმისათვის, პარტიის ძალების შეკრებისათვის, პარტიის მეორე ყრილობის მოწვევისათვის. განსაკუთრებით დიდი მუშაობა გასწია „ისკრამ“ პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტების შემუშავებისათვის. „ისკრის“ რედაქციაში პროგრამის პროექტის განხილვისას გ. პლეხანოვმა მერყეობა გამოიჩინა პროლეტარიატის დიქტატურის საკითხში, მაგრამ ვ. ი. ლენინის დაჟინებითი მოთხოვნის შედეგად პროგრამის პროექტში ფორმულირებულ იქნა მარქსიზმის ძირითადი დებულება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. მწვავე ბრძოლა გაჩაღდა აგრეთვე პროგრამის აგრარულ საკითხებზე. საბოლოოდ მიღებულ იქნა ვ. ი. ლენინის წინადადებანი. ამრიგად, „ისკრის“ რევოლუციურ-მარქსისტულმა პოზიციამ გაიმარჯვა მუშათა მოძრაობის ყველა საკითხში, რამაც იდეურად და ორგანიზაციულად მოამზადა მარქსისტული პარტიის შექმნა. 1902 წლის ნოემბერში ფსკოვში შეიქმნა მეორე ყრილობის მოწვევის საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის წევრთა დიდი უმრავლესობა ისკრელებისაგან შედგებოდა. ორგანიზაციულმა კომიტეტმა, რომელსაც ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა, დიდი მუშაობა გასწია ყრილობის მოსამზადებლად.

* * *

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობა შედგა 1903 წლის 30 ივლისს—23 აგვისტოს. მისი პირველი 13 სხდომა მიმდინარეობდა ბრიუსელში (ბელგია). კონსპირაციის მიზნით ყრილობა გაიხსნა ფქვილის საწყობის შენობაში. მაგრამ, ბელგიის პოლიციის მხრივ დევნის გამო, ყრილობამ მუშაობა განაგრძო ლონდონში, სადაც შედგა 24 სხდომა.

თუ I ყრილობაზე სულ 9 დელეგატი იყო, II ყრილობას ესწრებოდა 43 დელეგატი 26 პარტიული ორგანიზაციისაგან, რომელსაც 51 გადამწყვეტი ხმა ჰქონდა (8 დელეგატს ჰქონდა ორ-ორი ხმა). ყრილობას ესწრებოდა აგრეთვე 14 დელეგატი სათათბირო ხმით. ყრილობის შემადგენლობა ერთფეროვანი არ იყო: მას ესწრებოდნენ არა მარტო „ისკრის“ მომხრენი, არამედ მისი მოწინააღმდეგენიც, აგრეთვე მერყევი ელემენტები. ამიტომ გასაგებია, რომ „ასეთ პირობებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეიძლებოდა ყრილობა არ გადაქცეულიყო **ისკრული მიმართულების გამარ-ჯვებისათვის ბრძოლის ასპარეზად**"[1].

საორგანიზაციო კომიტეტის დავალებით რსდმპ II ყრილობა შესავალი სიტ-ყვით გახსნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ვეტერანმა გ. ვ. პლეხანოვმა, რო-მელმაც უსურვა მას ნაყოფიერი მუშაობა. ყრილობამ დაამტკიცა დღის წესრიგი, რომელიც 20 საკითხისაგან შედგებოდა.

რსდმპ II ყრილობის მთავარ ამოცანას, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, შეადგენდა „ნამდვილი პარტიის შექმნა იმ პრინციპულ და ორგანიზაციულ საფუ-ძვლებზე, რომლებიც წამოაყენა და დაამუშავა „ისკრამ"... ისკრული პროგრამა და მიმართულება უნდა გამხდარიყო პარტიის პროგრამად და მიმართულებად, ის-კრული ორგანიზაციული გეგმები განმტკიცებული უნდა ყოფილიყო პარტიის საორგანიზაციო წესდებაში".[2] ეს ამოცანა ოპორტუნიზმთან მწვავე ბრძოლაში წყდებოდა. ყრილობის მთელი წარმმართველი ძალა ვ. ი. ლენინი იყო. იგი მონა-წილეობდა ყრილობის ყველა მთავარ საკითხებზე რეზოლუციების პროექტების მომზადებაში. ყრილობაზე ვ. ი. ლენინი არჩეულ იქნა ძირითადი კომისიების — საპროგრამო, საწესდებო და სამანდატო კომისიების შემადგენლობაში, გამოვი-და მოხსენებით პარტიის წესდების საკითხზე და სიტყვით დღის წესრიგის თითქ-მის ყოველ საკითხზე. ყრილობის ოქმებში აღნიშნულია დაახლოებით 130 მისი გამოსვლა, რეპლიკა და შენიშვნა. ვ. ი. ლენინი დაუღალავად იბრძოდა „ისკრის" იდეური, ტაქტიკური და ორგანიზაციული პრინციპების გამარჯვებისათვის, მო-ნოლითური და მებრძოლი პარტიისათვის, ახალი ტიპის პარტიისათვის, რომე-ლიც ძირფესვიანად განსხვავებული იქნებოდა დასავლეთ ევროპის სოციალ-დე-მოკრატიული პარტიებისაგან. ყრილობაზე ვ. ი. ლენინს აქტიურად უჭერდა მხარს პლეხანოვი, თუმცა იგი ამასთანავე მერყეობასაც იჩენდა. ყრილობის პე-რიოდში ვ. ი. ლენინი და გ. ვ. პლეხანოვი მნიშვნელოვნად დაუახლოვდნენ ერთ-მანეთს.

ყრილობის უმნიშვნელოვანესი საქმე იყო პარტიის პროგრამის მიღება. რო-მელიც „ისკრის" რედაქციამ დაამუშავა. მწვავე ბრძოლა ისკრელებსა და ოპორ-ტუნისტებს შორის გაჩაღდა პროგრამის იმ დებულების გარშემო, რომელიც პრო-ლეტარიატის დიქტატურას ეხებოდა. „ისკრის" რედაქციის მიერ დამუშავებუ-ლი პარტიის პროგრამა შეიცავდა კაპიტალისტური წყობილების ანალიზს, მასში აღნიშნული იყო, რომ კაპიტალისტური წყობილების პირობებში საწარმოო ძა-ლებსა და წარმოების ურთიერთობას შორის არსებული წინააღმდეგობის დაძლე-ვის საშუალება შეიძლება იყოს პროლეტარიატის სოციალური რევოლუცია. „ამ სოციალური რევოლუციის აუცილებელ პირობას შეადგენს პროლეტარიატის დი-ქტატურა, ე. ი. პროლეტარიატის მიერ ისეთი პოლიტიკური ძალაუფლების მო-პოვება, რომელიც საშუალებას მისცემს მას შემუსროს ექსპლოატატორების ყო-ველგვარი წინააღმდეგობა".[3]

ამრიგად, ისკრული პროგრამის ძირითადი იდეა იყო პროლეტარიატის დიქ-ტატურა, რომლის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრეს ყრილობის ოპორტუნის-ტული ნაწილის მეთაურებმა — მარტინოვმა, ლიბერმა და აკიმოვმა, რომლებსაც მხარს უჭერდა ტროცკი. მათ მოითხოვეს პროგრამის პროექტიდან დიქტატურის

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 7, გვ. 249.

[2] იქვე.

[3] სკკპ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I, გვ. 42.

პუნქტის ამოღება. ისინი თავიანთ მოთხოვნებს იმით ასაბუთებდნენ, რომ დასავლეთ ევროპის სოციალისტური პარტიების პროგრამებში არ იყო პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი. მტკიცე ისკრელები ვ. ი. ლენინის მეთაურობით იცავდნენ რევოლუციურ პროგრამას, პროლეტარიატის დიქტატურის იდეას. ყრილობამ დაამტკიცა პროგრამის ძირითადი მარქსისტული დებულება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ეს ლენინის მომხრეთა ისტორიული გამარჯვება იყო.

ოპორტუნისტებმა გაილაშქრეს აგრეთვე ისკრული პროგრამის აგრარული საკითხის წინააღმდეგ. ისინი უარყოფდნენ გლეხობის რევოლუციურ როლს, რითაც არსებითად ილაშქრებდნენ რევოლუციაში პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის წინააღმდეგ, მუშათა და გლეხთა კავშირის წინააღმდეგ. ვ. .ი ლენინი, რომელიც თხუთმეტჯერ გამოვიდა ისკრული აგრარული პროგრამის დასაცავად, პირველ რიგში აყენებდა ბატონყმობის ნაშთების მოსპობის ამოცანას, როგორც რევოლუციურ მოთხოვნას. ყრილობამ მიიღო ლენინური აგრარული პროგრამა, რომელშიც შეტანილ იქნა რევოლუციურ-დემოკრატიული მოთხოვნები გლეხთა საკითხზე.

პროგრამის პროექტის განხილვის დროს ყრილობაზე მწვავე დისკუსია გაიმართა ეროვნულ საკითხზე. ისეთი მრავალეროვანი ქვეყნისათვის, როგორიც რუსეთია, მას ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. მარქსისტულ-ლენინური ინტერნაციონალური პრინციპების წინააღმდეგ გაილაშქრეს ბუნდელებმა და პოლონეთის სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლებმა, რომლებიც უარყოფდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას და უპირისპირებდნენ მას ბურჟუაზიულ მოთხოვნას—კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას. ვ. ი. ლენინმა თავის გარშემო დარაზმა ყრილობის რევოლუციური ნაწილი და გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა პოლონელი სოციალ-დემოკრატების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პოზიცია და ბუნდელების ფედერალიზმი. რსდმპ II ყრილობის მიერ მიღებულ იქნა პარტიის ლენინური პროგრამა ეროვნულ საკითხზე, რამაც გაამდიდრა მარქსისტული თეორია და დაეხმარა პარტიას ეროვნული პოლიტიკის სწორად გატარებაში.

რსდმპ მეორე ყრილობის მიერ მიღებული პროგრამა გამოხატავდა პროლეტარიატის, როგორც უახლოეს ამოცანებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეტაპზე (პროგრამა-მინიმუმი), ისე მის ძირითად ამოცანებსაც, რომლებიც ნავარაუდევი იყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის (პროგრამა-მაქსიმუმი).

„1903 წელს II ყრილობაზე პირველ პროგრამას რომ იღებდა, ბოლშევიკური პარტია მოუწოდებდა რუსეთის მუშათა კლასს, ყველა მშრომელს მეფის თვითმპყრობელობის, ხოლო შემდეგ ბურჟუაზიული წყობილების დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის საბრძოლველად. 1917 წლის თებერვალში აღგვილი იქნა მეფის რეჟიმი. 1917 წლის ოქტომბერში პროლეტარულმა რევოლუციამ მოსპო ხალხის საძულველი კაპიტალისტური წყობილება. ისტორიაში პირველად იშვა სოციალიზმის ქვეყანა. დაიწყო ახალი სამყაროს შექმნა“[1]. II ყრილობაზე მიღებულმა პროგრამამ იარსება პარტიის VIII ყრილობამდე (1919 წელი), როდესაც ჩვენმა პარტიამ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ახალი პროგრამა მიიღო.

მიიღო რა პროგრამა, მეორე ყრილობამ ამით საფუძველი ჩაუყარა რსდმპ

[1] სკკპ XXII ყრილობის მასალები, გვ. 396—397.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდეურ ერთიანობას. ამის შემდეგ საჭირო იყო ყრილობას მიეღო მისი შესაფერისი წესდებაც და ამით განემტკიცებინა პარტია ორგანიზაციულად, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ერთიანი პარტიის არსებობა და პროგრამაში დასახული ამოცანების განხორციელება. პარტიის წესდების საკითხზე ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა ვ. ი. ლენინი, რომელმაც მეცნიერულად ჩამოაყალიბა პროლეტარიატის მებრძოლი, რევოლუციური, ცენტრალიზებული, დისციპლინებული პარტიის ორგანიზაციული პრინციპები. პარტიის წესდების პროექტის განხილვამ ცხარე კამათი გამოიწვია. განსაკუთრებით მწვავე ბრძოლა გაჩაღდა რევოლუციურ და ოპორტუნისტულ ნაწილს შორის პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის განხილვისას, რომელიც განსაზღვრავდა, თუ ვინ შეიძლება იყოს პარტიის წევრი. პარტიის წევრობის შესახებ ყრილობაზე წამოყენებული იყო ვ. ი. ლენინის რევოლუციური ფორმულირება და მარტოვის ოპორტუნისტული ფორმულირება.

პარტიის წევრობის შესახებ წესდების პირველი პარაგრაფის ლენინური ფორმულირება მიუთითებდა, რომ „პარტიის წევრად ითვლება ყველა, ვინც აღიარებს მის პროგრამას და ეხმარება პარტიას როგორც მატერიალური საშუალებებით, ისე პირადი მონაწილეობით ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში“. ამის საწინააღმდეგოდ მარტოვმა შეიტანა თავისი ფორმულირება, რომლის თანახმადაც პარტიის წევრად „ითვლება ყველა, ვინც იღებს მის პროგრამას, ეხმარება პარტიას მატერიალური საშუალებებით და პირადად ხელს უწყობს მას რეგულარულად ერთ-ერთი მისი ორგანიზაციის ხელმძღვანელობით“.[1]

ვ. ი. ლენინისა და მარტოვის ფორმულირებები პრინციპულად სხვადასხვა პოზიციებიდან გამომდინარეობდა. ვ. ი. ლენინის ფორმულირება პარტიაში კარს უღებდა მხოლოდ იმათ, ვინც ყველაფერზე მაღლა აყენებდა პარტიას და მის რევოლუციურ მოთხოვნებს, ვინც დაემორჩილებოდა პარტიის ნებას და თავდადებული მებრძოლი იქნებოდა პარტიის მიზნებისათვის, სოციალიზმისათვის. მარტოვის ფორმულირება ფართოდ უღებდა პარტიაში კარს არა მარტო მუშათა არისტოკრატიის მერყევ ელემენტებს, არამედ სხვადასხვა არაპროლეტარული კლასებიდან გამოსულ კარიერისტებს. იგი საშუალებას აძლევდა ყველა გაფიცულს, ესერს, ანარქისტს, ავანტიურისტს ჩაერიცხა თავი პარტიაში და არ ემუშავა არც ერთ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციაში. ვ. ი. ლენინი, რომელსაც მხარს უჭერდა გ. ვ. პლეხანოვი, მტკიცედ იბრძოდა მარტოვისა და მის თანამოაზრეთა (სტაროვერი, აქსელროდი, ზასულიჩი და სხვ.) წინააღმდეგ. „ჩვენი ამოცანაა,— ამბობდა ვ. ი. ლენინი,— დავიცვათ ჩვენი პარტიის სიმტკიცე, სიმკვიდრე, სიწმინდე. ჩვენ უნდა ვეცადოთ სულ უფრო და უფრო ავაძაღლოთ პარტიის წევრის წოდება და მნიშვნელობა“[2]. იმის გამო, რომ მარტოვს მხარი დაუჭირეს „ეკონომისტებმა“, ბუნდელებმა, ცენტრისტებმა, „რბილმა“ ისკრელებმა, ყრილობამ 28 ხმის უმრავლესობით 22 ხმის წინააღმდეგ (ერთმა თავი შეიკავა) მიიღო წესდების პირველი პარაგრაფი მარტოვის ფორმულირებით და ეს შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, მარტოვის ფორმულირება ნაბიჯს დგამდა ოპორტუნიზმისაკენ. მაგრამ ეს იყო ოპორტუნისტთა დროებითი გამარჯვება. პარტიის III ყრილობამ (1905 წ.)

---

[1] სკკპ ისტორია, 1959 წ. გვ. 74—75.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 6, გვ. 625.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააუქმა წესდების პირველი პარაგრაფის მარტოვის ფორმულირება და მიიღო წესდების პირველი პარაგრაფის ლენინური ფორმულირება.

პარტიის წესდების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით ყრილობამ მიიღო პარტიულობის განმტკიცებისაკენ მიმართული მთელი რიგი გადაწყვეტილებანი. ყრილობამ დაშლილად გამოაცხადა „ეკონომისტების“ „რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირი“ და რსდმპ ერთადერთ საზღვარგარეთულ ორგანიზაციად აღიარა ისკრელების „რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგა“. ამ დადგენილების პროტესტის ნიშნად ორმა „ეკონომისტმა“ ყრილობა დატოვა. ლენინური წესდების მუხლობრივი განხილვის დროს ყრილობაზე კვლავ წამოიჭრა საკითხი ბუხდის ადგილის შესახებ პარტიაში. ბუნდი მოითხოვდა ეცნოთ იგი ებრაელი პროლეტარიატის ერთადერთ წარმომადგენლად რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში. ეს ნიშნავდა მუშების დაყოფას პარტიულ ორგანიზაციებში ეროვნული ნიშნის მიხედვით, რაც ეწინააღმდეგებოდა პარტიის აგების ინტერნაციონალურ ინტერესებს, პარტიის ცენტრალიზებულ საფუძველზე აგების პრინციპს. ბუნდის მოთხოვნა, რომელსაც მხარს უჭერდნენ „რბილი“ ისკრელები და ტროცკი, ყრილობამ უარყო. მაშინ ხუთმა ბუნდელმა ყრილობა დატოვა. ყრილობიდან შვიდი ოპორტუნისტის წასვლამ ძალთა თანაფარდობა მტკიცე ისკრელების სასარგებლოდ შეცვალა.

პროგრამისა და წესდების მიღების შემდეგ ყრილობამ განიხილა და მიიღო რეზოლუციები ტაქტიკურ საკითხებზე, ლიბერალურ ბურჟუაზიასთან და ესერების წვრილბურჟუაზიულ პარტიასთან დამოკიდებულების საკითხებზე. ყრილობამ სერიოზული ყურადღება მიაქცია პროპაგანდის მოწყობის საკითხებს, რომლის წინააღმდეგ გამოვიდნენ ოპორტუნისტები—ძოძავალი ძეხ'ძევიკები. მაგრამ ვ. ი. ლენინმა ამ საკითხშიც მიაღწია გამარჯვებას—ყრილობამ პროპაგანდის დაყენების საკითხზე მიიღო ლენინური რეზოლუცია. ყრილობაზე დელეგატთა შორის მწვავე წინააღმდეგობა გამოიწვია მოსწავლე ახალგაზრდობასთან დამოკიდებულების საკითხმა. ოპორტუნისტების აზრით, მოსწავლე ახალგაზრდობა თავისით გაიკვლევდა გზას რევოლუციური მოძრაობისაკენ, რაც სიხამდვილეში ნიშნავდა მათ დატოვებას ბურჟუაზიის იდეური გავლენის ქვეშ. ვ. ი. ლენინმა სასტიკად გაილაშქრა მოსწავლე ახალგაზრდობისადმი ასეთი დამოკიდებულების წინააღმდეგ და გადაჭრით მოითხოვა მათ შორის თეორიული და პრაქტიკული მუშაობა, მათი მარქსისტული გათვითცნობიერება და რევოლუციურ გზაზე დაყენება. ამ საკითხზე ყრილობამ მიიღო ლენინური რეზოლუცია.

რსდმპ II ყრილობაზე გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა პარტიის ხელმძღვანელი ცენტრების—ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს რედაქციის არჩევისას. პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა შემადგენლობის საკითხი ვ. ი. ლენინს პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხად ეიაჩხდა. იგი მოითხოვდა, რომ ცენტრალურ დაწესებულებებში არჩეული ყოფილიყვნენ მტკიცე და თანმიმდევარი რევოლუციონერები. ყრილობის ოპორტუნისტული ნაწილი, მარტოვის, ტროცკისა და აქსელროდის მეთაურობით, ცდილობდა პარტიის ცენტრალურ ორგანოებში ოპორტუნისტთა უმრავლესობა ყოფილიყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყრილობიდან 7 ოპორტუნისტის წასვლით მდგომარეობა ლენინელების სასარგებლოდ შეიცვალა, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა პარტიის ცენტრალური კომიტეტის და „ისკრის“ რედაქ-

ციის არჩევისას. ვ. ი. ლენინის შეუპოვრობისა და მაღალი პრინციპულობის მეოხებით ყრილობაზე გამარჯვება მოიპოვეს მტკიცე ისკრელებმა. რედაქციის შემადგენლობაში არჩეული იქნენ ვ. ი. ლენინი, გ. ვ. პლეხანოვი და მარტოვი, ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში — კრჟიჟანოვსკი, ლენგნიკი და ნოსკოვი. ლენინის მომხრეებს, რომლებმაც პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევისას ხმების უმრავლესობა მიიღეს, ბოლშევიკები ეწოდათ, ხოლო ლენინის მოწინააღმდეგეებს, ყრილობის ოპორტუნისტულ ნაწილს, რომლებმაც ხმების უმცირესობა მიიღეს — მენშევიკები.

ამრიგად, რსდმპ II ყრილობაზე ვ. ი. ლენინმა და ლენინელებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს. ვ. ი. ლენინმა, ბოლშევიკებმა ხელში აიღეს რსდმპ დროშა. ეს გამარჯვება სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მთელი წინანდელი განვითარებით იყო მომზადებული. რსდმპ II ყრილობაზე ისკრული მიმართულების, ლენინური უმრავლესობის გამარჯვება, მარქსიზმის გამარჯვება ეკონომისტებზე, პარტიის პროგრამისა და წესდების მიღება, ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს რედაქციის არჩევა და ამ საფუძველზე ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის — ბოლშევიკური პარტიის შექმნა წარმოადგენდა უდიდეს ისტორიულ მოვლენას, მობრუნების პუნქტს არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში. ყრილობის ძირითადი შედეგი იყო ახალი ტიპის პარტიის შექმნა. განსაზღვრავდა რა მეორე ყრილობის ისტორიულ მნიშვნელობას ვ. ი. ლენინი წერდა: „ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს“.[1]

რსდმპ II ყრილობაზე ბოლშევიზმის წარმოშობით დაიწყო რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში ახალი პერიოდი, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის გამდიდრებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ახალი პერიოდი. ბოლშევიზმი საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში გაძოვიდა, როგორც ერთადერთი ნამდვილი თანმიმდევრული რევოლუციური მარქსისტული მიმართულება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიო კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმოშობისა და განვითარებისათვის.

* * *

კომუნისტურმა პარტიამ დაწყებული II ყრილობიდან განვლო გმირული ბრძოლის ისტორიული გზა, რომლის მსგავსი მსოფლიოში არც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ არ იცის. თავისი განვითარების მთელ გზაზე კომუნისტურ პარტიას მაღლა ეჭირა მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი დროშა.

კომუნისტურმა პარტიამ, რუსეთის მუშათა კლასმა, ყველა მშრომელმა, რომელთაც სათავეში ედგა დიდი ლენინი, ბრწყინვალედ განახორციელეს რსდმპ მეორე ყრილობის მიერ მიღებული პირველი პროგრამა. ასევე წარმატებით განხორციელდა პარტიის მეორე პროგრამა. „1919 წელს VIII ყრილობაზე **მეორე პროგრამას** რომ იღებდა, პარტიამ წამოაყენა სოციალისტური საზოგადოების აშენების ამოცანა. საბჭოთა ხალხმა, რომელიც ძიდიოდა გაუკვალავი გზებით, ძლევდა სიძნელეებსა და გაჭირვებას, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განახორციელა ლენინის მიერ შემუშავებული გეგმა სოციალიზმის მშენებლობისა. **სოციალიზმმა საბჭოთა კავშირში მთლიანად და საბოლოოდ**

[1]. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ.9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიმარჯვა".[1] სოციალიზმი გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და იგი მსოფლიო სოციალისტურ სისტემად გადაიქცა. ამჟამად კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი ახორციელებენ სკკპ XXII ყრილობის მიერ მიღებულ მესამე პროგრამას—შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის უბრწყინვალეს დოკუმენტს, რომელშიც მოცემულია სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების აშენების ფილოსოფიური, ეკონომიური და პოლიტიკური დასაბუთება.

რსდმპ II ყრილობის მესამოცე წლისთავი ჩვენს ქვეყანაში აღინიშნება კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. ეს პერიოდი მოასწავებს ახალ, უფრო მაღალ ეტაპს პარტიის პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ მუშაობაში. სკკპ XXII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის (1962 წ.) და მიმდინარე წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელება კიდევ უფრო აამაღლებს კომუნისტური პარტიის, როგორც მასების პოლიტიკური და სულიერი ბელადისა და ორგანიზატორის როლს კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

სკკპ ყველაფერს აკეთებს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განმტკიცებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე მსოფლიო სოციალისტური ქვეყნების შეკავშირებისათვის. ასე იქცევა იგი ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან ურთიერთობაშიც. მაგრამ ჩინელი ხელმძღვანელი ამხანაგები ამახინჯებენ მოძმე კომპარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირების დეკლარაციისა და განცხადების უმნიშვნელოვანეს დებულებებს, უშვებენ დაუსაბუთებელ გამოხდომებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიების წინააღმდეგ. ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი კვლავაც ყველაფერს გააკეთებენ ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან ერთობის განმტკიცებისათვის ლენინის დროშის გარშემო, მშვიდობის საქმის განმტკიცებისა და კომუნიზმის დიადი იდეების გამარჯვებისათვის მთელ მსოფლიოში.

სკკპ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულია. მას მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანობა და შეკავშირება მიაჩნია მეცნიერული კომუნიზმის დიადი იდეების მთელ მსოფლიოში გამარჯვების საწინდრად. სწორედ ამიტომ რსდმპ II ყრილობის მესამოცე წლისთავი დიდი დღესასწაულია არა მარტო ჩვენი ქვეყნის კომუნისტებისა და მთელი საბჭოთა ხალხის, არამედ აგრეთვე ღირსშესანიშნავი თარიღია მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთა, მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალების ცხოვრებაში.

* * *

ლენინური პარტიის მთელი ისტორია უაღრესად მდიდარია გმირული ბრძოლებითა და სახელოვანი გამარჯვებებით.

ჩვენი პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა ააშენა სოციალიზმი.

მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი დროშით, კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი გზას იკაფავს კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ.

---

[1] სკკპ XXII ყრილობის მასალები, გვ. 397.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინური პარტიის მებრძოლი რაზმი

დ. ჯიბლაძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

შესრულდა რსდმპ მეორე ყრილობის სამოცი წლისთავი, ყრილობისა, რომელზედაც ფაქტიურად შეიქმნა ახალი ტიპის პარტია, ლენინური ბოლშევიკური პარტია.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელები უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო აღმავლობის ვითარებაში აღნიშნავენ ამ ღირსშესანიშნავ ისტორიულ თარიღს.

ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილმა და გამოწრთობილმა ბოლშევიკურმა პარტიამ საბჭოთა ხალხი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებამდე მიიყვანა, უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენება და ახლა გაბედულად მიჰყავს ხალხი წინ, კომუნიზმისაკენ.

ვ. ი. ლენინის მეთაურობით კომუნისტური პარტია წინ მიუძღოდა ჩვენი ქვეყნის მშრომელებს მეორე ყრილობის მიერ მიღებული პირველი მარქსისტული პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლებში. ამ პროგრამის განხორციელების საფუძველზე 1917 წლის ოქტომბერში პირველად კაცობრიობის ისტორიაში ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა ახალმა საზოგადოებრივმა წყობილებამ, რომელმაც დასაწყისი მისცა უკლასო საზოგადოების მშენებლობას.

პარტიის მეორე პროგრამის განხორციელებით სსრ კავშირში მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალიზმმა. სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს, წარმოიშვა მსოფლიო სოციალისტური სისტემა.

ამჟამად პარტია ახორციელებს სკკპ XXII ყრილობის მიერ მიღებულ მესამე პროგრამას, რომელშიაც მოცემულია სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების აშენების მეცნიერულად დასაბუთებული კონკრეტული გეგმა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა ბრძოლას კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი პროგრამის განხორციელებისათვის წარმატებით ხელმძღვანელობს საქართველოს კომუნისტური პარტია — ლენინის დიადი პარტიის ერთ-ერთი უძველესი მებრძოლი რაზმი. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორია საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიის ისტორიის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია.

საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა, მთელ პარტიასთან ერთად, პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ბრძოლებისა და გამარჯვებების სახელოვანი გზა განვლეს. ისინი განმტკიცდნენ და გამოიბრძმედნენ სამი რევოლუციის ქარცეცხლში.

საქართველოში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ორგანიზაციულ და იდეურ განმტკიცებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ლენინურმა გაზეთმა „ისკრამ“. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის რევოლუციური ფრთა თავიდანვე მტკიცედ დადგა ლენინური „ისკრის“ პოზიციებზე. 1901 წლის სექტემბერში, რსდმპ თბილისის კომიტეტის ინიციატივით, ბაქოში ქართულ ენაზე გამოვიდა გაზეთი „ბრძოლა“,—პირველი ლენინურ-ისკრული გაზეთი ამიერკავკასიაში. ამით საფუძველი ჩაეყარა არალეგალურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსისტულ პრესას ამიერკავკასიაში, ამავე პერიოდში საქართველოს ბევრ რაიონში შეიქმნა ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები და ჯგუფები.

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შემდგომი წარმატებითი მოღვაწეობის ინტერესები მოითხოვდა მათ გაერთიანებას. ამ მიზნით 1903 წლის მარტში თბილისში გაიმართა კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველი ყრილობა. ყრილობაზე ჩამოყალიბდა რსდმპ კავკასიის კავშირი და არჩეულ იქნა კავშირის კომიტეტი, რომელიც ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის მებრძოლი, ხელმძღვანელი ცენტრი გახდა. კავკასიის კომიტეტის ორგანო იყო გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“, რომელიც ფართო პროპაგანდას უწევდა ლენინური „ისკრის“ პროგრამულ, ორგანიზაციულ და ტაქტიკურ პრინციპებს. მან დიდი როლი შეასრულა მრავალეროვანი ამიერკავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდასა და შეკავშირებაში.

პარტიის მეორე ყრილობის მოწვევისათვის დიდი მუშაობა გასწია საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ და კერძოდ, თბილისის კომიტეტმა. ყრილობის შემდეგ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის. ვ. ი. ლენინი იწონებდა კავკასიელი ბოლშევიკების ბრძოლას მენშევიკების წინააღმდეგ. რჩევასა და მითითებებს აძლევდა მათ. „დაე, კავკასიელი ამხანაგები, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მტკიცედ იდგნენ იმ გზაზე, რომელსაც ისინი დაადგნენ“[1].

ამხილებდნენ რა ქართველი მენშევიკების ოპორტუნიზმს, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მზარდ რევოლუციურ მოძრაობას. ისინი ხელმძღვანელობდნენ მუშათა მასობრივ გაფიცვებსა და პოლიტიკურ დემონსტრაციებს.

ლენინური გაზეთი „ისკრა“ მაღალ შეფასებას აძლევდა იმ დროს ქვეყნის სამხრეთ რაიონებში გაჩაღებულ მუშათა რევოლუციურ მოძრაობას, კერძოდ ბაქოსა და თბილისის მუშათა გაფიცვებს. ეს „არის მოვლენა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება მთელი შემდგომი განმათავისუფლებელი მოძრაობისათვისო“, — წერდა „ისკრა“.

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში საქართველოს მშრომელებმა, რომლებიც რუსეთის პროლეტარიატთან ერთად გამოდიოდნენ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, არა ერთი გმირული ფურცელი ჩაწერეს ჩვენი ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.

საზღვარი არ ჰქონდა საქართველოს მშრომელების აღშფოთებას, როცა გაიგეს 1905 წლის 9 იანვარს პეტერბურგის მუშათა მუხანათური დახვრეტის ამბავი. ბოლშევიკების მეთაურობით საქართველოს მუშათა კლასი დაირაზმა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მშრომელთა გაფიცვები და დემონსტრაციები მოედო თბილისს, ქუთაისს, ბათუმს, ჭიათურას, სოხუმსა და სხვა ქალაქებსა და მუშათა დაბებს. იგი ბევრ ადგილას პოლიციასთან და ჯარებთან შეიარაღებულ შეტაკებად გადაიზარდა.

ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ საბრძოლველად დაირაზმა საქართველოს თითქმის მთელი გლეხობა. ვ. ი. ლენინმა ეს მოძრაობა დაახასიათა როგორც გლეხთა ყველაზე მოწინავე მოძრაობა. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 34, გვ. 195.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველგან იქმნებოდა მუშათა საგაფიცვო კომიტეტები და გლეხთა კომიტეტები, ფართო გაქანება მიიღო რევოლუციურმა გამოსვლებმა ჯარებში.

საქართველოს ბოლშევიკები აქტიურად მონაწილეობდნენ პარტიის მესამე ყრილობის მოწვევისათვის ვ. ი. ლენინის მიერ გაჩაღებულ მოსამზადებელ მუშაობაში. პარტიის მესამე ყრილობამ, რომელიც 1905 წლის აპრილში გაიმართა, მაღალი შეფასება მისცა საქართველოს და მთელი კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობას. ყრილობაზე ვ. ი. ლენინმა აღნიშნა, რომ „კავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა ხელი შეუწყეს იქ ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას“[1].

1905-1907 წლების რევოლუციის მთელ მსვლელობაში ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელები დაუცხრომელ რევოლუციურ ბრძოლას ეწოდნენ მეფის ხელისუფლებისა და მემამულეების წინააღმდეგ. ამიტომაც ვ. ი. ლენინმა საქართველო და მთელი ამიერკავკასია იმ მხარეთა რიცხვს მიაკუთვნა, „სადაც მოძრაობა ყველაზე მეტად გასცდა ძველ ტერორს, სადაც აჯანყება ყველაზე უკეთ არის მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე მძლავრად და ნათლადაა გამოხატული“[2].

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ, რევოლუციური ტალღის შენელების პირობებში, დამსჯელი ექსპედიციებისა და საველე სასამართლოების თარეშის პირობებში, ბოლშევიკები სათავეში უდგნენ მუშების საგაფიცვო ბრძოლას, განამტკიცებდნენ პროფესიულ კავშირებს, განაგრძობდნენ თავიანთი გაზეთების გამოშვებას, ამხილებდნენ რევოლუციის მოღალატეებს — მენშევიკებს, რაზმავდნენ მასებს რევოლუციური ბრძოლის ლენინური ლოზუნგების გარშემო.

9146

მიუხედავად დამარცხებისა, 1905-1907 წლების რევოლუციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მუშათა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. მან პოლიტიკური ბრძოლის უდიდესი გამოცდილება შესძინა ჩვენი ქვეყნის მშრომელებს და მუშათა მოძრაობას საერთოდ.

რუსეთის რევოლუციურ მუშათა კლასთან ერთად, რეაქციის უმძიმეს წლებში (1907-1910 წწ.), საქართველოს მშრომელები ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით თავდადებულ ბრძოლას ეწოდნენ ყველა ჯურის რენეგატებთან და გადაგვარებულებთან — მენშევიკ-ლიკვიდატორებთან, ოტზოვისტებთან, ტროცკისტებთან და სხვა მტრებთან, რომლებიც ცდილობდნენ დაენგრიათ არალეგალური მარქსისტული პარტია.

სტოლიპინის რეაქციის უმძიმეს პირობებში საქართველოს ბოლშევიკებმა შესძლეს შეენარჩუნებინათ არალეგალური ორგანიზაციები და მტკიცედ დარაზმული შეხვედროდნენ რევოლუციური მოძრაობის ახალ აღმავლობას.

როგორც მოსალოდნელი იყო, გამართლდა ვ. ი. ლენინის შორსმჭვრეტელობა. რეაქციის ბატონობამ საბოლოოდ ვერ გასტეხა მუშათა რევოლუციური

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 8, გვ. 497.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 10, გვ. 127.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებისყოფა. 1910 წლიდან დაიწყო მუშათა რევოლუციური მოძრაობის გამოცოცხლება და აღმავლობა.

საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს პრაღის პარტიული კონფერენციის მოწვევისათვის ბრძოლაში.

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების შემდგომი განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულა 1912 წელს ვ. ი. ლენინის ინიციატივით გამოცემულმა გაზეთმა „პრავდამ". საქართველოს მუშებს იგი თავიანთ გაზეთად მიაჩნდათ და ამიტომაც მას არა მარტო კორესპონდენციებს უგზავნიდნენ, არამედ მატერიალურ დახმარებასაც უწევდნენ.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები თავიდანვე იქმნებოდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე, ამიტომაც მათ დიდი დახმარება გაუწიეს ვ. ი. ლენინს ეროვნულ საკითხში პარტიის პროგრამის მოთხოვნათა პრაქტიკულ განხორციელებაში.

ხელმძღვანელობდნენ რა ლენინური მოძღვრებით ომის, ზავისა და რევოლუციის შესახებ, პირველი მსოფლიო ომის წლებში საქართველოს ბოლშევიკები შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ მენშევიკ-ობორონცებისა და სხვა ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ.

ომის წლებში საქართველოს ბოლშევიკები სათავეში უდგნენ მუშათა საგაფიცვო ბრძოლას, გლეხთა მოძრაობას, ეწეოდნენ პროპაგანდას კავკასიის ფრონტის ჯარისკაცებში, განამტკიცებდნენ ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას, წარმატებით იბრძოდნენ ლენინური ლოზუნგის განხორციელებისათვის — იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის.

როცა 1917 წლის თებერვალში რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა, საქართველოს მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ თვითმპყრობელობის დამხობას. სასწრაფოდ შექმნეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები — ისევე, როგორც ეს რუსეთში მოხდა. სამწუხაროდ გარკვეული მიზეზების შედეგად თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებში ადგილების დიდი უმრავლესობა ხელთ იგდეს მენშევიკებმა და ესერებმა.

რუსეთის პროლეტარიატისა და მისი ავანგარდის ბოლშევიკური ორგანიზაციების მაგალითის მიხედვით, საქართველოს ბოლშევიკებმაც გააჩაღეს ბრძოლა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის.

პარტიის VI ყრილობის შემდეგ, რომელმაც პარტია შეიარაღებული აჯანყების გზით სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისაკენ წარმართა, საქართველოს ბოლშევიკებმაც თავიანთი მუშაობა ახალი პირობების შესაბამისად წარმართეს.

1917 წლის ოქტომბრის დამდეგს თბილისში ჩატარდა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველი სამხარეო ყრილობა, რომელმაც პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განსაზღვრა ბოლშევიკების ამოცანები ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) რუსეთის მუშათა კლასმა უღარიბეს გლეხობასთან კავშირში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო ბურჟუაზიის ბატონობა და პროლეტარიატის დიქტატურა დაამყარა. დაიწყო ახალი ერა არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი კაცობრიობის ისტორიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალიზმის ნგრევისა და კომუნიზმის გამარჯვების ერა. ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციის საფუძველი — კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე, სამუდამოდ მოსპო ეროვნული უთანასწორობა და ჩაგვრა.

საქართველოს მშრომელები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ ცნობას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ. დაიწყო ახალი ეტაპი ამიერკავკასიის ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში. დღითი დღე იზრდებოდა ბოლშევიკების გავლენა მასებში, მაგრამ ამავე დროს აქტიურობდნენ იმპერიალისტური ქვეყნების დახმარებითა და მხარდაჭერით წახალისებული კონტრრევოლუციური ძალები. ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა პარტიებმა — მენშევიკებმა, დაშნაკებმა და მუსავატელებმა ბლოკი შეკრეს და ინგლისისა და ამერიკის იმპერიალისტთა დახმარებით 1917 წლის ბოლოს და 1918 წლის დასაწყისში შესძლეს ამიერკავკასიაში ბურჟუაზიის დიქტატურა დაემყარებინათ და დროებით მოეწყვიტათ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი საბჭოთა რუსეთისაგან. ამიერკავკასია გადაქცეულ იქნა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად.

1918 წლის 10 თებერვალს თბილისში, ალექსანდრეს ბაღში მენშევიკებმა დახვრიტეს მუშათა მიტინგის მონაწილენი და დაიწყეს რეპრესიები რევოლუციური ორგანიზაციების წინააღმდეგ. ბოლშევიკები არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდნენ და მუშაობა გააჩაღეს შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად, რათა დაემხოთ ბურჟუებისა და მემამულეების დიქტატურა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დაემყარებინათ.

თითქმის სამ წელიწადს გრძელდებოდა საქართველოში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტთა, ქართველ მენშევიკთა ბატონობის პერიოდი. მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოს მშრომელები ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით შეუწყვეტელ დაძაბულ ბრძოლას ეწეოდნენ ბურჟუაზიის დიქტატურის დასამხობად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. ეს ბრძოლა შემადგენელი ნაწილი იყო იმ ბრძოლებისა, რომლებსაც რუსეთის მუშები და გლეხები ეწეოდნენ შინაური კონტრრევოლუციისა და უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ სამოქალაქო ომის წლებში.

უცხოელ ოკუპანტთა განუკითხავი თარეში და მენშევიკური მთავრობის კონტრრევოლუციური პოლიტიკა აძლიერებდა მშრომელი მასების უკმაყოფილებას. 1918 წელს მთელ საქართველოს მოედო მუშათა გაფიცვები და გლეხთა შეიარაღებული აჯანყებები. ბევრ რაიონში დროებით ხერხდებოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

1919 წელს ახალი ძალით გაჩაღდა საქართველოში მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. საგაფიცვო ბრძოლებმა და გლეხთა აჯანყებებმა მოამზადეს პირობები მენშევიკების ბატონობის დასამხობად. ამ პროცესის დასაჩქარებლად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა რუსეთის გადამწყვეტ გამარჯვებებს სამოქალაქო ომში.

1920 წლის დამდეგს ძლევამოსილმა წითელმა არმიამ გაანადგურა თეთრგვარდიელთა არმიები, გაათავისუფლა ჩრდილო კავკასია და მოუახლოვდა ამიერკავკასიის საზღვრებს.

1920 წლის აპრილში ბაქოს გმირულმა პროლეტარიატმა და მთელმა აზერბაიჯანელმა ხალხმა, ხოლო იმავე წლის ნოემბერში სომხეთის მშრომელებმა წი-

ეროვნული ბიბლიოთ

თელი არმიის დახმარებით დაამხეს ხალხისათვის საძულველი ბურჟუაზიული მთავრობები და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს.

საქართველო თითქმის სამი მხრიდან საბჭოთა რესპუბლიკების გარემოცვაში აღმოჩნდა. ამან კიდევ უფრო გააძლიერა საქართველოს მშრომელთა გაბედული რევოლუციური ბრძოლები. ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით საქართველოს მუშებმა და გლეხებმა დაიწყეს მზადება გადამწყვეტი ბრძოლისათვის მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

როცა საბჭოთა რუსეთი თეთრგვარდიული კონტრრევოლუციისა და უცხოეთის ინტერვენციის ცეცხლის რკალში იყო მოქცეული საქართველოს მენშევიკურ მთავრობას ლაპარაკიც კი არ სურდა საბჭოთა რუსეთთან საზავო ხელშეკრულების დადებაზე, მაგრამ 1920 წელს, როცა დენიკინის არმიები და იმპერიალისტური სახელმწიფოების სამხედრო ძალები განადგურებულ იქნენ, როცა საბჭოთა რუსეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა განმტკიცდა, ქართველმა მენშევიკებმა თვითონ შესთავაზეს საბჭოთა მთავრობას დაეწყოთ მოლაპარაკება საზავო ხელშეკრულების დასადებად. საზავო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის მართლაც დაიდო 1920 წლის 7 მაისს. ამ ხელშეკრულების თანახმად მენშევიკურმა მთავრობამ ვალდებულება იკისრა მოეხდინა ბოლშევიკური ორგანიზაციის ლეგალიზაცია საქართველოში. ამით საქართველოს კომუნისტებს ფართო შესაძლებლობა მიეცათ გაეძლიერებინათ რევოლუციური მუშაობა მასებში.

შექმნილი ვითარება მოითხოვდა ხელმძღვანელი ორგანოების მიახლოებას მასებთან. რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს კომუნისტური პარტიების შექმნის შესახებ. კავკასიის სამხარეო კომიტეტის ნაცვლად შეიქმნა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო გ. ორჯონიკიძის, ს. კიროვის, ა. ნაზარეტიანის და სხვათა შემადგენლობით. ამასთან დაკავშირებით 1920 წლის მაისში საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაცია გაფორმდა საქართველოს კომუნისტურ პარტიად (ბოლშევიკებისა), შეიქმნა დროებითი ცენტრალური კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, მ. ცხაკაია, ა. ნაზარეტიანი, ვ. სტურუა, ს. თოდრია და სხვ.

1920 წლის 3 ივლისს გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ორგანო — გაზეთი „კომუნისტი".

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მუშაობა გააჩაღა აგრეთვე ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა, შეიქმნა მისი დროებითი ცენტრალური კომიტეტი.

საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა მშრომელი მოსახლეობის კიდევ უფრო მეტი სიყვარული და მხარდაჭერა დაიმსახურა. ამიტომაც მისი რიგები დღითი დღე იზრდებოდა. 1921 წლის დასაწყისში საქართველოში 9 ათასზე მეტი კომუნისტი იყო.

1920 წლის დასასრულს მენშევიკური საქართველო საბოლოოდ მივიდა ეკონომიური და პოლიტიკური კატასტროფის წინაშე. მენშევიკების ბატონობის დღეები დათვლილი იყო, სოციალისტური რევოლუცია მომზადებული იყო ისტორიული განვითარების მთელი მსვლელობით.

გაითვალისწინა რა შექმნილი ხელსაყრელი პირობები საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და გატარების შესახებ. ჩატარებული დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსამზადებელი მუშაობის შედეგად შეიქმნა შეიარაღებული რაზმი. პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები საბრძოლო მზადყოფნაში იყო და მხოლოდ სიგნალს ელოდნენ. აჯანყება დაიწყო 1921 წლის 11 თებერვალს ბორჩალოს მაზრაში და სწრაფად მოედო საქართველოს უმეტეს რაიონებს. 16 თებერვალს შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი.

საქართველოს მენშევიკური მთავრობის შეიარაღებულ ძალებს დახმარებას უწევდნენ უცხოეთის იმპერიალისტური სახელმწიფოები. ამიტომ საქართველოს რევკომმა დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა რუსეთს. ვ. ი. ლენინის მითითებით საქართველოს მშრომელებს დაეხმარა სახელოვანი მე-11 წითელი არმია. აჯანყებულებმა და წითელი არმიის ნაწილებმა 25 თებერვალს გაათავისუფლეს თბილისი. ამის შემდეგ მთელ საქართველოში სწრაფად გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. 18 მარტს მენშევიკურმა მთავრობამ დატოვა უკანასკნელი თავშესაფარი — ბათუმი.

საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ კონტრრევოლუციის პლაცდარმიდან, ბოლშევიკების მეთაურობით საქართველო გადაიქცა საბჭოთა ხელისუფლების საიმედო დასაყრდენად.

დიდი საბჭოთა ქვეყნის ყველა სხვა ხალხთან ერთად, საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაიწყეს ახალი ცხოვრების შენება და მოკლე ისტორიულ ვადაში მიაღწიეს დიდ წარმატებებს სამეურნეო-კულტურულ ფრონტებზე.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით საქართველოში დაიწყო ახალი ერა, ღრმა რევოლუციური გარდაქმნებისა და სოციალისტური მშენებლობის ერა. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, განახორციელა უმნიშვნელოვანესი სოციალისტური გარდაქმნები, შეუდგა სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას.

საქართველოს კომპარტიის მთელ საქმიანობას საფუძვლად დაედო ვ. ი. ლენინის ბრძნული რჩევა-დარიგება და დირექტივები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ამიერკავკასიის ხალხებისადმი მის მიერ გაგზავნილ წერილებში. ვ. ი. ლენინმა კავკასიის კომუნისტებს დაუსახა ამოცანა — გადაექციათ მრავალეროვანი კავკასია ეროვნული მშვიდობის, ბურჟუაზიის დროს უმაგალითო, ბურჟუაზიული წყობილების დროს შეუძლებელი მშვიდობის ნიმუშად.

ვ. ი. ლენინის მითითებით 1922 წელს შეიქმნა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც იმავე წლის დეკემბერში საბჭოების პირველ საკავშირო ყრილობაზე საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში შევიდა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი რესპუბლიკის მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ დიდი ნაყოფიერი შრომა გასწიეს, რის შედეგად უკვე 1925-1926 სამეურნეო წლებში მიღწეულ იქნა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ომამდელი დონე, ხოლო ნათესების ფართობმა 1913 წლის დონეს გადააჭარბა.

ახორციელებდნენ რა პარტიის XIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შესახებ, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა, მოძმე საბჭოთა ხალხის უანგარო დახმარებით მოკლე ვადაში აღმოფხვრეს წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებული ტექნიკურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიური ჩამორჩენილობა და სულ ჩქარა საქართველო სოციალისტური ინდუსტრიის მოწინავე რესპუბლიკად გადააქციეს.

ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის შესაბამისად, პარტიის XV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, მთელს ჩვენს ქვეყანაში გაიშალა მუშაობა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის. საქართველოს მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით არც ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტაში ჩამორჩენენ, 1937 წლისათვის კოლმეურნეობებში უკვე გაერთიანებული იყო გლეხურ მეურნეობათა 76,5 პროცენტი, ხოლო 1941 წლის დასაწყისისათვის სოციალისტური გარდაქმნების შედეგად საქართველო მსხვილი მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად გადაიქცა.

წარმატებით განხორციელდა ჩვენს რესპუბლიკაში კულტურული რევოლუცია, რომელიც სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმის შემადგენელი ნაწილია. საქართველო დაიფარა დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სკოლებით, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებით და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით.

შეიქმნა მრავალრიცხოვანი სახალხო ინტელიგენცია, აყვავდა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება, მუსიკა, ფერწერა, თეატრი, კინო.

სოციალისტურ მშენებლობაში თვალსაჩინო წარმატებისათვის საბჭოთა საქართველო 1935 წელს დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

საქართველოს მშრომელებმა თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანეს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმების შესრულების საქმეში, მაგრამ 1941 წლის 22 ივნისს, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც შეწყდა მშვიდობიანი მშენებლობა ფაშისტური გერმანიის მუხანათური თავდასხმის გამო. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოწოდებით ქართველი ხალხი სსრ კავშირის ყველა ხალხის მხარდამხარ დადგა თავისი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. ქართველმა ხალხმა და მისმა მებრძოლმა ავანგარდმა — საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ პირნათლად ჩააბარეს სამამულო ომის მკაცრი გამოცდა, ისინი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ.

ორმოცდაათი ათასზე მეტი ქართველი მებრძოლი სამამულო ომში მონაწილეობისათვის დაჯილდოებულ იქნა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, ხოლო 129-ს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

სამამულო ომის ფრონტზე გმირული ბრძოლითა და საბჭოთა არმიის ზურგში თავდადებული შრომით საქართველოს მშრომელებმა დიდი სამამულო ომის წლებში პირნათლად მოიხადეს თავიანთი პატრიოტული ვალი სამშობლოს წინაშე, ღირსეული წვლილი შეიტანეს ფაშისტ დამპყრობლებზე ჩვენი ქვეყნის ისტორიულ გამარჯვებაში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორია არ ყოფილა უშუალოდ საბრძოლო მოქმედების ასპარეზი, რესპუბლიკამ მაინც დიდი დანაკლისი განიცადა ადამიანთა მსხვერპლისა და მატერიალური ზარალის სახით, დიდი ზიანი მიადგა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას.

საქართველოს მშრომელები აქტიურად ჩაებნენ მეურნეობის აღდგენისათვის, ახალი ხუთწლიანი გეგმის დავალებათა განხორციელებისათვის. ამ პერიოდს ეკუთვნის ისეთი დიდი ინდუსტრიული ობიექტების აშენება, როგორიც არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნები. სწრაფად განვითარდა ამ წლებში სოფლის მეურნეობაც.

ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო პარტიის XX და XXII ყრილობები, რომლებმაც დასახეს ახალი კურსი პარტიის და მთელი ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლის გზაზე.

ხელმძღვანელობენ რა პარტიის XX და XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ დიდი მუშაობა გასწია პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაციისა და პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისათვის, სოციალისტური კანონიერების დარღვევათა ლიკვიდაციისათვის.

პარტიის ახალი პროგრამა, რომელიც პარტიის XXII ყრილობამ მიიღო შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის ბრწყინვალე დოკუმენტია, რომელშიაც მოცემულია სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების აშენების ფილოსოფიური, ეკონომიური და პოლიტიკური დასაბუთება. პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებითა და კომუნიზმის მშენებლობის პროგრამით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი, ენერგიის დაუზოგავად იბრძვის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, რაც კომუნიზმის გამარჯვების ძირითადი პირობაა.

ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი დიადი კომუნისტური პარტია, მისი ერთ-ერთი უძველესი მებრძოლი რაზმი — საქართველოს კომუნისტური პარტია, პარტიის II ყრილობის სახელოვან 60 წლისთავს ხვდებიან კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პირობებში. ეს პერიოდი მოასწავებს ახალ ეტაპს პარტიის პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ მუშაობაში.

საქართველოს მშრომელების მებრძოლი ავანგარდი — საქართველოს კომუნისტური პარტია, ერთხელ კიდევ თვალს ავლებს რა ლენინის დიდი პარტიის გმირულ წარსულს, რომლის ერთ-ერთ მებრძოლ რაზმს თვითონ წარმოადგენს, დიდი სიამაყის გრძნობით მოიგონებს — იმ დიად ბრძოლებსა და გამარჯვებებს, რომლებიც მან მოიპოვა თავისი არსებობის მანძილზე. საამაყო და სასიხარულოა იმის შეგნება, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია მუდამ იყო და არის ლენინის დიდი კომუნისტური პარტიის განუყოფელი ნაწილი, მისი ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი, რომ იგი ნაწილია იმ პარტიისა, რომელიც რევოლუციონერ მარქსისტთა მცირე ჯგუფიდან გადაიქცა ათ მილიონიან პარტიად, რომელიც წინ მიუძღვის 230 მილიონ ხალხს, რომელმაც მისი ხელმძღვანელობით მსოფლიოში პირველმა მოახდინა სოციალისტური რევოლუცია, პირველმა ააშენა სოციალიზმი და ახლა წარმატებით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსისა და ენგელსის ერთი დებულების გაგებისათვის

შ. რჩეულიშვილი

მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს გენიალურმა ფუძემდებელმა ვ. ი. ლენინმა დიდი დრო მოანდომა მარქსიზმის სიწმინდის აღდგენისათვის ბრძოლას. მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრების შეხედულებათა დოგმატური აღქმის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლასთან ერთად, იგი არც თვითონ უშვებდა და არც სხვებს აპატიებდა მარქსისა და ენგელსის მოძღვრების ძირითადი დებულებისადმი თავისუფალ, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას.

მარქსიზმის სიწმინდის დაცვის დარგში ლენინის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დამსახურებას წარმოადგენს ის, რომ მან აღადგინა მარქსისა და ენგელსის ჭეშმარიტი შეხედულება სოციალისტური რევოლუციის ერთდროულად ყველა ქვეყანაში გამარჯვების შეუძლებლობის შესახებ. სწორედ ამ დებულების შემოქმედებითმა გამოყენებამ იმპერიალიზმის პირობებში, კაპიტალისტური ქვეყნების არათანაბარი განვითარების შემდგომი გამწვავების ვითარებაში, შესაძლებლობა მისცა მას გაეკეთებინა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა — სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობა თავდაპირველად ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში.

მარქსისა და ენგელსის შეხედულებათა ისეთი გამყალბებლების საწინააღმდეგოდ, როგორსაც კიევსკი (პიატაკოვი) და კამპანია წარმოადგენდნენ, ლენინმა სპეციალურ სტატიაში — „მარქსიზმის კარიკატურის შესახებ“ — სრულიად გარკვეულად განმარტა იმ შეხედულებათა უსაფუძვლობა, თითქოს მარქსი და ენგელსი აღიარებდნენ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობას ერთდროულად ყველა ქვეყანაში, ან თუნდაც ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

დამახასიათებელია, რომ სოციალური გადატრიალების კიევსკის თეზისის მარქსიზმთან შეუთავსებლობის გამოსააშკარავებლად, რომელიც გადატრიალებას განიხილავდა „როგორც გაერთიანებულ მოქმედებას ყველა ქვეყნის პროლეტარებისა, რომელნიც არღვევენ ბურჟუაზიული სახელმწიფოს საზღვრებს“, ლენინმა შესაძლებლად არ მიიჩნია დაემოწმებინა, — „კომუნიზმის პრინციპები“, თუმცა უკვე აღნიშნულ შრომაში, სოციალისტური რევოლუციის ერთდროულად ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობის დაშვებასთან ერთად, ენგელსი პირდაპირ დასძენს, რომ სოციალისტური რევოლუცია გავლენას მოახდენს „მსოფლიოს სხვა ქვეყნებზე“ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სრულიად შესცვლის და განსაკუთრებით დააჩქარებს მათი განვითარების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრინდელ მსვლელობასო"[1], ლენინმა მიუთითა უფრო გვიანდელი „ენგელსის 1887 წლის 12 სექტემბრის წერილი კაუცკისადმი."

ამ დოკუმენტში დასაბუთებულია პერსპექტივა მსოფლიოს გაყოფისა სოციალისტურ და წინასოციალისტურ ქვეყნებად და სოციალიზმის ქვეყნების მიერ „თავდაცვითი ომების" წარმოების შესაძლებლობის კანონზომიერება, რაც, ლენინის აზრით, საუკეთესო ილუსტრაციაა იმ შეხედულებებისა, რომლებიც ჩამოუყალიბდათ მარქსსა და ენგელსს სოციალისტური რევოლუციის ერთდროულად ყველა ქვეყანაში გამარჯვების შეუძლებლობის შესახებ.

დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ ლენინი „სამხედრო პროგრამაში...." იმოწმებს მითითებულ „წერილს", რათა გამოააშკარაოს მომავალი სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების თეზისის კანონზომიერი კავშირი მარქსისა და ენგელსის შესაბამის შეხედულებებთან.

თვით განვითარებულ კომუნისტურ საზოგადოებაში სახელმწიფოს შენარჩუნების შესაძლებლობის თეზისი ხომ სოციალისტურ და წინასოციალისტურ სახელმწიფოებად მსოფლიოს გაყოფისა და კაპიტალიზმის ქვეყნებთან „თავდაცვითი ომების" წარმოების შესაძლებლობის თეზისის პირდაპირი განვითარებაა ახალ ისტორიულ პირობებში, პირობებში როდესაც აშკარა გახდა შესაძლებლობა დასრულდეს „განვითარებული კომუნისტური საზოგადოების აშენება მსოფლიო ასპარეზზე სოციალიზმის გამარჯვებამდე და დამკვიდრებამდე" (სკკპ პროგრამა).

ყოველივე ამის საფუძველზე, დაუსაბუთებელი მტკიცება, თითქოს მარქსი და ენგელსი შესაძლებლად თვლიდნენ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას ერთდროულად ყველა ქვეყანაში, წარმოადგენს ობიექტურად მავნე, ანტიმეცნიერულ დებულებას.

თუ რამდენად იყვნენ დაშორებული მარქსი და ენგელსი იმ აზრს, რომ დაეშვათ სოციალისტური რევოლუციის ერთდროულად ყველა ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობა, ამაზე მიუთითებს უკვე ის ფაქტი, რომ ენგელსი 1882 წლის 12 სექტემბრის წერილში კაუცკისადმი ლაპარაკობს მეტროპოლიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემთხვევაში ევროპელებით დასახლებული კოლონიების მეტროპოლიიდან გამოყოფისა და ადგილობრივი მცხოვრებლებით დასახლებული კოლონიებისათვის გამარჯვებული პროლეტარიატის მიერ დამოუკიდებლობის მინიჭების აუცილებლობაზე.

„ძნელი სათქმელია, თუ როგორ წარიმართება ეს პროცესი. ინდოეთმა შეიძლება რევოლუცია მოახდინოს, ალბათ ასეც იქნება, და ვინაიდან განთავისუფლებულ პროლეტარიატს არ შეუძლია აწარმოოს კოლონიური ომები, მოუწევს შეურიგდეს ამას. იგივე შეიძლება მოხდეს..... მაგალითად, ალჟირსა და ეგვიპტეში"[2].

ის აზრი, რომ ენგელსი კოლონიებისათვის თავისუფლების მინიჭებასთან ან ამ თავისუფლების ბრძოლით მოპოვებასთან ერთად იქ სოციალისტური საწყისების დამყარებას არ გულისხმობს, გადმოცემულია თეზისში: „თუ როგორი სოციალური და პოლიტიკური ფაზების გავლა მოუხდებათ მაშინ ამ

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ., ტ. მე-4, გვ. 334.

[2] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, Избранные письма стр. 356.

ქვეყნებს, ვიდრე ისინი აგრეთვე მივლენ სოციალისტურ ორგანიზაციამდე, ამის შესახებ, მე ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია წამოვაყენოთ მხოლოდ საკმაოდ ფუჭი ჰიპოთეზები“[1].

სოციალისტური რევოლუციის ერთდროულად ყველა ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობას არა ნაკლებ მკაფიოდ ასაბუთებს თვით მარქსი.

„რადიკალური სოციალისტური რევოლუცია დაკავშირებულია ეკონომიური განვითარების განსაზღვრულ ისტორიულ პირობებთან. ეს უკანასკნელი წარმოადგენს მის წინაპირობას, ამრიგად, რევოლუცია შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც კაპიტალისტურ წარმოებასთან ერთად სამრეწველო პროლეტარიატს სულ მცირე მნიშვნელოვანი ადგილი მაინც უკავია სახალხო მასაში[2].

როდესაც უსაყვედურებდა ბაკუნინს ეკონომიური პირობების შეუფასებლობას, რომლებიც წარმოადგენენ სოციალისტური რევოლუციის აუცილებელ წინაპირობას, მარქსი მიუთითებდა, რომ „ბაკუნინისათვის არ არსებობს „მისი (სოციალისტური რევოლუციის — **შ. რ.**) ეკონომიური პირობები. ვინაიდან ყველა დღემდე არსებული, განვითარებული ან განუვითარებელი ეკონომიური ფორმა შეიცავს მომუშავის დამონებას (იქნება ეს დაქირავებული მუშა, გლეხი თუ ა. შ.), იგი თვლის, რომ ყველა ამ ფორმის დროს ერთნაირად შესაძლებელია რ ა დ ი კ ა ლ უ რ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ა... მისი (ბაკუნინის — **შ. რ.**) სოციალური რევოლუციის საფუძველს წარმოადგენს ნებისყოფა და არა ეკონომიური პირობები“[3] — დაასკვნის მარქსი.

განა ეს შენიშვნა ტოვებს ადგილს კამათისათვის, თუ ვის ეკუთვნის სინამდვილეში აზრი „სოციალისტური რევოლუციის ერთდროულად ყველა ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ“? ნათელია, ამის ქადაგება შეეძლოთ მხოლოდ ანარქისტებს, რომელთაც მიაჩნდათ, რომ შესაძლებელია კაცობრიობის სრული ემანსიპაცია, მარტოოდენ პოლიტიკური საშუალებებით, მიუხედავად ეკონომიური წინაპირობებისა.

მიუხედავად ამისა, ამ მნიშვნელოვანი გარემოების შეუფასებლობა იქამდე მიდის, რომ ერთი და იგივე ავტორები სხვადასხვა შრომებში, და ხშირად ერთი შრომის მომიჯნავე გვერდებზეც კი, სხვადასხვანაირად, ხოლო ზოგჯერ საპირისპიროდაც კი განმარტავენ მარქსისა და ენგელსის პოზიციას.

ნათქვამის თვალსაჩინო ილუსტრაციისათვის მოვიყვანთ რამდენიმე ამონაწერს.

დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის 174-ე გვერდზე აღნიშნულია, თითქოს მარქსი და ენგელსი „თვლიდნენ, რომ სოციალისტურმა რევოლუციამ შეიძლება გაიმარჯვოს მხოლოდ საერთო დარტყმის შედეგად ყველა ან უმრავლეს კაპიტალისტურ ქვეყნებში“. ცოტა ქვევით, 175-ე გვერდზე, ვკითხულობთ განმარტებას, რომ მხოლოდ „იმპერიალისტური კაპიტალიზმის მონაცემებზე დაყრდნობით“ იქნა წამოყენებული თეზისი იმის შესახებ, რომ „შეუძლებელია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ყველა ქვეყანაში“ (რასაკვირველია, ამასთან დაზუსტებული არ არის, თუ რომელ ქვეყნებში).

შემდეგ, უკვე მცირე საბჭოთა ენციკლოპედიის 795-ე გვერდზე, ვკითხუ-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, Избранные письма, стр. 357.

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, Соч. т. 15, стр. 187, Изд. 1933 г.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 188.

ლობთ — „მარქსი და ენგელსი გამოდიოდნენ იქიდან, რომ სოციალისტურმა რევოლუციამ შესაძლოა გაიმარჯვოს ერთდროულად ყველა, ან უმრავლეს, ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში“.

პირველთაგან განსხვავებით, მხოლოდ ეს განმარტება გადმოგვცემს სწორად ამ საკითხზე მარქსისა და ენგელსის შეხედულებათა შეფასებას ლენინის მიერ, ვინაიდან იგი გულისხმობს სოციალისტური რევოლუციის ერთდროულად გამარჯვებას მხოლოდ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ალბათ მცირე საბჭოთა ენციკლოპედიის ავტორები გრძნობდნენ განსხვავებას მარქსისა და ენგელსის შეხედულებათა პირველ და ბოლო განმარტებებს შორის, მაგრამ შესაძლებლად არ ჩათვალეს ეღიარებინათ მცდარი თეზისის აშკარა უსაფუძვლობა და იგი 796-ე გვერდზე განამტკიცეს... ლენინის დამოწმებით. „კაპიტალიზმის განვითარება სხვადასხვა ქვეყნებში უაღრესად უთანაბროდ ხდება. სხვანაირად არც შეიძლება იყოს ს ა ს ა ქ ო ნ ლ ო წ ა რ მ ო ე ბ ი ს დროს (კურსივი ჩვენია **შ. რ.**). აქედან — გარდუვალი დასკვნა: სოციალიზმს არ შეუძლია ერთსა და იმავე დროს გაიმარჯვოს ყველა ქვეყანაში“[1]. ამით პოზიტიურად დასტურდება აზრი, თითქოს მარქსი და ენგელსი უშვებდნენ შესაძლებლობას სოციალისტური რევოლუციის ერთდროულად ყველა ქვეყანაში გამარჯვების შესახებ.

ამ ციტატის გამოყენებით, თანაც ყოველგვარი კომენტარების გარეშე, ერთი მხრივ სცადეს გაემართლებინათ საბჭოთა ენციკლოპედიის 175-ე გვერდზე მოყვანილი აშკარად მცდარი თეზისი, ხოლო, მეორე მხრივ, თავიდან აიშორეს იმის აუცილებლობა, რომ საკუთარი პასუხისმგებლობით, განმეორებით წამოეყენებინათ მცდარი თეზისი.

იქმნება დაუშვებელი შთაბეჭდილება, თითქოს სწორი შეფასება ეკუთვნის ენციკლოპედიის ავტორებს, მცდარი კი ლენინს, რომლის კომენტირებას ისინი ხელს არ ჰკიდებენ.

ლენინის ნაშრომიდან ამოღებულ ციტატს, რომელიც დაიმოწმა ასეთმა ავტორიტეტულმა კოლექტივმა, არ შეიძლება სათანადო ეფექტი არ მოეცა. და აი სახელმძღვანელოს — „სახელმწიფოსა და სამართლის საერთო თეორია“ — 176-ე გვერდზე ვკითხულობთ: „მარქსი და ენგელსი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სოციალისტური რევოლუცია მოხდება ე რ თ დ რ ო უ ლ ა დ ყ ვ ე ლ ა ა ნ უ მ რ ა ვ ლ ე ს ქ ვ ე ყ ნ ე ბ შ ი“ (კურსივი ჩვენია **შ.რ.**).

იმისათვის, რომ ნათელი გავხადოთ, თუ რამდენად დაამახინჯეს მარქსისა და ენგელსის ნამდვილი შეხედულებანი, შევადაროთ დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მიერ მოყვანილი თეზისი, თითქოს მარქსი და ენგელსი თვლიდნენ, რომ სოციალისტურმა რევოლუციამ შეიძლება გაიმარჯვოს „მხოლოდ საერთო დარტყმის შედეგად ყველა ან უმრავლეს კაპიტალისტურ ქვეყანაში“ და მითითება იმის შესახებ, რომ ისინი უშვებდნენ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობას „ერთდროულად ყველა ან უმრავლეს ქვეყნებში“ (სახელმწიფოსა და სამართლის საერთო თეორია) კიევსკის თეზისს, რომელიც გააკრიტიკა ლენინმა სტატიაში „მარქსიზმის კარიკატურის შესახებ“.

„ეს პროცესი (სოციალისტური გადატრიალება) ჩვენ წარმოგვიდგენია როგორც გაერთიანებული მოქმედება ყველა (!!) ქვეყნის პროლეტარებისა,

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23 გვ. 93-94.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელნიც არღვევენ ბურჟუაზიული (!!) სახელმწიფოს საზღვრებს... (ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები და ძახილის ნიშნები ლენინს ეკუთვნის).

ზერელე გადახედვაც კი საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ, რომ პირველი და მით უმეტეს მეორე თეზისის ავტორები არათუ ჩამორჩებიან კიევსკის, არამედ აფართოებენ კიდევაც იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც მათი აზრით, მარქსი და ენგელსი აუცილებლად თვლიდნენ სოციალისტური რევოლუციის ერთდროულად გამარჯვებას.

ლენინი როდესაც უარყოფდა კიევსკის შეხედულებას როგორც ანტიმარქსისტულს, წერდა (რაც, სხვათა შორის, არა ნაკლებ, არამედ უფრო მეტად ეხება პირველი ორი თეზისის ავტორებს), რომ სოციალური გადატრიალება შეუძლებელია იყოს ყველა ქვეყნის პროლეტართა გაერთიანებული მოქმედება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქვეყნების უმეტესობა და დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობა აქამდე (რომ არაფერი ვთქვათ მარქსისა და ენგელსის მოღვაწეობის პერიოდზე — **შ. რ.**), ჯერ კიდევ, განვითარების კაპიტალისტურ საფეხურზეც კი არ დგას, ან მხოლოდ განვითარების კაპიტალისტური საფეხურის დასაწყისშია.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ლენინი აღნიშნავს ეს აზრი მან წამოაყენა „სწორედ მარქსიზმის კარიკატურულ დამახინჯებათა გასაბათილებლად“[1].

როგორ მოხდა, რომ ლენინის ციტატი, აღებული თითქმის იმავე პერიოდში მომზადებული სტატიიდან, როცა დაიწერა „მარქსიზმის კარიკატურის შესახებ“, გამოყენებულ იქნა მარქსისა და ენგელსის შეხედულებათა ისეთი განმარტებისათვის, როგორსაც ებრძოდა ლენინი?

იმისათვის, რომ ვუპასუხოთ ამ კითხვაზე, საჭიროა ანალიზი გავუკეთოთ სათანადო აბზაცს, საიდანაც მცირე საბჭოთა ენციკლოპედიის ავტორებმა ამოიღეს ზემოთ მოყვანილი ციტატი. ამ აბზაცის[2] ანალიზი გვიჩვენებს, რომ ასეთი არაზუსტი განმარტების წარმოშობა შესაძლებელი იყო მხოლოდ აბზაცის კონტექსტიდან აღნიშნული ამონაწერის მეტაფიზიკურად იზოლირებული აღქმის შემთხვევაში.

იმ მდგომარეობას, რომ განსახილველი აბზაცის დასაწყისშივე ლენინი ლაპარაკობს „ერთ ქვეყანაში გამარჯვებულ სოციალიზმზე“, როგორც ისეთ დებულებაზე, რომელიც არ საჭიროებს დამტკიცებას, უნდა მივეყვანეთ იმ აზრამდე, რომ აქ ლენინი არ აპირებდა თავიდან აღმოეჩინა მის მიერ ერთხელ უკვე აღმოჩენილი და დასაბუთებული ჭეშმარიტება.

ლენინს დასახული ჰქონდა სხვა ამოცანა — დაესაბუთებინა მომავალი სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის აუცილებლობა, ამ სახელმწიფოს მიერ თავდაცვითი ომების წარმოების კანონზომიერება და სამართლიანობა კაპიტალისტური სახელმწიფოების არსებობის პირობებში.

როდესაც ილუსტრირებას უკეთებს ცალკეული ქვეყნების უთანაბრო განვითარებას, როგორც ისეთ ნიშანს, რომელიც ახასიათებს საერთოდ „სასაქონლო წარმოებას“ და არა მხოლოდ იმპერიალიზმს, ლენინი არათუ „ემიჯნება“ იმპერიალიზმამდელ მარქსიზმს, არამედ დამაჯერებლად გვიჩვენებს მის ცხოველმყოფელობას და სახელმძღვანელო მნიშვნელობას ახალ პირობებში. ხო-

---

[1] ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 66.

[2] იქვე, გვ. 67.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო ამის საფუძველზე გაკეთებული გარდუვალი დასკვნა, რომ „სოციალიზმს არ შეუძლია გაიმარჯვოს ყველა ქვეყანაში“[1] წარმოადგენს თეორიულ წინაპირობას ლენინის ისტორიული აღმოჩენისა, რომ შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში. ამის შესახებ თვალსაჩინოდ მეტყველებს მისი პირდაპირი მითითება ენგელსზე და აბზაცის დამაბოლოებელი კომენტარი. „მას (ენგელსს — **შ. რ.**) მხედველობაში ჰქონდა სწორედ გამარჯვებული პროლეტარიატის თავდაცვა სხვა ქვეყნების ბურჟუაზიის წინააღმდეგ“[2].

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ როცა ლენინი აღნიშნულ საკითხზე მარქსისა და ენგელსის შეხედულებათა სწორ შეფასებამდე მივიდა, იგი არ იცნობდა ზემოდასახელებულ შრომას „კონსპექტი ბაკუნინის წიგნისა“ სახელმწიფო და ანარქია“, რომელიც მდიდარ მასალას შეიცავს მარქსის პოზიციის შემდგომი დაზუსტებისათვის.

„სოციალიზმისათვის მომწიფებული არიან მხოლოდ დასავლეთისა და ჩრდილოეთ ამერიკის მოწინავე ქვეყნები, და კაუცკისადმი მიმართულ ენგელსის წერილში („სბორნიკ სოციალ-დემოკრატა“) პ. კიევსკის შეუძლია ამოიკითხოს კონკრეტული ილუსტრაცია იმ — ნამდვილი და არა მხოლოდ დაპირებული — „ა ზ რ ი ს ა“, რომ „ყველა ქვეყნის პროლეტართა გაერთიანებულ მოქმედებაზე“ ოცნება ნიშნავს სოციალიზმის გადადებას ბერძნულ კალენდამდე, ე. ი. „არასოდეს“-ამდე“[3]. არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ეჭვი, რომ ლენინი ასეთ „ფუჭ მეოცნებეთა“ კატეგორიას არ აკუთვნებდა არც მარქსს და არც ენგელსს, რომლის წერილსაც თვით იმოწმებს.

მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთების საწინააღმდეგო, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადების მიერ არა ერთხელ უარყოფილი გაგება დღემდე ინარჩუნებს მოქალაქეობრივ უფლებას ოფიციალურ ლიტერატურაში, როგორც მარქსისა და ენგელსის შეხედულება.

ეს მით უფრო შეუწყნარებელია დღეს, როცა აღნიშნული გაგება ობიექტურად ჩქმალავს სკკპ პროგრამის დებულებათა ორგანულ კავშირს მარქსისა და ენგელსის ისეთ უმნიშვნელოვანეს მითითებებთან, როგორიცაა მათ მიერ აღიარებული აზრი „უკვე გამარჯვებული სოციალიზმის მხრივ“ „თავდაცვითი ომების შესაძლებლობის“ შესახებ.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ მდგომარეობას არ ცვლის აღნიშნულ საკითხზე მარქსისა და ენგელსის შეხედულებათა სწორად ასახვის ცალკეული შემთხვევები, მოცემული ყოველგვარი დასაბუთებისა და საწინააღმდეგო მტკიცების კრიტიკის გარეშე.

უფრო მეტიც. ორმაგად დაუშვებლად მიგვაჩნია შემწყნარებლური დამოკიდებულება ლენინის მიერ „მარქსიზმის კარიკატურულ დამახინჯებად“ აღიარებული თეზისისადმი და მისთვის გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნება ოფიციალურ ლიტერატურაში.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გამოცემა მე-4, გვ. 94.

[2] იქვე, გვ. 94.

[3] იქვე, გვ. 65.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ორგანიზატორია

ხ. როგავა,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის მშრომელებმა სოციალიზმის სრულ და საბოლოო გამარჯვებას მიაღწიეს და კომუნისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობას ახორციელებენ. სკკპ XXII ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი პროგრამა, რომელშიც განსაზღვრა კომუნისტური მშენებლობის მთავარი ამოცანები და ძირითადი ეტაპები. პარტიამ ახალ პროგრამაში საქვეყნოდ განაცხადა, რომ საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა კომუნიზმის დროს იცხოვრებს. ამჟამად საბჭოთა კავშირის მთავარი ეკონომიური ამოცანაა—ოცი წლის განმავლობაში შექმნას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

კომუნისტური საზოგადოების აშენების ამოცანები რომ განსაზღვრა, პარტიამ მიუთითა, რომ საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს ეკუთვნის უმნიშვნელოვანესი როლი მათ განხორციელებაში, პირველხარისხოვანი ყურადღება მიაქცია სახელმწიფო აპარატის შემდგომი გაუმჯობესების, მისი საქმიანობის გაძლიერების, სამეურნეო-ორგანიზატორული, კულტურულ-აღმზრდელობითი და სხვა ფუნქციების საკითხებს, მოხაზა სახელმწიფოებრიობის კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობად განვითარების კონკრეტული გზები.

კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში სოციალისტური საზოგადოებრიობის განვითარების მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ყველა მოქალაქის ჩაბმა სახელმწიფოს მართვაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად, სამეურნეო და კულტურული მშენებლობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, აგრეთვე სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესება და მის საქმიანობაზე სახალხო კონტროლის გაძლიერება.

პროლეტარიატის დიქტატურამ უზრუნველყო ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაცია, სოციალიზმის გამარჯვება და კომუნიზმის გაშლილ მშენებლობაზე გადასვლა. ამით დიქტატურამ დაასრულა თავისი ისტორიული მისია და შინაგანი განვითარების თვალსაზრისით საბჭოთა კავშირში უკვე აღარ არის აუცილებელი. საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც წარმოიშვა როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ორგანო, გადაიქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, მთელი ხალხის ინტერესებისა და ნების გამომხატველ ორგანოდ. სოციალისტური სახელმწიფო, როგორც საერთო-სახალხო ორგანიზაცია, იარსებებს კომუნიზმის სრულ გამარჯვებამდე. ის აორგანიზებს კომუნიზმის მატერიალურ ტექნიკური ბაზის შექმნას, სოციალისტურ ურთიერთობათა გარდაქმნას კომუნისტურ ურთიერთობებად, ახორციელებს კონტროლს შრომისა და მოხმარების საზომზე, უზრუნველყოფს კეთილდღეობის ამაღლებას, იცავს მოქალაქეთა უფლებებს და თავისუფლებას, სოციალისტურ მართლწესრიგს და სოციალისტურ საკუთრებას, ზრდის ხალხთა მასებს შეგნებული დისციპლინისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, საიმედოდ უზრუნველყოფს ქვეყნის თავდაცვასა და უშიშროებას, ავითარებს ამხანაგურ თანამშრომლობას სოციალისტურ ქვეყნებთან, იცავს საყოველთაო მშვიდობის საქმეს და ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანასთან ურთიერთობას. ყოველივე ეს ნიშნავს, რომ მისი დანიშნულებაა გადამწყვეტი როლი შეასრულოს და კიდევაც ასრულებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საშინაო და საგარეო ამოცანების განხორციელებაში.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ეკონომიური ამოცანა, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობა, სახალხო მეურნეობის განვითარება, ხალხის კეთილდღეობის განუწყვეტლივ ამაღლება, სახალხო მოხმარების საგნების სიუხვის მიღწევა.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც საზოგადოების მიერ მიღებული ერთობლივი ღონისძიებანი ბუნებაზე ზემოქმედებისათვის იმ მიზნით, რომ შევქმნათ მატერიალური დოვლათი ბუნებისა და ეკონომიკის კანონების გამოყენებით. კონკრეტულად ეს არის: შრომის იარაღები, მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონე და მეცნიერება, მათ საფუძველზე წარმოების განხორციელება.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გულისხმობს ქვეყნის სრულ ელექტროფიკაციას და მის საფუძველზე საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის თანდათან გაუმჯობესებას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში; წარმოებრივი პროცესების კომპლექსურ მექანიზაციას და მის სულ უფრო და უფრო სრულ ავტომატიზაციას; ქიმიის ფართოდ გამოყენებას სახალხო მეურნეობაში, ყოველგვარ განვითარებას წარმოების ახალი, ეკონომიურად ეფექტური დარგებისა, ენერგიისა და მასალების ახალი სახეებისა; ბუნებრივი რესურსების ყოველმხრივ და რაციონალურ გამოყენებას; მეცნიერების ორგანულ შეერთებას წარმოებასთან და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სწრაფ ტემპებს; მშრომელთა მაღალ კულტურულ-ტექნიკურ დონეს, შრომის ნაყოფიერების მხრივ ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით საგრძნობ უპირატესობას, რაც კომუნისტური წყობილების გამარჯვების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ამ ამოცანის შესასრულებელი პირობები მომზადებულია პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მთელი წარსული ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მოღვაწეობით, რომელნიც რაზმავდნენ და წარმართავდნენ ხალხის მთელ ძალ-ღონეს სახალხო-სამეურნეო გეგმების შესასრულებლად. საბჭოთა საზოგადოებამ შექმნა სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ამჟამად შემდგომ ავითარებს რა მას, უშუალოდ აშენებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას—კომუნისტური საზოგადოების დიადი შენობის საძირკველს.

როგორია ძირითადი თვისებები, რომელნიც ახასიათებენ საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს როგორც კომუნიზმის, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური საფუძვლის ყოველმხრივ და წამყვან ორგანიზატორს?

ასეთი თვისებებია ჭეშმარიტი დემოკრატიზმი. სოციალისტურ-სახელმწიფოებრივი, ე. ი. სრულიად-სახალხო საკუთრება წარმოების ძირითად იარაღებზე და სახალხო მეურნეობის სახელმწიფოებრივი დაგეგმვა. სოციალისტური სახელმწიფოსა და საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას წარმოადგენს კომუნისტური პარტია.

სოციალისტური სახელმწიფო წარმოადგენს ხალხის გამგებლობას, ე. ი. ის ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფოა. მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, რაც საბჭოთა ხელისუფლებას, საბჭოთა სახელმწიფოს წარმოადგენს, ხალხის წარმომადგენლების ყოვლისმომცველი ორგანიზაციაა. საბჭოები აერთია-

ნებენ მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენციას, ყველა მშრომელს, განურჩევლად პროფესიისა და აბამენ მათ სახელმწიფოს მართვის საქმეში მუდმივი და გადამწყვეტი მონაწილეობის მისაღებად, აბამენ კულტურულ და სამეურნეო მშენებლობაში. საბჭოები საბჭოთა კავშირის პოლიტიკური საფუძველია, მთელი საბჭოთა საზოგადოების ორგანიზაციაა. ისინი გამოხატავენ და განამტკიცებენ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს. მათი მეოხებით მუშათა კლასი ახორციელებს თავის ხელმძღვანელ როლს საზოგადოებაში.

საბჭოთა სახელმწიფოს გამგებლობაშია ადმინისტრაციული, სამეურნეო, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები. მის განკარგულებაშია მძლავრი შეიარაღებული ძალები, რომელნიც იცავენ რევოლუციის მონაპოვარს, საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომასა და უშიშროებას. როდესაც ვლაპარაკობთ დემოკრატიის მნიშვნელობაზე საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში, ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ მშენებლობას აქვს სპეციფიკური საზოგადოებრივი მხარეები და ფორმები, ვინაიდან მას ახორციელებენ ადამიანები, რომელთაც გარკვეული წარმოებრივი ურთიერთობანი აქვთ. სოციალისტურ წარმოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც საზოგადოებრივ საკუთრებაზეა დაფუძნებული, ახასიათებს ექსპლოატაციისაგან თავისუფალი ადამიანების ძმური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება. ექსპლოატაციისაგან თავისუფალი ადამიანები წარმოადგენენ წარმოების ზრდის, საზოგადოებრივი განვითარების გადამწყვეტ ძალას. მაგრამ ისინი ასეთები ვერ იქნებიან, თუ არ გაიწაფნენ, თუ არ განვითარდა სათანადო მეთოდები და ფორმები მშრომელების მონაწილეობისა წარმოების მართვაში, საზოგადოებრივ საქმეებში, ამას კი სოციალისტური დემოკრატია უზრუნველყოფს.

სოციალისტურმა დემოკრატიამ მოსპო კერძო საკუთრება და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. მან მშრომელები — მატერიალურ და კულტურულ ფასეულობათა შემქმნელნი, გადააქცია წარმოებისა და წარმოების პროდუქტების განაწილების სრულ ბატონ-პატრონებად, რაც სოციალიზმის ძირითადი თვისებაა და უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე ქმნის წარმოების სწრაფი ზრდის განუწყვეტელ და მუდამ მზარდ მორალურ და ეკონომიურ სტიმულს.

სოციალისტურმა სახელმწიფოებრივმა და საზოგადოებრივმა წყობილებამ მოსპო გათიშვა დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა აღიარებასა და მათ რეალურ განხორციელებას შორის, გათიშვა, რომელიც ბურჟუაზიული სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელია. ბურჟუაზიული ფორმალური დემოკრატიისაგან განსხვავებით, ის რეალურად უზრუნველყოფს მოქალაქეებისათვის ყველაზე ფართო პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიურ უფლებებსა და თავისუფლებას, მოქალაქეებისათვის ეს არის უაღრესად უმნიშვნელოვანესი პირობა მათი ყოველმხრივი შემოქმედებითი განვითარებისათვის, მათ მიერ თავის კანონიერ ვალდებულებათა შესრულებისათვის, ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მიღებისა და კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების დემოკრატიზმის განვითარების უმნიშვნელოვანეს თვისებას წარმოადგენს მშრომელთა სულ უფრო და უფრო ფართო მასების ჩაბმა სახალხო-სამეურნეო მშენებლობის მართვაში საბჭოების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით. ამავე დროს კომუნიზმის მშენებლობის შემოქმედებითი აქტიობის ამაღლებისა და წარმოების ზრდისთვის ხალხის გამგებლობის აქტიური ზემოქმედების მნიშვნელოვანი საშუალებებია ადგილობრივი და სრულიად საკავშირო თათბირები, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მლებსაც სისტემატურად აწყობენ პარტიული და საბჭოთა ორგანოები ტექნიკური პროგრესის, მრეწველობის განვითარების, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის საკითხებზე, სახალხო-სამეურნეო გეგმების პროექტებისა და სხვა კანონპროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვა, საწარმოებში მუდმივმოქმედი თათბირების, გამომგონებელთა საზოგადოების, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების და სხვათა საქმიანობა.

დიდი ხანია, რაც ტრადიციად იქცა სახელმწიფოს სამეურნეო-ორგანიზატორულ მუშაობაში დემოკრატიული მონაწილეობის მიღების ერთ-ერთი ფორმა — სოციალისტური შეჯიბრება. სოციალისტურ შეჯიბრებაში ამჟამად ფართო განვითარება ჰპოვა მოძრაობამ კომუნისტური შრომის ბრიგადების და საწარმოთა წოდებისათვის, მოძრაობამ გამომგონებლობისა, რაციონალიზატორობისა და წარმოების ნოვატორობისათვის.

ხალხის მმართველობის ნამდვილი არსი მხოლოდ იმაში კი არ მდგომარეობს, რომ უზრუნველყოს მოქალაქეთა უფლებები, არამედ იმაშიც, რომ მოქალაქეებმა შეასრულონ თავისი ვალდებულებანი, რომ სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ შორდებოდეს. ეს თავის საკანონმდებლო გამოხატულებასა და განმტკიცებას პოულობს სოციალისტური სახელმწიფოს კონსტიტუციაში. მოქალაქეთა უფლებები და მოვალეობანი ორგანულ და მტკიცე კავშირში არიან. სწორედ უფლება-მოვალეობათა განხორციელებაში პოულობს საბოლოო ანგარიშში თავის გამოხატულებას სოციალისტური დემოკრატიზმის უმაღლესი პრინციპი და თვისება. ეს თვისება კი ყოველდღიურად ვლინდება საბჭოთა ხალხის აქტიურ მუშაობაში სახალხო-სამეურნეო გეგმების შესასრულებლად. საბჭოთა ხალხმა პარტიასა და მთავრობასთან ერთად განიხილა შვიდწლიანი გეგმის პროექტი, ერთხმად მიიღო ის როგორც კანონი და შეუდგა მის განხორციელებას, წარმატებით იბრძვის ვადაზე ადრე მისი შესრულებისათვის.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც ხალხის წარმომადგენლობით დაწესებულებათაგან შედგება და აერთიანებს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ფუნქციებს, წარმოადგენს მტკიცე, მოქნილ და ფართოდ განშტოებულ სრულიად სახალხო პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობას, აორგანიზებს საზოგადოების წარმოებრივ საქმიანობას, აერთიანებს და საერთო მიზნისაკენ წარმართავს მშრომელთა ნებას.

ამასთანავე, სოციალისტური სახელმწიფო მძლავრ ეკონომიურ ძალას წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ის არის წარმოების ძირითად საშუალებათა მესაკუთრე, ხალხის სახელით ფლობს და იყენებს მათ და ამის საფუძველზე აქვს საშუალება განახორციელოს და კიდეც ახორციელებს სამეურნეო ორგანიზატორულ ფუნქციას, აერთიანებს მატერიალურ, საფინანსო და ადამიანთა ძალებს და წარმართავს სახალხო მეურნეობის განვითარებას მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაეუფლა სოციალიზმის ეკონომიურ კანონებს და სარგებლობს საზოგადოების ინტერესებისათვის მათ მოქმედებას.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას სპეციფიკური საზოგადოებრივი ფორმები გააჩნია, რამდენადაც მას ქმნიან გარკვეულ წარმოებრივ ურთიერთობაში მყოფი ადამიანები. ეს კვლავ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ნათელვყოთ სოციალისტური სახელმწიფოს როლი, ის, რომ მის საკუთრებას წარმოადგენენ წარმოების საშუალებანი. ძირითადი საკითხი, რომელიც აქ უნდა გავარკვიოთ, იმაში მდგომარეობს, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის

შექმნის საქმე უშუალოდაა დაკავშირებული ეკონომიური კანონის მოქმედებასთან, ეს კანონი კი ამბობს — წარმოებრივი ურთიერთობანი უნდა შეესაბამებოდეს მწარმოებელი ძალების ხასიათს.

წარმოებრივ ურთიერთობებს, საზოგადოების ეკონომიურ წყობილებას საფუძვლად უდევს საკუთრებისადმი დამოკიდებულება. სოციალისტური ურთიერთობის საფუძველს საზოგადოებრივი საკუთრება წარმოადგენს.

სახელმწიფო სოციალიზმიდან გადასვლის პერიოდში საერთო-სახალხო საკუთრებისა და მძიმე მრეწველობის შემდგომი მძლავრი განვითარების საფუძველზე აორგანიზებს საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების საერთო-სახალხო დონემდე აყვანას და საქმე მიჰყავს ფორმითაც ერთიანი კომუნისტური საკუთრების შექმნისაკენ. სოციალისტურ მწარმოებლურ ურთიერთობათა, სოციალისტური წყობილებისა და სოციალიზმის კომუნიზმად განვითარების წამყვანი ეკონომიური საფუძველია სახელმწიფო საკუთრება.

მაშასადამე, წარმოებრივი ურთიერთობანი რომ შეესაბამებოდეს მწარმოებელი ძალების სწრაფი განვითარების მოთხოვნილებებს, ამის უზრუნველყოფისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტურ სახელმწიფოს. საზოგადოებრივი საკუთრების საფუძველზე სოციალისტური სახელმწიფო აორგანიზებს მძიმე ინდუსტრიის უპირატეს და ყოველმხრივ განვითარებას მთელი ქვეყნის ელექტროფიკაციის უზრუნველყოფით. ეს არის კონცენტრირებული გამოხატულება სახელმწიფოს წამყვანი ორგანიზატორული როლისა კომუნიზმის ეკონომიკის შექმნის საქმეში.

ვ. ი. ლენინი, როდესაც განსაზღვრავდა კომუნიზმის აშენების საპროგრამო ხაზს, ამბობდა: „კომუნიზმი—ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“. ეს ცნობილი ფორმულა მიუთითებს, თუ რა წამყვანი მნიშვნელობა აქვს ელექტროფიკაციას კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ამასთან ერთად ის მიუთითებს, რომ სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც ფლობს და განაგებს წარმოების ძირითად საშუალებებს და გეგმიანად წარმართავს სახალხო-სამეურნეო ცხოვრებას, მოწოდებულია და აქვს საშუალება უზრუნველყოს ელექტროფიკაციის განვითარება მთელი ქვეყნის მასშტაბით და წამყვან როლს ასრულებს ამ საქმეში.

სოციალისტურ-სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილება საზოგადოებრივი საკუთრების ბაზაზე ქმნის ყველა პირობას იმისათვის, რომ დანერგოს მსხვილი სამანქანო წარმოება მეურნეობის ყველა დარგში, ეწევა მშრომელთა ძალ-ღონის კონცენტრაციას, რომლებიც აუცილებელია ტექნიკური პროგრესის საფუძველზე წარმოების აჩქარებული ზრდის შესასრულებლად. მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მონაპოვარს ის ხალხის კუთვნილებად აქცევს.

სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციაა, გეგმავს საზოგადოებრივი წარმოების განვითარებას და უზრუნველყოფს გეგმის შესრულებას. ამასთანავე ის უზრუნველყოფს მძიმე ინდუსტრიის უპირატეს და ყოველმხრივ განვითარებას რაც როგორც სოციალიზმის ისე კომუნიზმის მშენებლობის გენერალურ ხაზს წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის სახალხო-სამეურნეო ცხოვრებას სახელმწიფო გეგმა განსაზღვრავს და წარმართავს საზოგადოებრივი სიმდიდრის გადიდების ინტერე-

ების, ხალხის მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლების და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მიზნით.

გეგმის, როგორც სახელმწიფოს კანონის შესრულება, კანონისა, რომელიც გამოსატავს ყველა მშრომელის ნებას, სავალდებულოა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის, ყველა მოქალაქისათვის. თავის ორგანიზატორულ მუშაობაში პარტიული და საბჭოთა ორგანოები უმთავრეს და ყოველდღიურ ყურადღებას აქცევენ გეგმიურ დავალებათა შესრულების შემოწმებას, როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ მაჩვენებლების მიხედვით; ისინი შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებენ მუშაობაში უყაირათობის, ბიუროკრატიზმის, ტექნიკური კონსერვატიზმისა და სხვა ნაკლის წინააღმდეგ, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ისინი ყოველმხრივ ზრუნავენ იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს წარმოების ორგანიზაცია, მშრომელთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები, უმჯობესდებოდეს წარმოების ტექნიკა და ტექნოლოგია, მაღლდებოდეს მუშაკთა კულტურულ-ტექნიკური დონე, ვითარდებოდეს გამომგონებლობა და რაციონალიზაცია, მეცნიერება, წარმოებაში ინერგებოდეს მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები.

პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების იდეურ-პოლიტიკური და საორგანიზაციო მუშაობის მეოხებით, საბჭოთა ხალხის შეგნებული შრომის შედეგად წარმატებით სრულდებოდა ხუთწლიანი გეგმები და სრულდება სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელიც მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მთავარი ეკონომიური ამოცანის შესასრულებლად. სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის შესრულებაში, საზოგადოებრივი საკუთრებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის, აგრეთვე სხვა ფუნქციებში სახელმწიფო ფართოდ ემყარება პროფკავშირებს, ახალგაზრდობის ლენინურ-კომუნისტურ კავშირს, საკოლმეურნეო-კოოპერაციულ და მშრომელთა სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომელთა როლი და საქმიანობა სახალხო-სამეურნეო მშენებლობაში და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ყველა საქმეში თანდათანობით იზრდება.

კომუნისტური პარტია არის სოციალისტური სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა. მისი პოლიტიკა გამოხატავს მშრომელების საარსებო ინტერესებს, ის განსაზღვრავს კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს და წარმართავს მშრომელების სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას მათი შესრულებისაკენ. სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის მთელი გამოცდილება საბჭოთა კავშირში და სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში გვიჩვენებს, რომ ამ მშენებლობის პროცესში მუდამ იზრდება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი.

საბჭოთა სახელმწიფო იბრძვის იმისათვის, რომ განახორციელოს სკკპ პროგრამით დასახული საბჭოთა კავშირის ეკონომიური ამოცანა, ის ხელმძღვანელობს სსრ კავშირის მრეწველობის გარდაქმნას მსოფლიოში ტექნიკურად ყველაზე უფრო სრულყოფილ და მძლავრ მრეწველობად მძიმე ინდუსტრიის ზრდის საფუძველზე, ტექნიკურად ახლებურად აიარაღებს სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგს, სოფლის მეურნეობას, მოხმარების საგნების გამომშვებ მრეწველობას, მშენებლობას, ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას, აგრეთვე იმ დარგებს, რომლებიც მომსახურებას უწევენ ადამიანთა ყოფაცხოვრებას: ვაჭრობას, საზოგადოებრივ კვებას, ჯანმრთელობის დაცვას, საბინაო და კომუნალურ

მეურნეობას. ამასთან ერთად ის ანხორციელებს სოფლის მეურნეობის კომპლექსურ მექანიზაციასა და ელექტროფიკაციას, აძლიერებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს კვალიფიციური კადრებით და ტექნიკური დახმარებით, აუმჯობესებს მოსავლიანობის გასადიდებლად ქიმიური პროდუქტებით მომარაგებას, დაგეგმვას, ავითარებს კავშირს ქალაქსა და სოფელს, აგრეთვე კოლმეურნეობებს შორის, განამტკიცებს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირსა და ძმურ მეგობრობას ერებს შორის, იბრძვის იმისათვის, რომ მუშები და გლეხები რაც შეიძლება უფრო მეტად დაუახლოვდნენ ერთმანეთს ეკონომიური და კულტურული ცხოვრების მხრივ, ხელს უწყობს სოციალისტური სოფლის გადასვლას კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე და სოფლის მეურნეობის გარდაქმნას სახალხო მეურნეობის დიდად განვითარებულ დარგად. მატერიალური და კულტურული სიმდიდრის შექმნა ადამიანის შრომისა და გონების ნაყოფია. კომუნიზმის მშენებლებისათვის საჭიროა იდეურ-პოლიტიკური, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური ცოდნის განუწყვეტლივ ამაღლება, მშრომელთა მეცნიერულ-ტექნიკური მაღალი დონის მიღწევა.

სამურნეო მშენებლობასთან ერთად პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ახორციელებს კულტურულ-აღმზრდელობით მუშაობას, ყოველმხრივ ავითარებს სახალხო განათლებას, წარმოებრივი და პროფესიულ-ტექნიკურ სწავლების სისტემას, რომ მუშების ოსტატობა წარმოებაში უფრო ღრმად ეხამებოდეს მათი ზოგად-საგანმანათლებლო მომზადების ამაღლებას საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში, მათ მიერ საინჟინრო, აგრონომიულ და სხვა სპეციალობათა მიღებას.

ტექნიკისა და მთელი წარმოების განვითარება უშუალოდაა დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი შედეგების გამოყენებასთან. გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს მეცნიერების ყოველმხრივი აყვავება და მისი გარდაქმნა უშუალო მწარმოებლურ ძალებად.

სოციალისტური სახელმწიფო, როგორც მთელი საზოგადოების ორგანიზაცია, გეგმავს და წარმართავს ყველა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას მთელი ქვეყნის მასშტაბით, იკრებავს სამეცნიერო ძალებს კომუნისტური მშენებლობის აქტუალური საკითხების გადასაჭრელად, ნერგავს მეცნიერების მიღწევებს სახალხო მეურნეობაში, ავითარებს მეცნიერების კავშირს წარმოებასთან, მუშების, გლეხების, ყველა მშრომელის საქმიანობასთან. სოციალისტური მშენებლობის წლებში ჩვენს ქვეყანაში გიგანტურად განვითარდა მეცნიერება.

მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში ახალი ბრწყინვალე ეპოქა შექმნა საბჭოთა მეცნიერების მიღწევებმა კოსმოსის ათვისების დარგში. საბჭოთა კავშირის მიღწევები, დედამიწის თანამგზავრთა და კოსმოსური გეგმების შექმნის დარგში საბჭოთა მეცნიერების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მუშების უმაგალითო შემოქმედებით გმირობას წარმოადგენს. ეს არის განზოგადებული გამოხატულება საბჭოთა მრეწველობის მაღალი ტექნიკური დონისა და სკკპ და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი შემოქმედებითი ორგანიზატორული როლისა ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების განვითარების დარგში. მეცნიერებისა და სახალხო განათლების შემდგომი ყოველმხრივი განვითარება და წარმოებასთან მათი კავშირის განმტკიცება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ამოცანას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნიზმის ეკონომიკის შექმნის გრანდიოზული ამოცანების განხორციელება მოითხოვს წარმოების მართვის საშუალებების, მეთოდებისა და ფორმების შემდგომ გაუმჯობესებას; პარტიული, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობის დონის ამაღლებას, მასების პოლიტიკური და სამეურნეო აქტიურობის ამაღლებას დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის ყოველმხრივი განვითარების საფუძველზე. ამ საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ყოველდღიურად და ყოველმხრივ ზრუნავდნენ და ზრუნავენ, რაც იყო და არის საქმეში წარმატების მიღწევის გადამწყვეტი გარანტია. თანამედროვე ეტაპზე ამ მხრივ გრანდიოზული ღონისძიებებია გატარებული, რომელთაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია მრეწველობის მართვის გარდაქმნა და სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნა, მსხვილი ეკონომიური რაიონების ჩამოყალიბება, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ადგილობრივი საბჭოების უფლებების გაფართოება სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის დარგში, დაგეგმვის გარდაქმნა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გარდაქმნა და ტერიტორიულ საკოლმეურნეო-საბჭოთა მეურნეობის სამმართველოების ჩამოყალიბება, ერთიანი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების შექმნა, საწარმოებში მუდმივმოქმედი თათბირების შემოღება. ყოველივე ამას და სხვა ღონისძიებას, მიღებულს სამეურნეო ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, რაიონებში და მთლიანად სახელმწიფოში მწარმოებლური ძალების განვითარების დასაჩქარებლად.

სოციალისტური სახელმწიფოები ახალ საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების მშენებლობას ძმური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების პირობებში ახორციელებენ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მათი საერთო მიზნის მიღწევისათვის.

საბჭოთა კავშირის და სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის სახალხო-მეურნეობის გეგმების განხორციელებას მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის გმირული ბრძოლა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის — ეს მთელი მსოფლიო სისტემის სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ აჩქარებული მოძრაობის მძლავრი ფაქტორია.

სოციალისტური სახელმწიფოს გაძლიერება კომუნიზმის გამარჯვების აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი პირობაა. ამ სახელმწიფოს განმტკიცების ძირითადი თეორიული და პრაქტიკული აზრი მდგომარეობს მისი აპარატის შემდგომ გაუმჯობესებასა და მისი სამეურნეო-ორგანიზატორული, კულტურულ-აღმზრდელობითი, თავდაცვითი და სხვა ფუნქციების წარმატებით განხორციელებაში.

თანამედროვე პერიოდში, როდესაც ხდება დემოკრატიზმის ფართო განვითარება და კომუნიზმისაკენ წარმატებითი წინსვლა, არავის არ უნდა დაებადოს აზრი, თითქოს ამ პირობებში შესაძლოა ასე თუ ისე შესუსტდეს სოციალისტური კანონიერება, სახელმწიფო დისციპლინა სამეურნეო მუშაობასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სფეროში. ასეთი აზრი აშკარად მცდარი და საზიანოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური დემოკრატია, რომელიც მოიცავს მთელ ჩვენს სახელმწიფოებრივ სისტემას და საზოგადოებრივ ურთიერთობას, მოითხოვს, რომ სოციალისტური სახელმწიფოებრიობის ყველა ინსტიტუტს ჯეროვანი პატივისცემით ეპყრობოდნენ, აქტიურად იყენებდნენ მათ კომუნისტური მშენებლობის ამოცანებისა და ხალხის კეთილდღეობის ინტერესების შესაბამისად. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, მთელი საბჭოთა საზოგადოების ვალია მტკიცედ იბრძოლონ სახელმწიფოებრივი დისციპლინის, სოციალისტური კანონიერების დარღვევების წინააღმდეგ. საჭიროა მხილებულ იქნან მლიქვნელები, მექრთამეები, გამფლანგველები, თვალის ამხვევნი; ბიუროკრატები, უქნარები და სოციალისტური მართლწესრიგის სხვა დამრღვევნი. ასეთი დამრღვევნი დღემდე გვხვდებიან, ისინი ხელს უშლიან ხალხს შრომასა და ცხოვრებაში. მათ წინააღმდეგ. ანტისაზოგადოებრივი საქციელის ყოველი გამოვლინების წინააღმდეგ მთელი ძალღონით უნდა გამოვიყენოთ კანონის ძალა და საზოგადოებრიობის ზემოქმედება.

სახელმწიფოს მოღვაწეობის გაძლიერება თვითმიზანი კი არ არის, ის მიზნის მიღწევის — კომუნიზმის დამყარების საშუალებაა.

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით წარმატებით აშენებს კომუნიზმს, აქტიურ მონაწილეობას იღებს სახელმწიფოს მართვაში, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, რისთვისაც იყენებს თავისი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების პოლიტიკურ და ეკონომიურ ძლიერებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების უფლების საზღვრები*

ა. ხოჭოლავა

ამჟამად საბჭოთა სამართლისათვის დამახასიათებელია ორგვარი დამოკიდებულება პირადი საკუთრების უფლების მიმართ შენობებზე: ერთის მხრივ ამ საკუთრების უფლების დაცვის საშუალებები სცილდებიან მის ნორმალურად უზრუნველყოფის საჭიროებას, მეორეს მხრივ საკუთრების ამ უფლების გამოყენების შესაძლებლობა მცირდება სამოქალაქო ბრუნვაში.

პირობითად პირველ ტენდენციას შეიძლება ვუწოდოთ საკუთრების განხორციელების განვრცობითი პროცესი, ხოლო მეორეს — შეზღუდვითი.

ჩვენი მიზანია ამ პროცესებთან დაკავშირებულ პრობლემათა ჩამოთვლა. დავიწყოთ საკუთრების უფლების განვრცობითი პროცესის დამახასიათებელი ფაქტებით:

1. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 60-ე მუხლის მიხედვით[1] მოქალაქეთა პირად საკუთრების სახლებში მცხოვრებ მობინადრეებს უფლება არა აქვთ ითხოვონ ურთიერთშორის ბინების გადაცვლა სახლების მესაკუთრეთა მხრივ თანხმობის მიუცემლობის შემთხვევაში.[2]

ეს გარემოება მესაკუთრისაგან დამოკიდებულ მდგომარეობაში აყენებს მობინადრეს, რაც განსაკუთრებით მძიმეა იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელია იმავე სახლში ცხოვრების განგრძობა სახლის მესაკუთრესთან ან სხვა მდგმურებთან ურთიერთობის გამწვავების გამო. ასეთ პირობებში ბინის დამქირავებელი იძულებულია აიტანოს კონფლიქტები ან დაუცალოს ბინა მესაკუთრეს.

საფუძვლების შემოღებამდე საქართველოს სსრ კანონმდებლობით მობინადრეებს შეეძლოთ სასარჩელო წესით ეთხოვათ ბინების იძულებითი წესით გადაცვლა.[3] ეს ერთგვარ გარანტიებს ანიჭებდა მათ.

2. მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს მდგმურის გამოსახლება თუ ბინა საჭიროა მისთვის და მისი ოჯახის წევრებისათვის (საფუძვლების 58-ე მუხლის მე-4 აბზაცი).

თუ საფუძვლების შემოღებამდე მობინადრესთან დადებულ ხელშეკრულების ძოშლა მესაკუთრეს შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მასთან ხელშეკრულების დადების შემდეგ შეიცვალა მისი საბინაო და ოჯახური პირობები და ამის შედეგად მას აღმოაჩნდა საცხოვრებელი ფართობის ნაკლებობა[4] ამჟამად, განურჩევლად იმისა მობინადრესთან ხელშეკრულების დადებამდე თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ წარმოეშვა მესაკუთრეს ბინის საჭიროება მას შეუძლია მოითხოვოს ბინის ან ბინის ნაწილის დამქირავებლისაგან ჩამორთმევა.

საფუძვლები ითვალისწინებენ კომუნალურ და საოწყებო სახლიდან დამქირავებლის გამოსახლებას, როცა მას აქვს იმავე დასახლებულ პუნქტში საცხოვრებელი სახლი, რომელიც ვარგისია მუდმივ საცხოვრებლად და აქვს მასში შესახლების შესაძლებლობა (საფუძვლების 61 მუხლი).

---

* **განხილვის წესით.**

[1] ეს საკანონმდებლო აქტი შემდეგში მოხსენებული იქნება საფუძვლებად.

[2] Бюллетень Верховного Суда СССР, 1962 г., № 4, стр. 30.

[3] Жилищные законы, Тбилиси, 1951 г., стр. 234.

[4] სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1940 წლის 12 დეკემბრის დადგენილების მე-10 მუხლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ასეთი პირობების უქონლობის შემთხვევაშიაც მაინც სათაკილოდ ითვლება კომუნალური ბინით სარგებლობის და სახლზე საკუთრების შეთავსება.[1]

ასეთ გარემოში სახლის მესაკუთრეები, რომელთაც არ სურთ დაკარგონ საკუთრება, აღძრავენ სარჩელებს დამქირავებლების მიმართ ბინიდან გამოსახლების შესახებ. ცხადია, რომ ეს გამოიწვევს დამქირავებლების მდგომარეობის გაურკვევლობას.

იმის გამო, რომ შეუძლებელია ოჯახის წევრთა ცნების განსაზღვრა მარტოოდენ სისხლითი ნათესაობის ნიშნით, დამქირავებელი უძლური ხდება ბინის გამქირავებლის ოჯახის გაზრდის პირისპირ, რასაც შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ოჯახში უცხო პირების შემოყვანის საშუალებით.[2] არ არის გამორიცხული მესაკუთრისაგან ისეთ მყიდველზე სახლის გადასვლა, რომელსაც განსაკუთრებული მძიმე საბინაო პირობები აქვს. ეს უკანასკნელი არ დააყოვნებს მობინადრისაგან ბინის ჩამორთმევის მოთხოვნის წარდგენას, რადგან არ არის შეზღუდული მის წინამორბედსა და მობინადრეს შორის არსებული პირობებით. მანამდე სახლის მყიდველს მხოლოდ მაშინ შეეძლო მობინადრის გამოსახლება, თუ მისი საბინაო და ოჯახური პირობები შეიცვლებოდა შენობის ყიდვის შემდეგ.[3] ამჟამად ამ პირობების დაცვა მესაკუთრისათვის სავალდებულო არ არის.

3. საბჭოთა სამოქალაქო სამართალში შეძენითი ხანდაზმულობის იდეის უარყოფის გამო შენობის იდეალური წილის მესაკუთრე არასოდეს არ კარგავს ხანდაზმულობით უფლებას თავის წილზე. არათანამყოფ მემკვიდრის შეზღუდვა იმ მხრივ, რომ იგი ვალდებულია სასარჩელო დროის განმავლობაში გამოითხოვოს ფაქტიურ თანამემკვიდრისაგან თავისი ქონება[4], თუმცა განსაზღვრავს თანამესაკუთრეთა ურთიერთობას, მაგრამ წარმოადგენს კერძო შემთხვევას და, რაც მთავარია, ეხება ისეთ არათანამყოფ მემკვიდრეს, რომელსაც არ მოუხდენია შენობის წილის რეგისტრაცია თავის სახელზე კომუნალურ ორგანოში.

კომუნალურ ორგანოში, შენობის იდეალური წილის რეგისტრაციის ფაქტი, მესაკუთრის სახელზე უზრუნველყოფს განუსაზღვრელი ვადით საკუთრების უფლებას, თუნდაც სარგებლობის და მფლობელობის გარეშეც. ამრიგად, საერთო საკუთრება არასოდეს არ ისპობა ხანდაზმულობით. იდეალური წილის თანამესაკუთრეს ყოველთვის შეუძლია მოითხოვოს ქონების გადანაწილება და რეალურად გამოყოფა სხვა მფლობელ თანამესაკუთრისაგან[5].

გარდა ამისა, საერთო სახლის გაყიდვის შემთხვევაში იდეალური წილის მესაკუთრე სხვა მფლობელ თანამესაკუთრეთა თანაბრად იღებს კომპენსაციას მაშინაც კი თუ სხვა თანამესაკუთრენი მყიდველს უთმობენ თავის საცხოვრებელ ბინებს. ცხადია, რომ შენობის იდეალური წილის მესაკუთრის ასე ენერგიულად დაცვა არ არის გამართლებული. ეს ანომალია დაძლეული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შენობის მფლობელ თანამესაკუთრეს მიეცემა უფლება გარკვეული ვადის განმავლობაში გამოისყიდოს შენობის ნაწილი ისეთ თანამესაკუთრი-

---

[1] К. Тараданкин, „Известия“ от 26 сентября 1962 г., А, Фурашков, „Известия“ от 8 мая 1962 г., А. Александров, „Известия“ от 26 октября 1962 г.

[2] მართალია მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტებში ჩამოთვლილია ის პირები, რომლებიც ოჯახის წევრებად შეიძლება იყვნენ (მაგალითად საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტის 338-ე მუხლი), მაგრამ იგივე პროექტები დასაშვებად მიიჩნევენ ოჯახის წევრად აღიარებულ იქნან უცხო პირებიც თუ ისინი ბინის მფლობელთან ცხოვრობენ და აქვთ მასთან საერთო მეურნეობა.

[3] М. Нечецкий, Расторжение договора жилищного найма покупателем жилого дома, Социалистическая законность, 1958 г. № 2, გვ. 34.

[4] სსრ კ ვშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1957 წლის 10 აპრილის დადგენილების მე-4 პუნქტი.

[5] Бюллетень Верховного Суда СССР, 1961 г., № 2, стр. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგან, რომელიც არ ცხოვრობს შენობის სამყოფელ ადგილზე (პირობით დაგარქვათ ასეთ პირს არა თანამყოფი მესაკუთრე). მფლობელ მესაკუთრის მხრივ ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში იდეალური წილის მესაკუთრეს შეუძლია გაყიდოს მისი წილი სხვა პირზე. მყიდველის დამოკიდებულება შეძენილი ქონებისადმი ისევე, როგორც მისი წინამორბედის მდგომარეობა, გადაწყდება იმის მიხედვით ცხოვრობს იგი შენობის ადგილსამყოფელ ადგილზე თუ არა. პირველ შემთხვევაში მას უფლება აქვს მოითხოვოს შენობის რეალური წილის გამოყოფა, მეორე შემთხვევაში კი მხოლოდ კომპენსაცია ფულადი სახით.

4. თუ ქონება შეძენილია უსასყიდლოდ იმ პირისაგან, რომელსაც არ ჰქონდა მისი გასხვისების უფლება, მესაკუთრეს უფლება აქვს გამოითხოვოს ქონება ყველა შემთხვევაში (საფუძვლების 28-ე მუხლი). ასეთი განუსაზღვრელი ვინდიკაციის უფლების მინიჭება მესაკუთრეზე განსაკუთრებით უსამართლოა იმ შემთხვევაში, როდესაც უსასყიდლო ქონების შემძენი მესამე ან შემდეგი რიცხვის შემძენია და როდესაც ქონება მიღებული აქვს ისეთ პირისაგან, რომელმაც თავის მხრივ ქონება სასყიდლით შეიძინა. როგორც ცნობილია, ასეთი პირის მიმართ ვინდიკაციის უფლება ნამდვილ მესაკუთრეს მხოლოდ გარკვეულ პირობებში აქვს (საფუძვლების 28 მუხლის პირველი ნაწილი). ქონების შეძენის მიხედვით ვინდიკაციის პირობების განსხვავების დაწესება, რაც შენობებზედაც ვრცელდება, არ შეიძლება ჩაითვალოს საკითხის სწორ გადაწყვეტად. ასეთ განსხვავებას მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ვალდებულებითი ურთიერთობის წარმომშობ გარიგებათა მიმართ და არა სანივთო სამართალში[1].

5. მართალია თვითნებურად აგებულ შენობაზე საბჭოთა კანონმდებლობა არ ცნობს საკუთრების უფლებას, მაგრამ ასეთი შენობები სამოქალაქო ბრუნვაში არიან მოქცეული და სამომხმარებლო დანიშნულებას ასრულებენ. ასეთ სახლებზე საკუთრების უფლების განვრცობითი და შეზღუდვითი პირობები თანაბრად ვრცელდება. თვითნებურად აგებულ შენობად ითვლება ისეთი შენობა, რომელიც აგებულია მოტაცებული მიწის ნაკვეთზე ან სათანადო წესით გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე, მაგრამ აქვს უნებართვო დაშენება, მიშენება ან აგებულია სახლის პროექტის ან სანიტარულ-ტექნიკურ ნორმების დარღვევით.[2]

თვითნებურად აგებულ შენობების ბედს ნაწილობრივ იზიარებენ ქალაქის რეკონსტრუქციის ზონაში მოქცეული ასაღები შენობები. ასეთ შენობებში არ შეიძლება საცხოვრებლად გაწერვა, ბინების გაცვლა და გაყოფა.[3] თვითნებურად აგებულ შენობებზე საკუთრების შესახებ აღძრული დავების განხილვა სასამართლო ორგანოების კომპეტენციაში არ შედის. დასაშვებია მხოლოდ ამ შენობათა სარგებლობის შესახებ აღძრული დავების განხილვა სასამართლოების მიერ[4]. კერძოდ, ასეთი სახლიდან შეიძლება მობინადრის გამოსახლება[5].

სხვადასხვა უფლებრივ რეჟიმს ემორჩილება თვითნებურად აგებული შენობები იმის მიხედვით თუ როდის არიან ისინი აგებული. საქართველოს სსრ კანონმდებლობით 1956 წლამდე აგებულ შენობების მფლობელები მათი სახ-

---

[1] ჩეხოსლოვაკიის სამოქალაქო სამართლის კოდექსი ამ მომენტს (სასყიდლითაა შეძენილი თუ უსასყიდლოდ ქონება) ნიშვნელობას აძლევს მოძრავი ქონების მიმართ (მუხლი 154) და ეს გასაგებია, ვინაიდან შენობის რეგისტრაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება და უზრუნველყოფს ზოგიერთი გამონაკლისის გარდა ნებისმიერ მდგომარეობას. საფრანგეთის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით აღნიშნულ მომენტს მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ ვალდებულებითი ურთიერთობის წარმომშობ გარიგებების მიმართ.

Французский Гражданский Кодекс, ст. 1927., Перевод И. С. Перетерского, Москва, 1941 г.

[2] Советская Юстиция, 1963 г., № 8, стр. 30.

[3] Советская Юстиция. 1963 г., № 3. стр. 11.

[4] Постановление Пленума Верховного Суда СССР от 31 июля 1962 г., п. 10.

[5] Советская Юстиция, 1963 г. № 3, стр. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების სახელმწიფო საჭიროებისათვის აღების დროს დაკმაყოფილებული უნდა იქნენ სათანადო ბინით ან მათ უნდა მიეცეთ მიწის ნაკვეთი სახლის მიეხებლობისათვის[1]. ასეთი პრაქტიკა ამჟამადაც არსებობს. თვითნებური მშენებლობა, სხვა სისხლის სამართლის ისეთ დასასჯად ქმედობებთან ერთად, როგორიცაა, მაგალითად უნებართვო რეწვა და სხვა, შედის არალეგალურ მეურნეობის სფეროში იმ განსხვავებით, რომ თვითნებური მშენებლობის ფაქტები აღირიცხება კომუნალურ ორგანოებში და მათ მფლობელებთან მყარდება ერთგვარი უფლებრივი ურთიერთობა: ასეთ ნაგებობების მფლობელებს მიეცემათ დროებითი საბინაო დავთრები და გადახდებათ გადასახადები.

ნაწილობრივ, თვითნებურად მშენებლობა გამოწვეულია ქალაქებში მიწის ნაკვეთების მოქალაქეებზე გამოყოფის ძოუწესრიგებლობით და ერთგვარ სტიქიურ პასუხს წარმოადგენს ამ ნაკლოვანებაზე[2].

თვითნებურ შენობათა კატეგორიის რიცხვში გადადის გეგმიური შენობები უნებართვო გადაგეგმარების ან მიშენების გამო. ეს გარემოება განაპიროობებს უგეგმო სახლების რიცხვის ზრდას თუმცა თვითნებური მშენებლობა ყოველ წელს კლებულობს.

თვითნებურად აგებული შენობები იყიდება, გირავდება შინაური ხელშეკრულებებით. ისინი პერმანენტულად განიცდიან ცვლილებას, ვინაიდან მათი რეკონსტრუქცია ან გადაკეთება ხდება ნებართვის გარეშე, რაც სავალდებულოა გეგმიური შენობისათვის და რომლის მიღება გეგმიური შენობის მესაკუთრისათვის საძნელოა მთელი რიგი ფორმალური ხასიათის დაბრკოლებათა გამო. ასეთი შენობების სწრაფ მიმოქცევას ბრუნვაში ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ შენობის ერთი მესაკუთრიდან მეორეზე გადასვლა ხდება სახელმწიფო ბაჟის გადახდის გარეშე. ამასთანავე მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საკუთრების დამახასიათებელი ერთერთი ინგრედიენტი, როგორიცაა სარგებლობა, ასეთ შენობაზე დაცულია სასარჩელო წესით და ადმინისტრაციული საშუალებებით, რაც საკმარისად უზრუნველყოფს თვითნებურად აგებული შენობის შემძენის ინტერესებს. როგორც გეგმიური ისე თვითნებური შენობა აღებული უნდა იქნეს ქალაქის ან მისი კვარტალის განაშენიანების გეგმის საფუძველზე. აღნიშნული გეგმის პირისპირ გეგმიურ შენობას უპირატესობა არ ეძლევა.

როგორც ცნობილია, გეგმით გათვალისწინებული ამა თუ იმ კულტურულ-საზოგადოებრივი მშენებლობის ობიექტის შეცვლა სხვა დანიშნულების ობიექტით აღმასკომს ყოველთვის შეუძლია თავის ცალკეული გადაწყვეტილებით[3].

ეს იწვევს გეგმების ხშირ ცვალებადობას[4].

ქალაქის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით გეგმიური შენობის აღების დროს მესაკუთრეს, ბინით უზრუნველყოფის შემთხვევაში, არ ეძლევა შენობის ღირებულება. მესაკუთრეს ამ შემთხვევაში ეძლევა მხოლოდ ბინა სულადობის

---

[1] საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წ. 27 ივლისის დადგენილება.

[2] Б. Светличный, Насущные вопросы развития жилищного строительства, Правда, 1957 г., от 4 августа.

[3] Строительные нормы и правила, часть II, стр. 127., Москва, 1954 г.

[4] ნორმატულ აქტებში, მათ შორის აღმასკომების გადაწყვეტილებებში მოხსენებულია შემდეგი სახის გეგმები: ქალაქის განაშენიანების პერსპექტიული გეგმა, მშენებლობის პირველი რიგის დეტალური დაგეგმარების გეგმა, მიმდინარე გეგმები. ყველა ეს გეგმები უნდა ემყარებოდეს ერთმანეთს და ყველანი რაიონული დაგეგმარების სქემას. ქალაქის პერსპექტიული (გენერალური) გეგმის შინაარსი და შემადგენლობა განსაზღვრულია რსფსრ-ის კანონმდებლობით (Жилищные законы, Москва, 1957 г., стр. 48). ამ გეგმების გამოქვეყნება კანონით არ არის დადგენილი. რსფსრ-ის მიწის კოდექსის 150-ე მუხლის თანახმად ქალაქის განაპირა მიწების განაშენიანების გეგმები თავის დროზე და საჯაროდ უნდა იყოს გამოქვეყნებული მოსახლეობისათვის. მაგრამ ეს ნორმა არ ვრცელდება ქალაქის განაშენიანების გეგმებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვალობაზე არსებული ნორმის შესაბამისად[1]. ასევე კმაყოფილდებიან თვითნებურად აგებულ სახლში მცხოვრები პირები.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ ორივე სახის სახლების მფლობელთა მდგომარეობა ერთმანეთს უთანაბრდება, მათ შორის მაინც უნდა აღინიშნოს შემდეგი განსხვავება: გეგმიური შენობის აღება შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის და შეუძლებელია მესაკუთრეთა თანხმობის გარეშე მათ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის გადაცემა მარტივი ამხანაგობის, ინდივიდუალურ მშენებელთა კოლექტივის სახლების მშენებლობისათვის. თვითნებურ მენაშენეთა მიწის ნაკვეთი შეიძლება გადაეცეს ყოველ მენაშენეს, მათ შორის მოქალაქესაც თუ ასაგები შენობის პროექტი აკმაყოფილებს ქალაქის განაშენიანების გეგმას[2].

საკუთრების უფლების შეზღუდვითი პროცესი შენობაზე უფრო მეტი ინტენსიურობით ხასიათდება.

6. როგორც ცნობილია, პირადი საკუთრება და კერძო საკუთრება სრულ წინააღმდეგობაში არიან ურთიერთშორის. მათი განსხვავება გამოყენების სფეროში მჟღავნდება. პირველი აკმაყოფილებს მოქალაქის პირად საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებას, მეორე არაშრომითი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს და, მაშასადამე, შეიძლება ჩამოერთვას მესაკუთრეს[3].

არაშრომითი შემოსავლის ცნება სასამართლო პრაქტიკაში ზუსტად არ არის დადგენილი. მაგალითად, კომუნალური ბინების მიმართ ამ ცნების გამოყენებას ასეთი ვარიაციები ახასიათებს: თუ ბინის ქვექირავნობის წესით გაქირავება სპეკულაციურ და სისტემატურ ხასიათს ატარებს შესაძლებლადაა მიჩნეული გამქირავებელთან დადებული ხელშეკრულების მოშლა[4]. ამავე დროს განმარტებულია, რომ ქვექირავნობა არ არის განსაზღვრული რაიმე ვადით და, მაშასადამე, შესაძლებელია სისტემატურ ხასიათსაც ატარებდეს[5].

დაწესებულ ნიხრზე ზედმეტი თანხის გადახდევინება დამქირავებელზე ყოველთვის არ ითვლება არამართლზომიერ მოქმედებად[6]. ამგვარად, აქაც ქირავნობის სპეკულაციისათვის დამახასიათებელი თვისება რელატიურია და დადგინდება არა გარკვეული ნიშნით, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არსებული მასალების მიხედვით. ვინაიდან კერძო საკუთრებას და პირად საკუთრებას ერთი და იგივე იურიდიულ-ფორმალური ნიშნები განსაზღვრავენ და მათ შორის განსხვავება მხოლოდ გამოყენების სფეროში მჟღავნ-

---

[1] სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 15 დეკემბრის № 1131 დადგენილების 1-ლი მუხლი.

[2] აქაც უნდა განვასხვავოთ თვითნებური შენობების უფლებრივი რეჟიმი იმის მიხედვით თუ როდის არის აგებული ასეთი შენობები. 1940 წლამდე ე. ი. ტიქინენტარიზაციის ბიუროების დაარსებამდე აგებული უგეგმო შენობები სრულიად უნდა გაუთანაბრდეს გეგმიურ შენობებს. 1956 წლის 27 ივნისამდე აგებული შენობის მფლობელის მიწის ნაკვეთის სხვაზე გადაცემა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის ფლობს არა კაპიტალურ სახის შენობას. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე (1961 წლის 1-ლი მარტი) აგებული შენობები ეზიარებენ წინათ აგებული შენობების ბედს. ასეთი სახლების მფლობელები შეიძლება გამოსაღლებელნი იქნენ თავიანთ შენობებიდან ბინის მიცემის პირობით თუ სახლის აღება ხდება საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის.

[3] Советская юстиция 1963 г., № 3, стр. 10., „Обзор судебной практики о праве собственности на строение".

[4] Бюллетень Верховного Суда СССР, 1961 г., № 2, стр. 10.

[5] Бюллетень Верховного Суда СССР, 1962 г., № 2, стр. 9.

[6] Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1963 г., № 1, стр. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება, საკითხი იმის შესახებ თუ რა სახის საკუთრებასთან გვაქვს საქმე, ამა თუ იმ შემთხვევაში დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე და მათ შორის ამ მოვლენათა განმსაზღვრელის უნარზე და ობიექტურობაზე. ერთი და იგივე მფლობელობა შეიძლება სხვადასხვა დროს იყოს პირადი საკუთრება და კერძო საკუთრებაც; საქმე იმაშია თუ როდის არის გამომჟღავნებული პირადი საკუთრებისათვის დამახასიათებელი ეკონომიური თვისება.

ამ მოვლენათა ერთიდან მეორეში გადასვლის შესაძლებლობის გამო, პირადი საკუთრების უფლებაც იზიარებს იმ ეჭვს, რომელიც კერძო საკუთრებას თან სდევს. სწორედ ამიტომაა, რომ საკუთრების განკარგულება შენობაზე სათანადო კონტროლის ქვეშ არის დაყენებული.

გასხვისების მართლზომიერების დასასაბუთებლად მესაკუთრე ვალდებულია მოიყვანოს ისეთი მოტივები, რომლებიც გამორიცხავენ მის მხრივ გამორჩენის მიღების შესაძლებლობას.[1] ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ გამორჩენის მიღების შესაძლებლობა ახასიათებს არა მარტო კერძო საკუთრებას, არამედ სხვა სახის საკუთრებასაც გარკვეულ პირობებში. მაგალითად, სახელმწიფო საკუთრება შეიძლება გამოყენებული იქნეს პირადი ინტერესებისათვის ისე, რომ ამ უფლების ბოროტად გამომყენებელს არ წარედგინოს ბრალდება სისხლის სამართლის ან დისციპლინალური დანაშაულის ჩადენაში. მაგალითად, როდესაც სახელმწიფო საკუთრება (მანქანა, აგარაკი და სხვა), გამოყენებულია მოქალაქის საკუთარი სახსრების დაზოგვის მიზნით ისე, რომ გამოყენებული ქონება იურიდიულად სახელმწიფო საკუთრებად რჩება[2].

7. სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობაში ჯერ არ არის გადაწყვეტილი საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ხდება სახლის გაყოფა თანამესაკუთრეთა შორის. სახლის წილი გადადის თანამესაკუთრის საკუთრებაში თუ სარგებლობაში? ორივე ტენდენცია საკმარისად განმტკიცებულია პრაქტიკით. სასამართლო პრაქტიკის ერთი თვალსაზრისით მიწის ნაკვეთზე აგებული სხვადასხვა შენობები წარმოადგენენ ძირითად შენობის საკუთვნებელ ნივთებს და თითოეული მათგანი შეიძლება გახდეს გარიგების დამოუკიდებელი ობიექტი[3]. მეორე შეხედულებით ერთი მიწის ნაკვეთზე არსებული შენობები წარმოადგენენ ერთ განუყოფელ შენობას და თითოეული მათგანი აღინიშნება გეგმაში ლიტერის ქვეშ და აღირიცხება იდეალურ წილებში თანამესაკუთრეებზე, თუნდაც თითოეული მათგანი დამოუკიდებელ შენობას ფლობდეს[4]. ამ შემთხვევაში შენობის გამოყოფა შეიძლება მხოლოდ მიწის ნაკვეთთან ერთად[5] და მაშასადამე, სახლის გაყოფა თანამესაკუთრეთა შორის ხდება სარგებლობის და არა საკუთრების უფლებით.

თუ შენობის თანამესაკუთრე, გარკვეული ნაწილის მესაკუთრედ იქნება

---

[1] М. Булакина, А. Васильева, „Нотариусы должны поддерживать тесную связь с местными советами". Советская юстиция, 1962 г. № 22. стр. 29. А. Зенюка, А. Климова, „Удостоверение договоров отчуждения домовладении и долей домовладений", Советская юстиция 1962 г., № 24, стр. 15.

[2] სახელმწიფო ქონების პირადი და ანგარებითი მიზნით გამოყენების შესაძლებლობა, ე. ი. მისი კერძო საკუთრების მსგავსად გამოყენება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის გარეშე აღიარებულია ბრძანებულებით „მოქალაქეთა მიერ არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შეძენილი სახლების, აგარაკებისა და სხვა ნაგებობის უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ", კომუნისტი, 1962 წ. 16 აგვისტო.

[3] Социалистическая законность, 1961 г. № 10, стр. 84—85.

[4] Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1962 г. № 2, стр. 4.

[5] Инструкция Министерства юстиций РСФСР от 1 сентября 1958 г., стр. 33.

ცნობილი, იგი განთავისუფლდება მოვალეობისაგან—შესთავაზოს მეორე თანამესაკუთრეს თავისი წილი, ქონების გასხვისების შემთხვევაში. ამგვარად, უქმდება სახლის წილის ყიდვის უპირატესი უფლება რაც საერთო საკუთრების დედაბოძს წარმოადგენს. ამავე დროს თანამესაკუთრეებს სამუდამოდ მოესპობათ საშუალება შენობის გადანაწილებისა შეცვლილი მდგომარეობის გამო (სახლის ძიშენება, დაშენება, სახლის ნაწილის განადგურება ხანძრის ან სხვა გარემოებათა გამო) და რაც მთავარია ასეთ პირობებში ისპობა თანამესაკუთრეების წრიული პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე.

თავისთავად ცხადია, რომ ამ თვალსაზრისს ვერ გაიზიარებს საბჭოთა სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა, რომელიც სახელმწიფოს ინტერესებს პირველ რიგში აყენებს.

ზემოთ მითითებული პრინციპიდან გამონაკლისს წარმოადგენს ინდივიდუალურ მენაშენეთა კოლექტივების სახლები, რომელშიაც თითოეულ მენაშენეს აქვს საკუთრების უფლება თითოეულ ბინაზე და არა წილადობრივად მთლიან სახლზე. მაგრამ აქაც მენაშენეს თავისი ბინის ნაწილის გაყიდვა შეუძლია კოლექტივისა და ადგილობრივი საბჭოს ნებართვით[1].

მეორე გამონაკლისს წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტით გათვალისწინებული ნორმა თანამესაკუთრეთა შორის სახლის რეალურად გაყოფის შესაძლებლობის შესახებ ნოტარიალური შემოწმებით, რაც სავალდებულო ხდება თანამესაკუთრეთა უფლების მონაცვლეებისათვისაც (მუხლი 132). მაგრამ ასეთი სიახლის შეტანა მოითხოვს ჩამორჩენილი უბნის სახლების რეგისტრაციის საქმის რეორგანიზაციას[2].

1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების დამატებით, რომლის მიხედვით თითოეულ მოქალაქეს შეეძლო მხოლოდ დამოუკიდებელი 5 ოთახიანი შენობის აგება, ამჟამად დასაშვებადაა მიჩნეული, რამდენიმე მშენებლის მიერ მრავალბინიანი სახლის აგება ერთ მიწის ნაკვეთზე, ისე რომ თითოეულის საცხოვრებელი ფართობი არ აღემატებოდეს 60 კვ. მ. ფართობს[3].

---

[1] Советская юстиция, 1961 г. № 14, стр. 23. იგივე ჟურნალი 1962 წ. № 15—16, გვ. 16.

[2] უკრაინის სსრ-ში, სადაც სამამულო ომის შედეგებთან დაკავშირებით ინვენტარიზაციის ბიუროებს მიეცათ დიდი უფლებები სახლზე საკუთრების უფლების დადგენის ჩათვლით, სახლის მესაკუთრეებს აღრიცხავენ წილადობრივად და არა სახლის რეალური წილების აღნიშვნით (იხ. тезисы докладов научно-технической конференций по техническому учету основных фондов жилищно-коммунального и Городского хозяйства, Минск, 1960 г., стр. 21.). სახლების რეალური წილის აღრიცხვის ორგანიზაციისათვის საჭიროა შეიმუშავებული იქნეს აღრიცხვის საჯაროობა და ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროების მატერიალური პასუხისმგებლობა ჩანაწერის სინამდვილისათვის. ასეთ შეთხვევაში აღრიცხული უნდა იქნეს არა მარტო სახლის ნაწილები, არამედ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სახლის ყიდვის უპირატესი უფლება; ერთ-ერთ თანამესაკუთრეზე დაკისრებული ვალდებულება მეორე თანამესაკუთრის სასარგებლოდ წარმოშობილი, სახლის გაყოფასთან დაკავშირებით; სახლის გასხვისება გადადების პირობით; ერთიანი ... და სხვა სანივთო ხასიათის ვალდებულებანი, რომელიც შენობას ან მის ნაწილს აწევს, ეს კი მოითხოვს ჩანაწერია გასაჩივრებია სპეციალური დებულების შემუშავებას.

[3] А. Климанова, „Нотариальная практика по удостоверенно договоров об отводе земельных участков граждан", „Советская юстиция," 1962 г. № 15—16. стр. 16.

ერთ მიწის ნაკვეთზე მართვა აშენებულ ბინერ სახლის აგება, რასაც ამჟამე დროს გულისხმობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბინერ 1960 წლის 12 ივლისს ინდივიდუალური მშენებლობის შესახებ დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლი წარმოშობს დიდ ნაგიზობაზე ერთპიროვნულ საკუთრების შესაძლებლობას, რამდენადაც არ არის განორიცხული სხლის წილის მოჩვენებითად გაფორმება ნდობით აღჭურვილ პირზე, რომელიც ხელაბე პირებთან გამოვა მესაკუთრის სახით.

ასეთი სახის საკუთრება დაემსგავსება მოუწესრიგებელ ფიდუციარულ საკუთრებას.

ამ შემთხვევაშიაც შენობაზე წარმოიშვება საერთო საკუთრება და არა ინდივიდუალური საკუთრება სახლის ნაწილებზე. მაგრამ ასეთი შედეგი არ აკმაყოფილებს საერთო საკუთრების თანამონაწილეებს, ვინაიდან ყოველ მათგანს გარკვეულ პირობებში შეუძლია მოითხოვოს შენობის სარგებლობის პირობების შეცვლა. ეს არ უზრუნველყოფს აგრეთვე შენობის ან მისი წილის შემძენის ინტერესებსაც, რომელსაც ასეთ ვითარებაში ყოველთვის ემუქრება შენობის სარგებლობის პირობების შეცვლის საშიშროება. ამის გამო, კანონმდებლობის წინაშე დგას რთული საკითხი ორი საწინააღმდეგო საწყისის შეთავსების შესახებ: ერთის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნეს მესაკუთრეთა უფლების სტაბილობა და მეორეს მხრივ, შენარჩუნებული იქნეს სახლის განუყოფელობის პრინციპი.

8. განსაკუთრებით დიდი სოციალურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად არაშრომითი შემოსავლით აგებულ შენობების ჩამორთმევას მესაკუთრეებისაგან. ვერც სამი წლის ვადის გასვლა სახლის აგების დღიდან, ვერც შენობის მემკვიდრეობით მიღება ვერ შეაჩერებს არაშრომითი შემოსავლით აგებული სახლის ჩამორთმევას მესაკუთრისაგან ან მისი მემკვიდრისაგან[1].

არის შემთხვევები, როდესაც შენობები ერთმევა მცირე ხელფასის მქონე მოქალაქეებს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ მათ არ შეეძლოთ შენობის აგება. ეს ქმნის ერთგვარ დისკრიმინაციას სხვადასხვა ხელფასის მქონე მოსახლეობის კატეგორიებს შორის[2]. თუ არ არის დადასტურებული მესაკუთრის თაღლითური ან ზედმეტად საეჭვო ყოფაქცევა პირდაპირი ან არაპირდაპირი ფაქტების საშუალებით, ზემოთ მითითებული საფუძვლით სახლის ჩამორთმევა არ შეიძლება ჩაითვალოს სწორად.

თავისთავად ცხადია, რომ არაშრომით შემოსავლად არ შეიძლება ჩაითვალოს ოფიციალურად გაფორმებული რეწვაობიდან (პატენტით), იჯარის ხელშეკრულებიდან ან მსგავსი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

არაშრომითი შემოსავლით აგებულ სახლებიდან გამოსახლებულ პირებს თუ მათ არა აქვთ ბინები, მიეცემათ საცხოვრებელი ფართობი არსებული ნორმების მიხედვით. არსებული ნორმის ქვეშ იგულისხმება საცხოვრებელი ფართობი არა ნაკლებ 9 კვ. მეტრისა სულზე (საფუძვლების 59-ე მუხლი). გარკვეულ პირობებში ეს არ აუარესებს გამოსახლებული პირის მდგომარეობას, ვინაიდან ბინის სიკეთე, როგორც სამომხმარებლო დანიშნულების საგნისა, უმთავრესად, მასში ცხოვრების შესაძლებლობით არის გაპირობებული და არა იმით თუ ვის საკუთრებას წარმოადგენს იგი. ამის გამო, მუშა-მოსამსახურეთა შრომითი მონაწილეობით აგებული სახელმწიფო სახლი, იმ ეფექტის მიხედვით, რომელიც ასეთ სახლში შესახლებულ პირმა უნდა მიიღოს უახლოვდება პირად საკუთრებაში შეძენილ სახლს, რადგან ორივე შემთხვევაში ბინაში შესახლება ხდება ადგილობრივ საბჭოს მხრივ ბინების განაწილების გარეშე[3].

სხვაგვარ შედეგთან გვაქვს საქმე იმ შემთხვევაში, როდესაც არაშრომითი

---

[1] И. Горшенова, С. Миронов, „Вопросы применения закона о безвозмездном изъятии строений приобретенных на нетрудовые доходы", Совесткая юстиция, 1962 г., № 24. стр. 6.

[2] აქ თავისუფლად შეიძლება გამოყენებული იქნეს ბ. ნიკიფოროვის სიტყვები: „В последнее время появился термин—„Шараханье". Так мы называем резкие перемены судебной практики из одной крайности в другую: от неоправданной мягкости к столь же неоправданной жесткости", Б. Никифоров „Известия" от 23 V 1962 г.

[3] ა. ხოჭოლავა, საცხოვრებელ ფართობზე უფლების ახალი სახეები, „საბჭოთა სამართალი", 1958 წ. № 1, გვ. 25.

შემოსავლით სახლის ამგები პირი დაბრუნებული უნდა იქნეს თავის ძველ ბინაში. დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული ძველ ბინაში შესახლება თუ იგი წარმოადგენს სარდაფს ან თუ იგი კეთილმოუწყობელია (საფუძვლების 61-ე მუხლი). კეთილმოწყობილი ბინის ქვეშ იგულისხმება კაპიტალური ხასიათის შეხობაში არსებული ბინა მოცემულ ადგილისათვის (ქალაქისათვის, დაბისათვის) დამახასიათებელი კომუნალური კეთილმოწყობით[1]. ჩვენი აზრით ძველ ბინაში ასეთი ოჯახის დაბრუნებისათვის საჭიროა, რომ თითოეულ სულზე საცხოვრებელი ფართობი მოდიოდეს არა ნაკლები 6 კვ. მეტრისა სულზე[2]. თუ ზემოთ აღნიშნული პირობები არ არსებობს, ამ შემთხვევაში გამოსასახლებელ პირს უნდა მიეცეს ახალი ბინა არსებული ნორმების მიხედვით.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, შეიძლება წარმოიშვას ისეთი სიტუაცია, როდესაც მობინადრის გამოსახლება მხოლოდ გამონაკლისს და გარკვეულ პირობებში იქნება სასარგებლო კომუნალური ორგანოებისათვის მსგავსად იმ პრაქტიკისა, რომელიც შეიქმნა საქართველოს სსრ-ში პროექტის დარღვევით აგებული სახლების მენაშენეთაგან ზედმეტი ფართობის ჩამორთმევის საკითხში[3] (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 147 მუხლი).

კომუნალურ საცხოვრებელ ფონდში გადადის არა მარტო ზემოთ მითითებული კატეგორიის სახლები, არამედ სახლის ნაწილები აგებული დამტკიცებული გეგმის ზევით. ეს კი წარმოშობს სახელმწიფოსა და მოქალაქეთა საერთო საკუთრებას შენობაზე, რაც კანონის თანახმად ლიკვიდირებული უნდა იქნეს შემდეგნაირად: თანამესაკუთრეთა შორის სახლის გაყოფის საშუალებით თუ სახლის გაყოფა შეიძლება; ერთ-ერთი თანამესაკუთრის მიერ მეორისაგან სახ-

---

[1] „Советская юстиция" 1962 г. № 23, стр. 29.

[2] ამ ნორმისა და საცხოვრებელი ფართობის სხვა ნორმების შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: კომუნალური ორგანოების პრაქტიკის მიხედვით, ბინის ძირითად დამქირავებელს უფლება ეძლევა ქ�ქირავნობის ხელშეკრულებით ბინის გაქირავებისა იმ შემთხვევაში, თუ ბინაში მაცხოვრებელ თითოეულ სულზე მოდის არა ნაკლები 6 კვ. მ. ფართობისა.

ეს ნორმა, რ გორც მინიმალური, გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტითაც (მუხლი 360). გენერალური გეგმით თბილისში მიღებულია ნორმად 15 კვ. მ. სულზე (იხ. И. Чхенкели, „Тбилиси сегодня и завтра", Заря Востока 31/VIII-1962 г.) საცხოვრებელი ფართობის ნორმად საქართველოში ქალაქების მიხედვით მიღებულია 10 ან 12 კვ. მეტრი (კანონთა კრებული 1933 წ. № 2, მუხლი 37) თბილისში ბინის აღრიცხვაზე აყვანისთვის მოქალაქეს უნდა ჰქონდეს 4 კვ. მეტრზე ნაკლები ფართობი. საცხოვრებელ ფართობში გარდა ნაგებენი საცხოვრებელი ფართობისა შედის ნიშების, გარდერობების, კედლის კარადის ფართობი, თუ ისინი მიჩეული არიან საცხოვრებელ ოთახებში. საზარეულის ფართობი 6 კვ. მეტრზე ნაკლი ოდენობის შედის საცხოვრებელ ფართობში. ბინაზე მიდგმული ვერანდები და ლოჯი 6 კვ. მეტ. ფართობზე მეტი ოდენობით 0,5 კოეფიციენტის გამოყენების შემდეგ შედის საცხოვრებელ ფართობში (Строительные нормы и правила, часть II, глава 10, Москва 1958 г., стр. 4—6).

[3] აღნიშნულ ღონისძიებამ არ მოიტანა სათანადო შედეგი, რადგან ერთ შემთხვევაში გეგმის ზევით აგებული ფართობი მცირე გამოდგა, მეორე შემთხვევაში ძისი იზოლაცია შეუძლებელი გახდა. ეს ღონისძიება გამოყენებულია მხოლოდ იმ მენაშენეთა მიმართ, რომელთაც დარღვეა სახლის მშენებლობის პროექტი თუნდაც არ ჰქონდეთ დარღვეული კანონით გათვალისწინებული შენობის ოდენობის და სართულიანობის ნორმა და არ არიან გამოყენებული იმ მეხანძრეთა მიმართ, რომელთაც კანონის დარღვევით მიიღეს ზედმეტი ფართობი აგების უფლება. რსფსრ-ში და სხვა რესპუბლიკებში ზედმეტი ფართობის აგება იწვევს მშენებელთან მიწა გამოყოფის შესახებ დადებული ხელშეკრულების გაუქმებას და შენობის კომუნალურ ფონდში ჩარიცხვას (Советская юстиция, 1961 г., № 7, стр. 23). ხელშეკრულების გაუქმების საბაბით სახლის ჩაბარებისა შეიძლება მხოლოდ მენაშენის კომპენსაციის პირობით (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 145 მუხლი).

ლის გამოსყიდვის, ან სახელმწიფოს მიერ თავისი წილის მობინადრეზე მიყიდვის საშუალებით, ან საერთო შენობის გაყიდვისა და თანხის მეზაკუთრეთა შორის განაწილების გზით. თუ ეს საშუალებები არ არსებობს სახლი უსასყიდლოდ გადავა კომუნალურ ფონდში.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სახლის გაყოფა საკუთრების უფლებით შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ მიწის ნაკვეთზე რამდენიმე შენობაა აგებული და არსებობს შესაძლებლობა ერთ-ერთი შენობის გამოყოფისა მიწის ნაკვეთთან ერთად. ეს საშუალება კი შეიძლება გამოყენებული იქნეს მცირე რაოდენობის სახლების მიმართ. საერთო საკუთრების ლიკვიდაციის სხვა საშუალებები კი უმრავლეს შემთხვევაში არ არის სასარგებლო საერთო საკუთრების თანამონაწილეებისათვის.

თუ მოქალაქეთა საკუთრებაში დატოვებული იქნა საცხოვრებელი ფართობი 60 კვ. მეტრის რაოდენობით (რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტის 115 მუხლით), მაშინ გაიზრდება სახელმწიფოსა და მოქალაქეთა შორის შენობაზე საერთო საკუთრების წარმოშობის შემთხვევები აქედან გამომდინარე შედეგებით, რაზედაც ზემოთ იყო მითითებული.

პარალელურად აღნიშნულისა, მცირე მოცულობის სახლების არარენტაბელობის გამო, აღმასკომები დაინტერესებული არიან ასეთი სახლების მოქალაქეებზე გასხვისებაში. არსებობს პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რომ ხელი შეუწყონ მოქალაქეებს ერთ ან ორსართულიან ხუთი ოთახისაგან შემდგარ კომუნალური სახლების შეძენაში[1].

---

[1] Социалистическая законность, 1959 г., № 12, стр. 67.

ამჟამად 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებით გადახვევით, ნებადართულია მოქალაქეების მიერ მრავალბინიანი სახლების მშენებლობა. ამასთან დაკავშირებით მოსალოდნელია, რომ აღმასკომებს მიეცეს უფლება 5 ოთახზე მეტი ოთახების შემცველ სახლების გასხვისებისა რამდენიმე მოქალაქეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის სამართლის საქმეთა სამსჯავრო განხილვის აღმზრდელობითი მნიშვნელობა

ა. ფუფანაშვილი

მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში დიდი როლი აკისრია საბჭოთა სასამართლოს. სკკპ XXII ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალი ადამიანის ფორმირება ხდება არა მარტო პარტიის ყოველდღიური აღმზრდელობითი მუშაობის გავლენით, არამედ აგრეთვე საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების მთელი წყობის, მათ რიცხვში „სამართლებრივი ნორმებისა და სასამართლო პრაქტიკის გავლენით“[1].

საბჭოთა სასამართლოს აღმზრდელობითი მოღვაწეობა მეტად მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. სასამართლო არა მარტო სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების განხილვა-გადაწყვეტით, არამედ მთელი თავისი საქმიანობით აქტიურად უწყობს ხელს სოციალისტური კანონიერების და მართლშეგნების განმტკიცებას, ადამიანთა შეგნებაში წარსულის მავნე გადმონაშთების აღმოფხვრას, ჩვენს ქვეყანაში სამართლის ნორმების დარღვევის საბოლოოდ ლიკვიდაციას. ამ მიზნისათვის სასამართლოები ფართოდ იყენებენ იდეური ზემოქმედების სხვადასხვა ფორმებს: ლექციებს, თემატურ საღამოებს, პრესას, რადიოს და სხვ.

რადგანაც ჩვენი მსჯელობის საგანია სისხლის სამართლის საქმეების სამსჯავრო განხილვის აღმზრდელობითი მნიშვნელობა, ამიტომ ჩვენ მხოლოდ ამ საკითხს ვეხებით წინამდებარე სტატიაში.

* * *

სამსჯავრო განხილვა წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეებზე საბჭოთა მართლმსაჯულების განხორციელების ერთადერთ ფორმას. მხოლოდ სასამართლოს, და ისიც მხოლოდ სამსჯავრო განხილვის შედეგად, შეუძლია ცნოს დამნაშავედ სამართალში მიცემული პირი და შეუფარდოს მას კანონით გათვალისწინებული სასჯელი.

მართალია სამსჯავრო განხილვის საგანს წარმოადგენს პირის ბრალეულობის საკითხი და სასამართლომ საქმის განხილვის შედეგად დადგენილ განაჩენში კატეგორიული პასუხი უნდა გასცეს სწორედ ამ საკითხს, მაგრამ სასამართლოს ამოცანები სამსჯავრო განხილვის სტადიაზე არ ამოიწურება მარტოოდენ დამნაშავის სამართლიანი დასჯით და უდანაშაულო პირის გამართლებით.

რასაკვირველია, სასამართლომ უნდა დასაჯოს დამნაშავე, არ უნდა დაუშვას უდანაშაულო პირის მსჯავრდება. ეს სასამართლოს პირდაპირი დანიშნულებაა და ამის გარეშე წარმოუდგენელია მართლმსაჯულების განხორციელება, მაგრამ „სასამართლო არა მარტო სჯის დამნაშავეებს, არამედ აგრეთვე მიზნად ისახავს

---

[1] სკკპ XXII ყრილობის მასალები, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1962, გვ. 236.

მათ გამოსწორებას და ხელახლად აღზრდას“ (სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძვლების მე-3 მუხლი).

სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ სამსჯავრო განხილვა აღმზრდელობით ზემოქმედებას ახდენს მარტოოდენ მართლზომიერი განაჩენის დადგენით და რომ ბრალდებული მთლიანად იგრძნობს დანაშაულს სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე უკვე იმით, თუ იგი დაისაჯა სამართლიანად, თავისი ბრალის ხარისხის შესაბამისად. სასამართლოს მიერ დამნაშავისათვის შეფარდებული სასჯელის ღონისძიება რომ აღმზრდელობით მიზანს ისახავს, ეს უდავოა, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ განაჩენის გამოცხადებით სამსჯავრო განხილვა მთავრდება, რომ სასჯელი სისრულეში არ მოიყვანება უშუალოდ სასამართლოში. სასამართლოს უშუალო წვლილი დამნაშავის აღზრდაში განისაზღვრება უმეტესად იმით, თუ რა დადებითი ზეგავლენა მოახდინა სამართალში მიცემულის ფსიქიკაზე პროცესის მსვლელობამ. დამნაშავის გამოსწორება და ხელახლად აღზრდა მეტად რთული და ხანგრძლივი პროცესია. შეუძლებელია ამ პროცესის დაწყებისა და დამთავრების კალენდარული სიზუსტით დადგენა, მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თუ სამართალში მიცემულის აღზრდას სამსჯავრო განხილვის სტადიაზე არ ჩაეყარა მტკიცე საფუძველი, თუ იგი საქმის გარჩევის მსვლელობაშივე არ ჩაუფიქრდა თავის საქციელს და არ გააკეთა სათანადო დასკვნები, ძალიან საეჭვოა, რომ მისმა აღზრდამ სასჯელის მოხდის პერიოდში მოგვცეს დადებითი შედეგები.

სასამართლოს აღმზრდელობითი ამოცანები სამსჯავრო განხილვის სტადიაზე არ ამოიწურება მარტოოდენ სამართალში მიცემული პირებით. სასამართლო განხილვა, როგორც წესი, მიმდინარეობს ღიად, საჯაროდ, ყველა მსურველი მოქალაქის თანდასწრებით[1]. ამასთან სასამართლო პროცესის მსვლელობა და მისი შედეგები დაუბრკოლებლივ შეიძლება გამოქვეყნდეს ინფორმაციის ყველა საშუალებით. მართლმსაჯულების საჯაროდ განხორციელების ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს სასამართლოს აღმზრდელობითი ზეგავლენის სფეროს გაფართოება, იმის უზრუნველყოფა, რომ „სისხლის სამართალწარმოებამ ხელი უნდა შეუწყოს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, დანაშაულის თავიდან აცილებას და აღმოფხვრას, მოქალაქეთა აღზრდას საბჭოთა კანონების განუხრელად შესრულების და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით“ (სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძველების მე-2 მუხლი).

ამრიგად, აღმზრდელობითი მიზნის მიღწევა სამართალში მიცემული პირის მიმართ და აგრეთვე სხვა მოქალაქეების მიმართ წარმოადგენს საბჭოთა მართლმსაჯულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას, რომელიც უნდა გადაწყვიტოს

---

1 საქმის ღია სამსჯავრო სხდომაზე განხილვა დაუშვებელია როცა ეს ეწინააღმდეგება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებს. დახურული სასამართლო განხილვა, გარდა ამისა, დასაშვებია სასამართლოს დასაბუთებული განჩინებით იმ პირთა დანაშაულის საქმეებზე, რომლებსაც თექვსმეტი წლის ასაკამდე არ მიუღწევიათ, სქესობრივი დანაშაულის საქმეებზე და აგრეთვე სხვა საქმეებზე იმ მიზნით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ცნობათა გახმაურება საქმეში მონაწილე პირთა ცხოვრების ინტიმურ მხარეთა შესახებ. განაჩენი ყველა შემთხვევაში საჯაროდ ქვეყნდება (საქართველოს სსრ სსსკ მე-16 მუხლი) სასამართლო დარბაზში არ დაიშვებიან პირები, რომლებსაც არ შესრულებიათ თექვსმეტი წელი, თუ ისინი არ არიან პროცესის მონაწილენი (საქართველოს სსრ სსსკ 265-ე მუხლი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლომ სამსჯავრო განხილვის დროს. ჩვენ, რასაკვირველია, სამსჯავრო განხილვის სტადიაზე აღმზრდელობით ამოცანას არ გამოვყოფთ სასამართლოს იმ საქმიანობიდან, რომელიც მიმართულია საქმის განხილვა-გადაწყვეტისაკენ და მიმდინარეობს კანონით წინასწარ დადგენილი წესით. ცხადია, სასამართლო სხდომაზე დაუშვებელია აღმზრდელობითი ზემოქმედების ისეთი პედაგოგიური მეთოდები, როგორიცაა: დარიგება, საყვედური, შექება, მადლობის გამოცხადება და სხვ.

აღმზრდელობითი მიზნები სასამართლო განხილვის დროს მიღწეული უნდა იქნეს საპროცესო ნორმების მტკიცე დაცვით და ამ ნორმების ფარგლებში.

არ იქნებოდა მართებული გვევარაუდა, რომ საბჭოთა მართლმსაჯულების აღმზრდელობითი მიზნები თავისთავად, ავტომატურად მიიღწევა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენით და სასჯელის სწორად გამოყენებით, თუმცა ამის გარეშე პროცესის რაიმე აღმზრდელობით მნიშვნელობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. აღსანიშნავია, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენასთან ერთად მოითხოვს სამსჯავრო განხილვის წარმართვას იმგვარად რაც „უზრუნველყოფს სასამართლო პროცესის აღმზრდელობით დონეს“ (საქართველოს სსრ სსკ 242-ე მუხლი).

მაშასადამე, სასამართლო განხილვის აღმზრდელობით დონეზე ჩატარება დეკლარაცია კი არაა, არამედ სასამართლოს სამართლებრივი მოვალეობაა, თუმცა ამ მოვალეობის შეუსრულებლობა არ იწვევს პროცესუალურ შედეგებს. საკასაციო და საზედამხედველო წარმოების პრაქტიკამ არ იცის კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახლად განსახილველად იმ მოტივით, რომ პროცესი აღმზრდელობით დონეზე არ იყო ჩატარებული. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ მთლიანად შეასრულა თავისი აღმზრდელობითი ფუნქცია საქმეზე მართლზომიერი განაჩენის დადგენით და რომ პროცესის აღმზრდელობით მხარეს არ უნდა ეწეოდეს სათანადო კონტროლი და ზედამხედველობა. აუცილებელია, რომ ზემდგომი სასამართლოების კომპეტენტური მუშაკები ხშირად ესწრებოდნენ სასამართლო პროცესებს, რადგანაც მარტოოდენ სამსჯავრო სხდომის ოქმით შეუძლებელია პროცესის აღმზრდელობითი შინაარსის განსაზღვრა და ამის საფუძველზე სასამართლოსათვის რაიმე მითითებების მიცემა. უაღრესად გამოცდილ სხდომის მდივანსაც კი, რა ზედმიწევნითაც არ უნდა აღნუსხავდეს იგი სამსჯავრო სხდომის მსვლელობას, არ შეუძლია ზუსტად აღბეჭდოს პროცესის ჩატარების აღმზრდელობითი მხარე.

სამსჯავრო განხილვის ჩატარება ფართო აუდიტორიის წინაშე, საბჭოთა მართლმსაჯულების ჰუმანურობისა და დემოკრატიულობის ჩვენება კონკრეტული საქმის მაგალითზე, მეტად საპასუხისმგებლო და რთული საქმეა. ვ. ი. ლენინი, რომელიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სასამართლო პროცესების აღმზრდელობით როლს, იუსტიციის მუშაკებს მოუწოდებდა, რომ ესწავლათ საჯარო საქმეების მოწყობა და წარმართვა[1].

სამსჯავრო განხილვის აღმზრდელობით დონეზე ჩატარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს განსახილველი საქმის წინასწარ მომზადება, რაც ძირითადად სამართალში მიცემის სტადიაზე უნდა განხორციელდეს. მოქმედი წესის მიხედვით სამართალში მიცემის საკითხს მოსამართლე წყვეტს ერთპიროვნულად,

1 იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36, გვ. 641.

ხოლო თუ იგი არ ეთანხმება საბრალდებო დასკვნას, აგრეთვე როცა საჭიროა ბრალდებულისათვის შერჩეული აღმკვეთი ღონისძიების შეცვლა, საქმე განიხილება სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომაზე (საქართველოს სსრ სსსკ 222-ე მუხ.).

სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტის ყველა შემთხვევაში აუცილებელია მოსამართლე და სახალხო მსაჯულები მთელი გულისყურით გაეცნონ საქმის ფაქტიურ გარემოებებს, მის ყველა დეტალებს და აგრეთვე იმ საკანონმდებლო მასალას, რომელიც განსახილველი საქმის გადაწყვეტასთან დაკავშირებით შეიძლება წამოიჭრას. ეს აუცილებელია როგორც თვითონ სამართალში მიცემის საკითხის გადასაწყვეტად, ასევე იმისათვის, რომ სამსჯავრო განხილვაზე სასამართლოს შემადგენლობა არ იყოს პასიური. მოსამართლე არ უნდა იმედოვნებდეს იმით, რომ მას დიდი გამოცდილება აქვს და პროცესის მსვლელობაში გაერკვევა საქმის წვრილმანებში. იშვიათი როდია შემთხვევები როცა განსახილველი საქმე კარგად არის ცნობილი დამსწრე საზოგადოებისათვის. ოდნავი ეჭვიც კი რომ მოსამართლემ ან მსაჯულებმა არ იციან საქმის გარემოებები დიდ ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს, ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ სასამართლო შეძლებს საქმეზე საფუძვლიანი და სამართლიანი განაჩენის გამოტანას.

ზოგ შემთხვევაში აუცილებელია საქმის ხასიათის შესაბამისად სპეციალური ლიტერატურის გაცნობაც. მაგალითად, თუ განსახილველი საქმის გარემოებები დაკავშირებულია საფინანსო, სამედიცინო ან სხვა რომელიმე დარგის საკითხებთან, აუცილებელია, რომ მოსამართლე ზოგადად მაინც ერკვეოდეს ამ დარგების ელემენტარულ ცნებებში. რა თქმა უნდა, თუ საქმის რომელიმე გარემოების დასადგენად სპეციალური ცოდნაა საჭირო ინიშნება ექსპერტიზა. მაგრამ მოსამართლესაც უნდა ჰქონდეს წარმოდგენა საქმესთან დაკავშირებულ სპეციალური დარგების საკითხებზე. ეს აუცილებელია, როგორც ექსპერტის დასკვნის შესაფასებლად, ასევე სამსჯავრო განხილვაზე იმ მოწმეების ყოველმხრივ დასაკითხავად, რომელთა ჩვენებაც სპეციალური დარგების ცოდნასთანაა დაკავშირებული. მართლმსაჯულების ავტორიტეტზე დიდ უარყოფით გავლენას ახდენს, როდესაც სასამართლო აქტიურად, საკითხების ღრმა ცოდნით არ მონაწილეობს დამამტკიცებელი საბუთების განხილვა-გამოკვლევაში და მხოლოდ უბრალო მეთვალყურის, რეგისტრატორის როლს ასრულებს. სასურველია აგრეთვე პროცესზე იმ სახალხო მსაჯულების გამოწვევა, რომელთაც თავიანთი ცხოვრების გამოცდილებით, პროფესიით, განათლებით შეეძლებათ უკეთ გაერკვნენ განსახილველი საქმის გარემოებებში.

პროცესის აღმზრდელობითი ეფექტი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სასამართლოს დარბაზში დამსწრე საზოგადოების შემადგენლობაზე. აღმზრდელობითი თვალსაზრისით სამართალში მიცემულის ფსიქიკაზე დიდ გავლენას ახდენს იმის შეგრძნება, რომ იგი მორალურ დასაყრდენს ვერ ხედავს დამსწრეთა თვალში, რომ მან პასუხი უნდა აგოს როგორც სასამართლოს, ასევე საზოგადოების წინაშეც. საეჭვოა, რომ დამნაშავის ირგვლივ სწორი მორალური ბოიკოტის ატმოსფერო შეიქმნება, თუ სასამართლო სხდომის დარბაზი მხოლოდ ბრალდებულის ან დაზარალებულის ნათესავებითა და ნაცნობ-მეგობრებით იქნება სავსე. რასაკვირველია მოსამართლეს არ შეუძლია ღია სამსჯავრო სხდომაზე დასწრების უფლება შეუზღუდოს ვინმეს იმ მოტივით, რომ იგი პროცესის მონაწილე რომელიმე მხარის ნათესავია, მაგრამ მოსამართლეს შეუძლია და ვალდებულია მიიღოს ყველა ზომები სასამართლოს ჯანსაღი აუდიტორიის უზრუნველსაყო-

ღად, განსახილველი საქმისადმი ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების მიქცევისაკენ. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის მოსმენას უშუალოდ დანაშაულის ჩადენის ადგილას, ბრალდებულის, დაზარალებულის საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილას. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 მარტის დადგენილებაში „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ", აღნიშნულია, რომ პროცესების აღმზრდელობითი მნიშვნელობის გაძლიერების მიზნით აუცილებელია სასამართლოები საზოგადოებრივი წესრიგის ბოროტად დამრღვევთა შესახებ საქმეებს იხილავდნენ უშუალოდ საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, უზრუნველყოფდნენ ასეთი პროცესების სათანადო ორგანიზაციას[1]. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმს არაერთხელ მიუთითებია სასამართლოებისათვის პროცესების ხშირად მოწყობის შესახებ გამსვლელ სესიებზე, საჭირო შემთხვევებში საზოგადოებრივი დამცველებისა და საზოგადოებრივი ბრალმდებლების მონაწილეობით[2].

ბუნებრივია, სასამართლო ყველა საქმეს ადგილზე გასვლით ვერ განიხილავს. ეს შეუძლებელია თუნდაც ტექნიკური მიზეზებით, მაგრამ არასწორია, როდესაც მოსამართლე გამსვლელ სესიას გაიხსენებს მხოლოდ „დიდი" საქმეების განსახილველად. ყველა საქმე, რომელსაც საბჭოთა სასამართლო იხილავს — მნიშვნელოვანია და ყველა მათგანის ჩატარება შეიძლება მაღალ აღმზრდელობით დონეზე. ადამიანები უნდა აღვზარდოთ სწორედ პატარა საქმეების მაგალითზე, რომ მათ საფუძველზე დიდი საქმეები არ აღმოცენდნენ. საქმის გამსვლელ სესიაზე განხილვის საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლემ მხედველობაში უნდა მიიღოს თუ რა ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს სამართალში მიცემულზე საქმის მოსმენამ იმ წრეში, რომელთანაც იგი უშუალოდ იყო დაკავშირებული, რამდენად შთამაგონებელი შეიძლება აღმოჩნდეს საქმის გარემოებანი თვითონ კოლექტივისათვის, რამდენად გავრცელებულია მოცემული კატეგორიის დანაშაულობანი რაიონში, საწარმოში და სხვა.

გამსვლელი სესიის ორგანიზაციაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივს, რომელთანაც მოსამართლემ უნდა დაამყაროს მჭიდრო კონტაქტი. საჭიროა აგრეთვე მოსამართლემ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს განუმარტოს მათი უფლება საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის გამოყოფის შესახებ. მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს ისეთი ფორმით, რომ მან გავლენა არ მოახდინოს ორგანიზაციის ნამდვილ ნებაზე და არ შექმნას საქმის წინასწარ გადაწყვეტის შთაბეჭდილება. სასურველია საქმის მოსმენა გამსვლელ სესიაზე დაინიშნოს არასამუშაო საათებში, რათა ყველა მსურველს ჰქონდეს დასწრების შესაძლებლობა.

სამსჯავრო განხილვის დაწყებამდე მოსამართლემ ერთხელ კიდევ გულდასმით უნდა შეამოწმოს მიღებულია თუ არა ყველა ზომა იმისათვის, რომ პროცესი ჩატარდეს დაუბრკოლებლად (ეცნობათ თუ არა პროცესის მონაწილეებს საქმის მოსმენის დრო და ადგილი, დროულად ჩაბარდა თუ არა სამართალში მიცემულს საბრალდებო დასკვნა და სხვ.).

---

[1] იხ. СП СССР 1959 г. № 4, გვ. 25.

[2] იხ. მაგალითად, „Бюллетень Верховного Суда СССР", 1960, № 1, გვ. 11; 1961, № 3, გვ. 17; № 5, გვ. 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსჯავრო განხილვის მთელი მსვლელობა მიმდინარეობს კანონით დადგენილი წესით, განსაკუთრებული პროცესუალური ფორმების დაცვით. პროცესის მონაწილეთა ყველა სამართლებრივი უფლება-მოვალეობა და მათი განხორციელების წესი განსაზღვრული და რეგლამენტირებულია კანონით. საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების ზუსტად და განუხრელად დაცვა წარმოადგენს საბჭოთა მართლმსაჯულების წარმატებით განხორციელების აუცილებელ პირობას და ერთადერთ საშუალებას.

სამსჯავრო განხილვის დროს საპროცესო ფორმების უგულებელყოფა, მათი შეუსრულებლობა წარმოადგენს კანონიერების უხეშ დარღვევას და გავლენას ახდენს როგორც განაჩენის სისწორეზე, ასევე პროცესის აღმზრდელობით შინაარსზე და სასამართლოს ავტორიტეტზე, რომელიც მოქმედებს სახელმწიფოს სახელით. სოციალისტური კანონიერების მცირეოდენი დარღვევაც კი შეუწყნარებელია ყველგან და მით უმეტეს სასამართლო პროცესზე, სადაც განიხილება სწორედ კანონის დარღვევის ფაქტი. სასამართლოს დარბაზში მყოფნი და პროცესში მონაწილე მოქალაქეები კანონიერებისადმი პატივისცემას უნდა სწავლობდნენ, უწინარეს ყოვლისა, კანონისადმი სასამართლოს დამოკიდებულების მაგალითზე. სამართლიანად აღნიშნავდა პროფ. ი. გოლიაკოვი, რომ „რა კარგიც არ უნდა იყოს კანონები, მართლმსაჯულება ვერ მოგვცემს სათანადო ეფექტს, თუ სასამართლოს ყველა მოქმედებაში, მის ყველა გადაწყვეტილებაში არ იგრძნობა კანონისადმი პატივისცემა თვითონ მოსამართლეთა მხრივ“[1].

მოსამართლემ კანონიერების მტკიცედ დაცვის საფუძველზე და კანონიერების ფარგლებში უნდა წარმართოს სამსჯავრო განხილვა ისე, რომ დარბაზში დამსწრე ყველა პირისათვის ნათელი გახდეს ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება, დანაშაულით მიყენებული ზიანის ოდენობა და ხასიათი, ბრალდებულის მორალური სამყარო, პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყეს ან გაადვილეს დანაშაულის ჩადენა. საქმის ყველა ფაქტიური გარემოება გამოკვლეული და შემოწმებული უნდა იყოს მთელი სისრულით და ამასთან დამსწრეთათვის გასაგები ფორმით.

სასამართლოს განაჩენს აღმზრდელობითი და შთამაგონებელი მნიშვნელობა ექნება მხოლოდ მაშინ, თუ იგი დამყარებულია საქმის ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად გამოკვლეულ მასალებზე, თუ მისი სარეზოლუციო ნაწილი სამსჯავრო განხილვის ლოგიკური გაგრძელებაა და მოულოდნელი არ არის დამსწრე საზოგადოებისათვის.

პროცესის აღმზრდელობით მხარეზე თანაბრად უნდა ზრუნავდნენ როგორც სასამართლო, ასევე პროკურორი და ადვოკატი. მიუხედავად მათი სხვადასხვა პროცესუალური მდგომარეობისა საბჭოთა მართლმსაჯულების აღმზრდელობითი მიზნების მიღწევის საკითხში ფუნქციების არავითარ განაწილებას არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი. ამიტომ სამსჯავრო განხილვაზე პროკურორისა და ადვოკატის მიერ წარმოთქმული ყოველი ფრაზა უნდა იყოს ლოგიკურად და იურიდიულად გამართული, ღრმად მოფიქრებული და დამაჯერებელი, უნდა ქმნიდეს იმის მტკიცე რწმენას, რომ მათი უპირველესი დანიშნულებაა დაეხმარონ სასამართლოს მართლმსაჯულების სწორად განხორციელებაში.

პროცესის აღმზრდელობით შინაარსზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს სამ-

---

[1] И. Т. Голяков, Роль суда как орудия воспитания („Ученые труды ВИЮН“, 1947, вып. X, გვ. 28.

სჯავრო განხილვის კულტურა, ის მორალური ატმოსფერო, რომელიც სუფევს პროცესის მონაწილეთა შორის. მუშაობის მაღალი კულტურა სოციალისტური კანონიერების განხორციელების შემადგენელი ნაწილია, რაზედაც არაერთხელ მიუთითებდა ვ. ი. ლენინი[1].

პარტიამ ადამიანთა შორის ჰუმანური ურთიერთობა და ურთიერთპატივისცემა საპროგრამო მოთხოვნად გამოაცხადა და ამ მოთხოვნის განუხრელად დაცვა განსაკუთრებით აუცილებელია სასამართლოში, რომელიც თვითონ არის მოწოდებული ხელი შეუწყოს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების განმტკიცებას, ცხოვრებაში კომუნისტური მორალის მაღალი პრინციპების დანერგვას.

სამსჯავრო განხილვა მიმდინარეობს ადამიანთა ურთიერთობაში, რომელთაც გარდა კანონიერი უფლებებისა და მოვალეობებისა აქვთ პირადი ღირსების გრძნობა. სასამართლომ, პროკურორმა, ადვოკატმა დიდი დაკვირვებულობა უნდა გამოიჩინონ როგორც ერთმანეთისათვის, ასევე სამართალში მიცემულისა და საქმეში მონაწილე მოქალაქეებთან მიმართვის დროს, გაითვალისწინონ თითოეული მათგანის პროცესუალური მდგომარეობა, განათლება, ასაკი და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან პიროვნების ღირსების შელახვა და დამცირება, ვინც არ უნდა იყოს იგი.

სამწუხაროდ, პრაქტიკაში ცოტა როდია შემთხვევები, როდესაც სამსჯავრო სხდომაზე სიტყვისა თუ მოქმედების კულტურას არ ექცევა სათანადო ყურადღება, როდესაც პროცესის მონაწილენი ვითომდა მეტი ეფექტისა და აუდიტორიის „გამხიარულებისათვის“ მიმართავენ ათასგვარ, ეთიკურად ყოვლად გაუმართლებელ შედარებებსა და ეპითეტებს. მაგალითად, ერთერთმა პროკურორმა იმისათვის, რომ საბრალდებო სიტყვაში ხაზი გაესვა ბრალდებულის მთავარი, წამყვანი როლისათვის დანაშაულის ჩადენაში, იგი შეადარა ზვიგენს, ხოლო დანარჩენი ბრალდებულები — თევზებს. ცხადია, პროკურორის ასეთი უტაქტო და უადგილო სატირა ვერავითარ აღმზრდელობით ზეგავლენას ვერ მოახდენდა სამართალში მიცემულებზე და დამსწრე საზოგადოებაზე, მით უმეტეს რომ პროკურორის მიერ „ზვიგენად“ წოდებული პირი სასამართლომ გაამართლა ბრალდების დაუდასტურებლობის გამო[2].

რა თქმა უნდა, სასამართლო პროცესზე იუმორის მნიშვნელობის საერთოდ უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ იუმორი უნდა იყოს ზომიერი, საქმესთან დაკავშირებული და არ უნდა ეხებოდეს პიროვნების ღირსებასა და თავმოყვარეობას.

შეიძლებოდა კიდევ მრავალი გარემოების აღნიშვნა, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას ახდენენ სამსჯავრო განხილვის აღმზრდელობით შინაარსზე, მაგრამ ერთი რამ ცხადია: აღმზრდელობითი მოღვაწეობა ეს არაა ხელობა, უბრალოდ ტექნიკური საქმიანობა და აქ რაიმე ამომწურავი რეკომენდა-

---

[1] იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 203-204; ტ. 33, გვ. 429 და სხვ.

[2] იხ. ჟურ. „Советская юстиция“, 1958, № 7, გვ. 53.

ციების დადგენა შეუძლებელია. პროცესის აღმზრდელობით დონეზე ჩატარებას უნარი დამოკიდებულია მოსამართლის პირად თვისებებზე, მის პოლიტიკურ შეგნებულობასა და შინაგან კულტურაზე. ამიტომ ყველაზე საუკეთესო რეკომენდაციას წარმოადგენს მ. ი. კალინინის რჩევა, რომ მოსამართლის თანამდებობაზე უნდა მუშაობდეს „ადამიანი, რომელსაც აქვს დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცდილება, შეუძლია გაერკვეს ადამიანებში და, მე კიდევ ამას დავუმატებდი, არის კულტურული ადამიანი“[1].

---

[1] М. И. Калинин, О социалистической законности, 1959, გვ. 177



სისხლის აღების საქმეებზე შემარიგებლური კომისიების შექმნისათვის

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების მშრომელებმა უდიდეს გარდაქმნათა გზა გაიარეს. ეს კუთხეები გადაიქცნენ აყვავებულ მხარედ; მათ აქვთ დიდად განვითარებული მრეწველობა, კოლექტიური სოფლის მეურნეობა, მოწინავე კულტურა.

ახალმა საწარმოო ურთიერთობებმა, რომლებიც ჩამოყალიბდა წარმოების იარაღებზე კერძო საკუთრების ლიკვიდაციისა და ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა კოლმეურნეობებში გაერთიანების საფუძველზე, სოციალისტურ საწარმოებში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმამ, ხოლო ყველაზე მოწინავეთა ჩაბმამ ქვეყნის მართვის ორგანოებში, შექმნა აუცილებელი პირობები სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ფაქტიური თანასწორობისათვის სახელმწიფოებრივ, სამეურნეო, კულტურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში.

საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვების, ბრძნული ეროვნული პოლიტიკისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მუდმივი მზუნველობის წყალობით მოკავშირე რესპუბლიკების ხალხები ისტორიულად მოკლე დროში განთავისუფლდნენ საუკუნეების განმავლობაში არსებული ბევრი ბარბაროსული გადმონაშთებისაგან.

წარსულში ადამიანები, რომელთა უფლებებიც შებღალეს, ადამიანური ღირსება და თავმოყვარეობა გათელეს, მაგრამ საკითხის სამართლიან გადაწყვეტას ვერ ეღირსნენ, სხვადასხვაგვარ შურისძიებას მიმართავდნენ. შურისძიების ფორმებისაგან შემდგომ ადათები ჩამოყალიბდა.

ადათებით განმტკიცდა გადმონაშთების ისეთი მახინჯი ფორმები, როგორიცაა სისხლის აღება, ქალის გატაცება და სხვ. ადათით ნებადართული იყო დაუსჯელად მოკვლა: მოსისხლე მტრისა, ადამიანისა, რომელმაც სახელი გაუტეხა მთელ ოჯახს, საზოგადოების მტრად გამოცხადებულისა, საფარიდან თავდამსხმელისა, ქურდისა, რომელსაც ბოროტმოქმედების ადგილზე წაასწრეს, ცოლის, დედის და დის საყვარლებისა დადევნების დროს.

ძირფესვიანად შერყეულია გვაროვნული წყობილების მავნე გადმონაშთების საფუძვლები. მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რომ დიდი მიღწევების გამო არ დაგვენახა ძველი საზოგადოების ჯერ კიდევ შემორჩენილი ტრადიციები, ცრუმორწმუნეობანი და ცრუ შეხედულებანი, რომელნიც წარმოშობენ სისხლის სამართლის დანაშაულს, კერძოდ სისხლის აღების ნიადაგზე მკვლელობებს.

ძნელია წარსულის გადმონაშთებთან ბრძოლა, ვინაიდან ისინი ღრმად არიან გამჯდარი ეროვნული რესპუბლიკების მოსახლეობის ერთი ნაწილის შეგნებაში; ისინი ჩვეულებრივ ფარულად იჩენენ თავს და ამ გადმონაშთების ტყვეობაში მყოფნი ცდილობენ დაიცვან ბოროტმოქმედების ჩამდენნი.

სოციალისტური საზოგადოებისათვის კანონზომიერი აუცილებლობაა სისხლის სამართლის წესით აწარმოოს ბრძოლა ადგილობრივი ადათების გადმონაშთებთან სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის პერიოდში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში და მასში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში ადგილი აქვს ყველაზე მძიმე ფორმის გადმონაშთის — სისხლის აღების ნიადაგზე მკვლელობის არა ერთეულ შემთხვევებს.

სისხლის აღების ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობანი განსაკუთრებით დიდ საზოგადოებრივ საფრთხეს წარმოადგენენ, ვინაიდან შესაძლოა მათ ემსხვერპლონ ადამიანები მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მტრულ გვარეულობას ეკუთვნიან. ამ დანაშაულის ჩამდენი შეიძლება იყოს ის, ვისაც წინათ არავითარი მტრული განზრახვა არა ჰქონია, მაგრამ ბოროტმოქმედება ჩაიდინა იმ ყალბი რწმენის გამო, რომ ის ვალდებული იყო სისხლი აეღო და ამით ვალი მოეხადა თავისი საგვარეულოს წინაშე.

ზემოაღნიშნულის დამახასიათებელ მაგალითად გამოდგება 1957 წელს ინჟინერ ვ. გ. გულბანის მოკვლა სოხუმის რაიონის სოფელ სააკენში.

ჯერ კიდევ 1952 წელს კოლმეურნეთა საერთო კრებამ გამგეობის თავმჯდომარის შ. გ. გულბანის მოხსენების საფუძველზე დაადგინა ქვეყნის შორეულ მხარეში რვა წლით გადაესახლებინათ პარაზიტი და საკოლმეურნეო წარმოების დეზერტირი სეფე პავლეს ძე ჩხეტიანი. გადასახლებულის ძმებს ამ ნიადაგზე შ. გ. გულბანის მტრობა ჩაუვარდათ გულში, მაგრამ ამის შესახებ არაფერს ამბობდნენ. ერთხელ, სამუშაო დღეს, გამგეობის თავმჯდომარემ დაინახა გადასახლებული სეფე ჩხეტიანის ძმა, კოლმეურნე ისლამი, რომელიც უკვე დიდი ხნის წინათ უნდა ყოფილიყო თავის სამუშაო ადგილზე და შესდგომოდა წინა დღეს მიღებული დავალების შესრულებას. თავმჯდომარემ სავსებით კანონიერი შენიშვნა მისცა ისლამს, რომელმაც პიჯაკში წინასწარ დამალული რკინის ჯოხი თვალის დახამხამებაში ჩაჰკრა თავში შ. გულბანს და ხელმეორედაც უპირებდა დარტყმას, მაგრამ თავმჯდომარემ „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი დაახალა და ისლამ ჩხეტიანი მძიმედ დააშავა.

მტრობა მათ შორის ამის შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდა. ადგილობრივი ხელისუფალნი და გავლენიანი პირნი შეუდგნენ მტრების შერიგებას. ბევრჯერ დათქვეს დღე, როდესაც მტრულად განწყობილი მხარეების ახლო ნათესავები, სვანების ადათის მიხედვით, უნდა მისულიყვნენ ეკლესიაში და დაედოთ მტრობის შეწყვეტის ფიცი. მაგრამ ისლამ ჩხეტიანის ძმა, პედაგოგი კონსტანტინე ჩხეტიანი, ხან რას მოიმიზეზებდა და ხან რას, რომ ეკლესიაში არ მისულიყო. ცხადად ეტყობოდა, რომ ის შურისძიების მოლოდინში იყო, თუმცა თვითონ არ კისრულობდა ამის გაკეთებას.

ისლამ ჩხეტიანმა, როდესაც საავადმყოფოდან გამოეწერა, გერმანული „პარაბელუმი“ ესროლა ინჟინერ ვლადიმერ გიორგის ძე გულბანს, რომელთანაც უკანასკნელ დღემდე კარგი განწყობილება ჰქონდა და მოკლა ყოვლად უდანაშაულო კაცი. ვ. გ. გულბანი ცდილობდა შეერიგებინა თავისი ძმა ჩხეტიანის ძმებთან, ბევრჯერ მოინახულა დაჭრილი ისლამი საავადმყოფოში, მისთვის შოულობდა წამლებს და ყოველნაირად ცდილობდა ჩაექრო მტრობის ხანძარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, ქმისთვის შურისძიების ნიადაგზე გაღვივებულმა მტრობამ გამოიწვია მომდევნო ბოროტმოქმედებანი, რომლებიც იმავე ადათის გამო იყო ჩადენილი.

ბევრი ამგვარი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

დამახასიათებელია, რომ მკვლელის ძმა კონსტანტინე ჩხეტიანი, რომელიც აშკარად თავს არიდებდა შერიგებას და სულ სისხლის აღების მოლოდინში იყო, სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიუციათ იმის გამო, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული არ არის საამისო სასჯელი.

სწორედ ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „მოსისხლეთა“ შერიგების საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სს რესპულიკის მცხოვრებთა შორის ადგილი აქვს ასეთ ბოროტმოქმედებებს, რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე მუხლის სახით არ არის ასახული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეურიგებლობისათვის. რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსი კი ითვალისწინებს შერიგებისათვის თავის არიდების პასუხისმგებლობას. რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 231-ე მუხლი ეხება „მოკლულის ნათესავების პასუხისმგებლობას მკვლელსა და მის ნათესავებთან შერიგებისაგან თავის არიდებისა და სისხლის აღებაზე ხელის აუღებლობისათვის, რაც ხორციელდება იმ წესით, რომელიც დადგენილია მესისხლეობის საქმეების შერიგებით წარმოების დებულებით“.

ამ ნორმას უპირველეს ყოვლისა ის მნიშვნელობა აქვს, რომ ის გამაფრთხილებელი ხასიათისაა. მისი ძირითადი შინაარსი იქითკენაა მიმართული, რომ შეარიგოს „მოსისხლენი“, მიაღწიოს იმას, რომ მათ უარი ათქმევინოს სისხლის აღების ადათის გამოყენებაზე, ბოროტმოქმედების ჩადენაზე.

რსფს რესპუბლიკაში ძალაშია საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და რსფსრ სახკომსაბჭოს 1929 წლის 5 ნოემბრის დადგენილება „სისხლის აღების ადათის წინააღმდეგ ბრძოლის შემარიგებლურად წარმოების შესახებ“ (გამოქვეყნებულია რსფსრ-ის „СУ“-ში № 141, მუხლი 927, XI—29 წ.).

ამ დადგენილების თანახმად შემარიგებელ კომისიებს შემდეგი შემადგენლობით აყალიბებენ: სათანადო აღმასკომის წარმომადგენელი (თავმჯდომარე), სახალხო მოსამართლე, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ორი წარმომადგენელი და ქალთა ადგილობრივი ორგანიზაციის ორი წარმომადგენელი. შემარიგებელ კომისიებს უფლება ეძლევათ საჭიროების შემთხვევაში სათათბირო ხმით მიიწვიონ სხვა პირებიც შემარიგებლურ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად.

ეს კომისიები იყენებენ სათანადო აღმასკომისა და სოფლსაბჭოების აპარატს, აგროვებენ ცნობებს სისხლის აღების ნიადაგზე ერთმანეთთან მტრულად განწყობილ პირთა შესახებ და შუღლის ყოველი დადგენილი შემთხვევის შესახებ სპეციალურ შემარიგებლურ მუშაობას აწარმოებენ.

ამ კომისიების ამოცანაა შეარიგონ „მოსისხლენი“ და უარი ათქმევინონ ბოროტმოქმედების ჩადენაზე.

ამჟამად იშვიათია სისხლის აღება, მაგრამ ამ ნიადაგზე ხანდახან, ჯერ კიდევ, ხდება ბოროტმოქმედება და შემარიგებელ კომისიებს შეუძლიათ მნიშვ-

ნელოვანი როლი შეასრულონ ამ დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების საქმეში.

შემარიგებლური წარმოების ერთიანი პროცედურა არ არსებობს და მას თითოეული რესპუბლიკა აწესებს ადგილობრივი პირობებისა და ადათების შესაბამისად, მაგრამ ყველა შემთხვევაში მისი საბოლოო შედეგი უნდა იყოს სისხლის აღებაზე უარის თქმა, ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე, რის შესახებაც ხელწერილს ჩამოართმევენ სათანადო პირებს.

თუ მოკლულის ნათესავები თავს არიდებენ შერიგებას და არ სურთ უარი თქვან სისხლის აღებაზე, ისინი სისხლის სამართალში უნდა მისცენ, რაც ხელს შეუწყობს ისეთი მძიმე დანაშაულის თავიდან აცილებას, როგორიცაა მკვლელობა სისხლის აღების ნიადაგზე.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ საქართველოს სსრ სასოფლო და რაიაღმასკომების დებულებაში არაფერი არ არის ნათქვამი შემარიგებელი კომისიების შექმნის აუცილებლობისა და მათი მუშაობის შესახებ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე აუცილებელია განხორციელდეს სათანადო მუშაობა აღნიშნულ საკითხზე სამართლის ნორმის დასადგენად.

ბ. ბარამია,
აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანაშემწე,
იუსტიციის მრჩეველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორად შევახამოთ დასჯითი და აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებანი

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ თავის ახალ პროგრამაში საზეიმოდ განაცხადა, რომ საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს. ახლა კომუნისტური საზოგადოების აშენება საბჭოთა ხალხის პრაქტიკულ ამოცანად იქცა. „სოციალიზმის თანდათანობით გადაზრდა კომუნიზმში ობიექტური კანონზომიერებაა; იგი მოამზადა საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების მთელმა წინა განვითარებამ“[1] — ნათქვამია სკკპ ახალ პროგრამაში.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა უწინარეს ყოვლისა გულისხმობს შეგნებული და განათლებული ადამიანის აღზრდასა და მომზადებას. უნდა აღვზარდოთ ადამიანები, რომლებსაც ექნებათ უნარი ეწეოდნენ როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ შრომას, აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში.

ახალი ადამიანის ფორმირებისა და მაღალ დონეზე აღზრდის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლას, დანაშაულობათა აღკვეთასა და დამნაშავეთა სათანადოდ დასჯას, რისთვისაც პირველ რიგში მოწოდებულია სასამართლოს, მილიციისა და პროკურატურის ორგანოები. ისინი პარტიულ საბჭოთა და სხვა ორგანოებთან ერთად დიდ როლს ასრულებენ აღმზრდელობითი ღონისძიებების სწორად გატარების საქმეში; მათი უპირველესი ამოცანაა სწორად იქნეს შეხამებული დასჯითი და აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებანი. ჩვენს ქვეყანაში ადგილი არ უნდა ექნეს მექრთამეობას, გატაცება-გაფლანგვას, მკვლელობას, ხულიგნობასა და სხვა სახის მძიმე დანაშაულობებს.

ქალაქ ქუთაისში გატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების შედეგად საგრძნობლად იკლო საშიშ დანაშაულობათა რიცხვმა.

მიუხედავად ამისა, ქალაქში ჯერ კიდევ გვხვდება ზოგიერთი სახის მძიმე დანაშაულობათა ჩადენის შემთხვევები, რომელთა მიმართაც დაუნდობელი, მკაცრი ზომები ტარდება.

ცალკეულ საგამომძიებლო უბნებზე საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ფართოდ ჩაბმისათვის დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ტარდება პროფილაქტიკური მუშაობა. ასე მაგალითად, რამდენიმე ხნის წინათ ლომონოსოვის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის დროს, მკვლელი ვინმე ნურმაგომედოვი, რომელიც შემთხვევის ადგილიდან გაიქცა, დააკავეს უბნის მაცხოვრებლებმა. უფრო მეტი კონტაქტია დამყარებული მილიციის მუშაკებთან, სახალხო რაზმეულებთან, ამხანაგურ სასამართლოებთან; ხშირად ეწყობა სასამართლოების გამსვლელი სესიები ადგილებზე საზოგადოებრივი ბრალმდებლების მონაწილეობით; გაძლიერებულია იურიდიული პროპაგანდა და სხვ.

დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებას საგრძნობლად შეუწყო ხელი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინი-

---

1 სკკპ XXII ყრილობის მასალები 1962 წ., თბილისი, გვ. 452.

ციატივით გატარებულმა მთელმა რიგმა ღონისძიებებმა და ა/წლის მაისის თვეში ქალაქის პარტიული აქტივის კრებაზე დასახული ამოცანების განხორციელებამ.

1962 წლის პირველ ნახევარში 1961 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დანაშაულობა შემცირებულია 2,9%-ით, პასუხისგებაში მიცემულ პირთა რიცხვი შემცირებულია 30,8%-ით. მაგრამ აღნიშნული მონაცემები სრულიად არ გვაძლევს უფლებას შევანელოთ ბრძოლა დამნაშავეთა წინააღმდეგ ან მივეცეთ თვითდამშვიდებას. პირიქით, სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოები პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად, ფართო საზოგადოების დახმარებით ვალდებულნი არიან კიდევ უფრო ორგანიზებული ბრძოლა აწარმოონ დამნაშავეებთან. ამასთან საჭიროა სწორად შევახამოთ დასჯითი და აღმზრდელობითი მუშაობა. დამნაშავეების მიმართ მკაცრი დასჯითი ღონისძიების თანმიმდევრულად გატარებასთან ერთად, ასევე თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს აღმზრდელობითი ღონისძიებები იმ პირთა მიმართ, რომლებიც ასეთს იმსახურებენ.

ქ. ქუთაისში უკანასკნელ წლებში გამოვლინებული და მკაცრად იქნენ დასჯილნი სპეკულანტები: დ. შათაშვილი, შ. ხოტოველი, ა. მაწონაშვილი, მ. კაკიტელაშვილი და სხვები. სულ რამდენიმე ხნის წინათ მხილებულია და სათანადო სასჯელი მიეზღო ქუთაისის სახელმწიფო ბანკის ყოფილ თანამშრომელს ვ. მამარდაშვილს, რომელიც შეეცადა თავისივე თანამშრომლისაგან საცხოვრებელი ბინის მიცემის საბაბით ქრთამის გამოძალვას. მსგავსი მაგალითები ერთეული როდია. კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში ბოროტეული დამნაშავეების მიმართ მკაცრი ღონისძიებების გატარებასთან ერთად იზრდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი დამნაშავეთა შემდგომი გამოსწორებისა და აღზრდის საქმეში.

სკკპ ახალ პროგრამაში მითითებულია: „მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფის, კულტურული დონისა და შეგნებულობის ზრდა ყველა პირობას ქმნის იმისათვის, რომ აღმოიფხვრას დამნაშავეობა, საბოლოო ანგარიშით სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებანი შეიცვალოს საზოგადოებრივი ზეგავლენისა და აღზრდის ღონისძიებებით. სოციალიზმის პირობებში თითოეულ ადამიანს, რომელიც შრომით გზას ასცდა, შეუძლია დაუბრუნდეს საპატიო საქმიანობას“ (გვ. 495).

ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიამ ადამიანებთან, კადრებთან ასეთი მიდგომის მრავალი მაგალითი იცის. ეყრდნობა რა თავის მდიდარ გამოცდილებას, მასების აღზრდის ნაცად ხერხებს, პარტია თავის ახალ პროგრამაში აყენებს ასეთი მეთოდების გამოყენების საჭიროებას, რასაც ცხოვრება ამართლებს და გვაგრძნობინებს ზოგიერთი გზასაცდენილი ადამიანის გამოსწორების ცხოველმყოფელობას.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში მითითებულია: „თუ პირის მიერ ჩადენილია დანაშაული, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს სამი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი და ამასთან ამ ქმედობას არ მოჰყოლია მძიმე შედეგი, ხოლო თვით დამნაშავის პიროვნება არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას და მან გულწრფელად მოინანია ჩადენილი დანაშაული, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან მშრომელთა კოლექტივის შუამდგომლობით ასეთი პირი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და გადაეცეს თავდებქვეშ ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციას

ან მშრომელთა კოლექტივს, რომელთაც შუამდგომლობა აღძრეს". უკანასკნელ პერიოდში გაუმჯობესებულია მშრომელთა კოლექტივებზე ისეთი დამნაშავეთა შემდგომი აღზრდა — გამოსწორებისათვის გადაცემა, რომელთაც მცირე დანაშაული ჩაიდინეს, აღიარებენ ასეთს, წინათ პასუხისგებაში არ არიან ნამყოფი და დადებითად ხასიათდებიან.

სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოები ვალდებული არიან პერიოდულად შეამოწმონ კოლექტივებზე გადაცემულ პირთა საქმიანობა. ასეთმა შემოწმებებმა დაგვანახა, რომ უმრავლეს შემთხვევაში თავდებქვეშ. აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაცემული პირი თავისი ბეჯითი, ნაყოფიერი შრომით, სანიმუშო საქციელით ამართლებს ნდობას და პატიოსანი მშრომელი ადამიანების რიგებში დგება.

უ. ბოჭორიშვილი და მ. ჯიხვაშვილი გაემგზავრნენ მოსკოვში, გადაყიდვის მიზნით შეიძინეს სამრეწველო საქონელი, მაგრამ მხილებული იქნენ. პროკურატურამ გაითვალისწინა რა, რომ საქონელი არ იყო დიდი ოდენობის, ადრე ისინი ცუდ საქმიანობაში არ იყვნენ შემჩნეულნი, არიან დიასახლისები მცირეწლოვანი ბავშვებით, რომ მათ აღიარეს დანაშაული და პირობა დადეს შემდგომში მსგავს მოქმედებას აღარ ჩაიდენდნენ, დააკმაყოფილა უბნის მცხოვრებთა საერთო კრების შუამდგომლობა და ისინი გადასცა გამოსასწორებლად.

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის ძაფსაღები წარმოების მუშებმა ლ. ზახაროვამ და ნ. ბელოკუროვამ ბაქოში ყოფნისას პირადი საჭიროების ნივთებთან ერთად სასპეკულაციო საქონელიც „გამოაყოლეს". მაგრამ გაყიდვა ვერ მოასწრეს. მათ აღიარეს დანაშაული, ითხოვეს პატიება. ამავე დროს კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ და დირექციამ აღძრა შუამდგომლობა კოლექტივეზ მათი აღსაზრდელად გადაცემის შესახებ. გაითვალისწინეს რა, რომ შეძენილი იყო მცირე რაოდენობის საქონელი, რომლის რეალიზაცია არ მოხდა, ისინი კოლექტივს გადასცეს აღსაზრდელად და გამოსასწორებლად. კომბინატის ხელმძღვანელობა გვატყობინებს, რომ ამჟამად ლ. ზახაროვა და ნ. ბელოკუროვა წესიერად მუშაობენ, საწარმოო გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ და ამართლებენ კოლექტივის ნდობას. ზოგჯერ წარმოება-დაწესებულებებში ადგილი აქვს წვრილმანი ქურდობის შემთხვევებს. ასეთს ადგილი ჰქონდა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, ავეჯის ფაბრიკაში, საკონსერვო ქარხანაში, მაუდის ფაბრიკაში და სხვა წარმოებებში. შუამდგომლობით კოლექტივზე აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაცემულმა პირებმა გაამართლეს ნდობა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით გამოისყიდეს დანაშაული.

დანაშაულის ჩამდენთა შორის ვხვდებით ისეთ ადამიანებს, რომლებიც დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს იჩენენ დაუდევრობას, ზიანს აყენებენ წარმოება-დაწესებულებებს. სწორედ ასეთი დაემართათ სამუშაოთა მწარმოებელს ბაბუხადიას, საკონსერვო ქარხნის ვაგონის გამცილებელს პ. დვალიშვილს, ყრუმუნჯთა საზოგადოების საამქროს ბრიგადირს ვ. გოგლიჩიანს, ავტოქარხნის სიჩქარეთა კოლოფის საამქროს უბნის უფროსს დ. კინწურაშვილს, ტროლეიბუსების სამმართველოს კონდუქტორს ნ. სახოკიასა და სხვებს, რომლებიც გადაეცნენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მშრომელთა კოლექტივებს შემდგომი აღზრდისა და გამოსწორებისათვის.

ზოგჯერ ხდება, რომ კოლექტივზე აღსაზრდელად გადაცემული პირი ვერ ამართლებს ნდობას, არ ივიწყებს მრუდე გზით სიარულს და კვლავ დანაშაულს ჩადის. მათ მიმართ უნდა ვიყოთ დაუნდობელი. ადამიანები, რომლებიც აბუ-

ჩად იგდებენ მთელი კოლექტივის ავტორიტეტს და ნდობას, ადგებიან აშკარა დანაშაულის გზას და ითრევენ სხვებსაც, შებრალების ღირსნი არ არიან. ქურდობისათვის ორჯერ იყო ნასამართლევი ი. კიკნაძე. მას დაეხმარნენ, მოაწყვეს სამუშაოზე, შეეცადნენ გამოესწორებინათ გზას აცდენილი ადამიანი, მაგრამ მან კვლავ ქურდობას მიჰყო ხელი, რისთვისაც ხუთი წლის პატიმრობა მიესაჯა.

ასევე ვერ გაამართლა ნდობა ახალგაზრდა მუშამ ჭ. მოწერელიამ, რომელიც ადრე წვრილმანი ქურდობისათვის შუამდგომლობით გადასცეს კოლექტივს, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ დასდგომოდა პატიოსან შრომის გზას, ჩაიდინა ხულიგნობა და სხეულის დაზიანება მიაყენა მოქალაქე წოწონავას. ამჟამად მოწერელია მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

მკაცრად უნდა დავსაჯოთ მძიმე დამნაშავეები და ისინი, ვინც ვერ გაამართლა კოლექტივის ნდობა და კვლავ დანაშაული ჩაიდინა, ამასთანავე არ უნდა შევუშინდეთ სიძნელეებს ახალი ადამიანის აღზრდის გზაზე. ამ საქმეში უნდა გამოვიყენოთ მთელი შესაძლებლობანი, ყველა სახის ნაცადი საშუალებანი. მასების აღზრდის, კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანების ჩამოყალიბების საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლია ლექციურ პროპაგანდას, მასობრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-აღმზრდელობით მუშაობას, პრესას, რადიოს, ტელევიზიას, კინოს. ერთობლივი ღონისძიებებით მტკიცე ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ მუქთახორებს, პარაზიტულ ელემენტებს, ხულიგნებს, გამფლანგველებს, მექრთამეებს, რაშიაც უფრო მეტი აქტიურობით უნდა ჩაებას ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები, ამხანაგური სასამართლოები, აქტივი, საზოგადოების ფართო ფენები.

1960 წლის 9 ივლისს მასწავლებელთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობდა „საბჭოთა ადამიანების განათლებასა და აღზრდაში რომ ჩამოვრჩეთ, აუცილებლად შეფერხდება კომუნიზმის მშენებლობის მთელი საქმე“. ამ მითითების ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარება ხელს შეუწყობს კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანის აღზრდისა და ჩამოყალიბების საქმეს.

ა. ჟღენტი,

ქ. ქუთაისის პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქეთა წლოვანების დადგენის ზოგიერთი საკითხის შესახებ

მოქალაქეთა დაბადების სააქტო ჩანაწერების აღდგენა მეტად მნიშვნელოვანი და პასუხსაგები უბანია მმაჩის ბიუროების მუშაობაში. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად უკანასკნელ ხანებში რამდენადმე გაუმჯობესდა ქალაქებისა და რაიონების მმაჩის ბიუროებში მოქალაქეთა წლოვანების დადგენის (სააქტო ჩანაწერების აღდგენის) საქმეთა წარმოების ხარისხი, მაგრამ პრაქტიკაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი მმაჩის ბიუროებთან არსებული მოქალაქეთა წლოვანების დამდგენ კომისიათა მიერ დაბადების სააქტო ჩანაწერების აღდგენის საკითხისადმი კაზიონურ დამოკიდებულებასა და მისი მნიშვნელობის შეუფასებლობას, რითაც სარგებლობს ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი პიროვნება და ანგარების მიზნით (საპენსიო ასაკის დადგენა, სამხედრო სამსახურიდან თავის არიდება, გამოგონილი სახელითა და გვარით დაბადების მოწმობის მიღება და სხვა) ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს წლოვანების დამდგენი კომისია და მიიღოს დაბადების მოწმობა მისთვის სასურველი მონაცემებით.

მოქალაქეთა დაბადების სააქტო ჩანაწერის აღდგენას ანუ წლოვანების დადგენას აწარმოებენ მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ქალაქებისა და რაიონების მმაჩის ბიუროებთან არსებული წლოვანების დამდგენი კომისიები (საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსის 138[1] მუხლი).

ხსენებულ კომისიის შემადგენლობაში შედიან მმაჩის ბიუროს გამგე, აღმასკომის წარმომადგენელი, ექიმი და სასურველია, თუ ამ კომისიაში შეყვანილი იქნებიან სოცუზრუნველყოფის განყოფილების და სამხედრო კომისარიატის წარმომადგენლები (საპენსიო ასაკისა და სამხედრო ვალდებულთა ასაკის დადგენის დროს).

წლოვანების დამდგენი კომისიის შემადგენლობას ამტკიცებენ ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები.

ქალაქებისა და რაიონების მმაჩის ბიუროებთან არსებული წლოვანების დამდგენი კომისიები აწარმოებენ მოქალაქეთა დაბადების სააქტო ჩანაწერების აღდგენას, დაბადების ჩანაწერში დაბადების დროის შესწორებას და დაბადების რეგისტრაციას, როდესაც დაბადების დღიდან ერთ წელზე მეტი ხანია გასული.

იმისათვის, რომ ზემოხსენებული კომისიების ფუნქციები უფრო გასაგები გახდეს განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე:

1. მოქალაქეთა დაბადების სააქტო ჩანაწერების აღდგენა გულისხმობს დაკარგული ან განადგურებული სააქტო ჩანაწერის უტყუარ აღდგენას დადგენილი წესით.

მოქ. კ-მა მიმართა ქ. რუსთავის მმაჩის ბიუროს გამგეს დაბადების სააქტო ჩანაწერის აღდგენისა და დაბადების მოწმობის გაცემის თაობაზე. იგი თავის განცხადებაში აღნიშნავდა, რომ დაბადებულია 1923 წელს ქ. ლენინგრადში. იმის გამო, რომ სამამულო ომის პერიოდში არქივის ევაკუაციის დროს განადგურდა მისი დაბადების ჩანაწერიც, არ შეუძლია მიიღოს დაბადების მოწმობა. ქ. რუსთავის მმაჩის ბიუროს გამგემ გამო-

ითხოვა დაბადების მოწმობა როგორც ქ. ლენინგრადის, ისე ლენინგრადის ოლქის მმაჩის არქივებიდან და როცა მიიღო ორივე ცნობა (მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია სწარმოებს ორ ეგზემპლარად) მოქ. კ-ის მიმართ დაბადების ჩანაწერის არარსებობის შესახებ, მხოლოდ მაშინ მიიღო მოქ. კ-ის განცხადება სათანადო საბუთებით წლოვანების დამდგენ კომისიაზე განსახილველად და დაბადების სააქტო ჩანაწერის აღსადგენად.

2. საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 127 მუხლი ამბობს, რომ „დაბადების დროის შესახებ ჩანაწერის შესწორება წარმოებს 138[1] მუხლით გათვალისწინებული წესით“, ე. ი. წლოვანების დამდგენი კომისიების მიერ. აქ იგულისხმება ის შემთხვევები, როცა დაბადების რეგისტრაციის დროს დაშვებულია შეცდომა და უსწოროდ არის ნაჩვენები დაბადების დრო-თარიღი. თუ მოქალაქე მოითხოვს დაბადების თარიღის შესწორებას და წარმოადგენს კიდეც თავისი თხოვნის დამადასტურებელ საბუთებს, მაშინ მოქალაქეთა წლოვანების დამდგენმა კომისიამ უნდა იმსჯელოს დაბადების ჩანაწერის შესწორებისათვის.

წყალტუბოს რაიონის ფარცხანაყანების სასოფლო საბჭოს მდივანმა ახლადშობილი ბავშვის ბ-ის დაბადების რეგისტრაციისას დაბადების წელი — 1956 ნაცვლად შეიტანა 1957 წელი — დაბადების რეგისტრაციის თარიღი. ბავშვის მშობლებმა თავის დროზე ყურადღება არ მიაქციეს ამ ფაქტს, არ შეამოწმეს დაბადების ჩანაწერის შევსების სისწორე და როცა სასკოლო ასაკის დადგომისას თავი იჩინა ამ გარემოებამ, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მმაჩის ბიუროს მიმართეს დაბადების დროის შესწორებისათვის; ამის დასადასტურებლად წარმოადგინეს სამშობიარო სახლის ცნობა ბავშვის დაბადების შესახებ და საკომლო დავთრიდან ამონაწერი, რომ ბავშვი ნამდვილად დაბადებული იყო 1956 წელს. წლოვანების დამდგენმა კომისიამ იმსჯელა რა არსებული მასალების საფუძველზე, მიიღო დადგენილება ბ-ის დაბადების ჩანაწერში დაბადების დროის 1957 წლის შესასწორებლად 1956 წლით.

3. საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 130 მუხლი ახალშობილთა დაბადების რეგისტრაციისათვის აწესებს დაბადებიდან ერთი თვის ვადას. რასაკვირველია, მშობელთა აბსოლუტური უმრავლესობა პატივს სცემს კანონს და ბავშვებს დაბადების რეგისტრაციაში ატარებს დროულად, მაგრამ არის მშობელთა გარკვეული წრე, რომლებიც უხეშად არღვევენ კანონს, და ამით ირთულებენ თავის მდგომარეობასაც. ისინი ბავშვს დაბადების რეგისტრაციაში არ ატარებენ ერთი წლის და მეტი ხნის განმავლობაში. სწორედ ეს შემთხვევები აქვს გათვალისწინებული კანონმდებელს 138[1] მუხლში; თუ ახალშობილთა დაბადების რეგისტრაცია დაბადებიდან ერთ წლამდე სწარმოებს დაბადების (მიმდინარე წლის) სარეგისტრაციო წიგნში, ერთი წლის შემდეგ ბავშვთა დაბადების რეგისტრაციის საკითხს იხილავს მმაჩის ბიუროსთან არსებული მოქალაქეთა წლოვანების დამდგენი კომისია. ამ შემთხვევაში, მართალია, დაბადების ჩაწერა სწარმოებს დაბადების სააქტო ჩანაწერის აღდგენის წიგნში, მაგრამ ეს არის არა სააქტო ჩანაწერის აღდგენა, არამედ დაბადების პირველადი რეგისტრაცია, მხოლოდ დაგვიანებით. თუ დაბადების სააქტო ჩანაწერის აღდგენისას დაბადების მოწმობას უნდა დაერტყას შტამბი „აღდგენილია“, მოცემულ შემთხვევაში, ე. ი. დაგვიანებით რეგისტრაციის შედეგად გაცემულ დაბადების მოწმობას, ასეთი შტამბი არ ერტყმება.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მმაჩის ბიუროს ბავშვის დაბადების რეგისტრაციისათვის მიმართა მოქ. ნ-მა, რისთვისაც წარმოადგინა კანონით გათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალისწინებული საბუთები—სამშობიარო სახლის ცნობა დაბადების შესახებ, მშობელთა ქორწინების მოწმობა და პასპორტები. ბავშვის დედამ განმარტა, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო ბავშვი დაბადების რეგისტრაციის გარეშე დარჩა 13 თვის განმავლობაში. მმაჩის ბიურომ განუმარტა მოქ. ნ-ს, რომ ბავშვის დაბადების რეგისტრაციისათვის ერთი წლითა და მეტი ვადით, მასალები გატანილი უნდა იქნას მოქალაქეთა წლოვანების დამდგენ კომისიაზე, რისთვისაც საჭიროა დამატებით მშობელთა განცხადებებისა და საცხოვრებელი ადგილიდან ცნობის წარმოდგენა, ხოლო კომისიის შემდეგ საშუალება ექნება მმაჩის ბიუროს შეადგინოს დასკვნა, მოახდინოს დაბადების საქტო ჩაწერა და გასცეს დაბადების მოწმობა.

რა საბუთებია საჭირო მოქალაქეთა დაბადების საქტო ჩანაწერის აღდგენისათვის (წლოვანების დადგენისათვის) და რით უნდა ხელმძღვანელობდეს კომისია წლოვანების დადგენისას?

საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების მმაჩის ბიუროებში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ ინსტრუქცია არ იძლევა ამომწურავ ჩამოთვლას იმ საბუთებისა, რომლებიც უნდა იქნას წარმოდგენილი მმაჩის ბიუროში დაბადების საქტო ჩანაწერის აღდგენისას. ხსენებული ინსტრუქციის 121 პუნქტი თხოულობს მხოლოდ განცხადებას, დაბადების ადგილიდან ცნობას დაბადების ჩანაწერის არარსებობის შესახებ, ცნობებს საცხოვრებელი ადგილიდან და სამსახურიდან. ამავე ინსტრუქციის 126—127 პუნქტების მიხედვით არასრულწლოვანთა დაბადების საქტო ჩანაწერის აღდგენისათვის საჭიროა ორივე მშობლის (ან მათი კანონიერი შემცვლელების) განცხადებები. მეტად ღარიბი და არაფრის მომცემი მასალაა მოქალაქის წლოვანების დადგენისათვის.

მმაჩის ბიუროებთან არსებული მოქალაქეთა წლოვანების დამდგენი კომისიები ძალზე ინდივიდუალურად, ფხიზლად და კრიტიკულად უნდა მიუდგნენ მოქალაქეთა ასაკის დადგენის საქმეს. განსაკუთრებით საჭიროა ყურადღების გამახვილება საპენსიო და წვევანდელთა ასაკის დადგენისას. გამოთხოვილი უნდა იქნას ყველა საბუთი, რითაც კი შესაძლებელია დადგინდეს იმ პიროვნების ასაკი, ვისაც ვუდგენთ წლოვანებას; ეს იქნება პასპორტის, სამხედრო ბილეთის, შრომის წიგნაკის, განათლების მოწმობის, შვილების ან და-ძმების დაბადების მოწმობის ასლები და სხვა.

მოქ. ზ-ძემ მიმართა ზესტაფონის რაიონის მმაჩის ბიუროს და მოსთხოვა დაბადების, ჩანაწერის აღდგენა. მისი განცხადებით იგი საპენსიო ასაკისა იყო, პასპორტის მიხედვით კი არა. საკომლო დავთრიდან ამონაწერით და ექიმის ცნობით იგი 60 წლისაა. წლოვანების დამდგენი კომისია არ შეეცადა სხვა საბუთების შეგროვებას (შრომის წიგნაკი, ქორწინების მოწმობა, განათლების მოწმობა და სხ.) დაეყრდნო ექიმის ცნობას და დაუდგინა საპენსიო ასაკი.

აღსანიშნავია, რომ რსფსრ მმაჩის ორგანოების პრაქტიკაში მოქალაქეთა წლოვანების დადგენისას ექიმის ცნობას ეყრდნობიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქის ასაკის შესახებ არავითარი საბუთი არ არსებობს. ჩვენთან კი, სამწუხაროდ, წლოვანების დამდგენი კომისიები ძალიან ხშირად მოქალაქეს უდგენენ ასაკს ექიმის ცნობის მიხედვით, მაშინ, როდესაც ვერცერთი ექიმი ვერ დაადგენს უტყუარ ასაკს და 2-3 წელში თითოეული მოტყუვდებოდა. საერთოდ კი, ექიმის ცნობა არის ერთერთი ცნობა საბუთთა იმ წრეში, რომლებიც პიროვნების ასაკის დადგენის დროს გროვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ შემთხვევაში, როცა არსებობს წინააღმდეგობა პიროვნების მიერ წარმოდგენილ საბუთებში, კომისიამ თავისი მიუკერძოებელი რწმენითა და შეგროვილი მასალის საფუძველზე, უპირატესობა უნდა მიანიჭოს იმ ასაკს, რომლის მიმართაც უფრო სარწმუნო და მეტი საბუთები ლაპარაკობენ.

მოქ. ხ-მა მიმართა მმაჩის ბიუროს დაბადების სააქტო ჩანაწერის აღდგენისათვის. განცხადებაში აღნიშნავდა, რომ დაბადებულია 1912 წელს, პასპორტში ჰქონდა ჩაწერილი 1921 წელი, მოქ. ხ-მა აგრეთვე წარმოადგინა ქორწინების მოწმობა როგორც 1912 წელში დაბადებული და თავისი უფროსი ქალიშვილის დაბადების მოწმობა, რომელიც დაბადებულია 1930 წელს. კომისიაზე შეიქმნა აშკარა წინააღმდეგობა წარმოდგენილ საბუთთა გამო. თუ პასპორტის მიხედვით იმსჯელებდნენ მის ასაკს, ხომ არ შეიძლებოდა 9 წლის გოგონა გათხოვილიყო და ჰყოლოდა ბავშვი?!

კომისიამ მიაქცია რა აღნიშნულ გარემოებას ყურადღება, სრულიად სამართლიანად დააკმაყოფილა განმცხადებელ ხ-ის თხოვნა და დაუდგინა ის ასაკი, რომელიც საბუთთა უმრავლესობაში იყო, ე. ი. 1912 წელი.

აღსანიშნავია, რომ წლოვანება დასადგენ სრულწლოვან პირთა მიმართ უნდა შემოწმდეს მასალები სათანადო ორგანოებში, რათა გამოირკვეს, ხომ არ არის პიროვნება ძიების ქვეშ, ან ხომ არ ემალება მართლმსაჯულებას და სურს სააქტო ჩანაწერის აღდგენის გზით დამალოს თავისი პიროვნება.

შედარებით იოლია არასრულწლოვანთა წლოვანების დადგენა, რადგან აბსოლუტური უმრავლესობა ამ საქმეებისა დაბადების დაგვიანებით რეგისტრაციას ეხება, თუმცა პრაქტიკაში ჰქონდა ადგილი შემთხვევას, როცა არასრულწლოვანს განზრახ დაუდგინეს ასაკი, რათა დედამისი პატიმრობისაგან გაენთავისუფლებინათ.

არასრულწლოვანის წლოვანების დადგენისათვის საჭიროა შემდეგი საბუთების წარმოდგენა: მშობლების ან მათი კანონიერი შემცვლელების განცხადებები, ავტობიოგრაფია (თუ 10 წლის ზევით ასაკისაა), ცნობა სამშობიარო სახლიდან ან კონსულტაციიდან, ცნობა არქივიდან თუ ხდება დაბადების ჩანაწერების აღდგენა და ცნობები სასწავლებლიდან და საცხოვრებელ ადგილიდან, მშობელთა ქორწინების მოწმობა 1944 წლის 8 ივლისის შემდეგ დაბადებულ ბავშვებზე. შესაძლებელია ეს ჩამოთვლა ამომწურავი არ იყოს და კონკრეტულ შემთხვევაში სხვა საბუთებიც გახდეს საჭირო.

მმაჩის ბიუროსთან არსებული მოქალაქეთა წლოვანების დამდგენი კომისიის დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამისი რაიონის (ქალაქის) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომში.

მ. ნიკოლაიშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის უფროსი რევიზორ-ინსპექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

დადგენილება № 1

ქ. მოსკოვი, 1963 წლის 14 მარტი.

სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის ან შეცვლის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ მიღებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლები, სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების საფუძვლები, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლები და სამოქმედოდ შემოღებულია მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები, აგრეთვე შეტანილია სხვა ცვლილებები კანონმდებლობაში, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

I

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის შემდეგი დადგენილებანი სამოქალაქო სამართლის საქმეებზე:

1. პლენუმის 1949 წლის 22 ივლისის № 9(3)უ დადგენილება „სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების მიერ დადებული ჯარიმების დასაფარავად ქონების აღწერისა და ჩამორთმევის თაობაზე საქმეების სასამართლო განხილვის შესახებ“;

2. პლენუმის 1950 წლის 5 მაისის № 9(7)უ დადგენილება „სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს ორგანოების მიერ თანამდებობის პირთა ქონებაზე მიქცეული ფულადი დარიცხვის გადახდევინების წესის შესახებ იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია გადახდევინება ხელფასიდან“;

3. პლენუმის 1960 წლის 29 ნოემბრის № 7 დადგენილება „სასამართლოების მიერ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 4 მაისის დადგენილების „ფასების მასშტაბის შეცვლის და ამჟამად მიმოქცევაში მყოფი ფულის ახალი ფულით შეცვლის შესახებ“ შესრულების წესის თაობაზე“.

II

შეტანილ იქნას ცვლილებანი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის შემდეგ დადგენილებებში სამოქალაქო სამართლის საქმეებზე:

1. პლენუმის 1950 წლის 4 აგვისტოს № 14(10)უ დადგენილებაში „ბავშვების სარჩენად სახსრების გადახდევინების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“:

დადგენილების მეჩვიდმეტე პუნქტის მესამე აბზაცში შეიცვალოს სიტყვები: „შრომა-გასწორებითი სამუშაოები“ სიტყვებით: “გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღკვეთის გარეშე“.

2. პლენუმის 1957 წლის 10 აპრილის № 2 დადგენილებაში „მემკვიდრეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“:

ა) დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტის მეორე აბზაციდან ამოღებულ იქნას სიტყვები:“... უკეთუ მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით უგზო-უკვლოდ დაკარგულის გარდაცვლილად ცნობას ახდენს სანოტარო ორგანოები, — მაშინ ის დღე, როცა სანოტარო კანტორამ გასცა მოწმობა უგზო-უკვლოდ დაკარგულის გარდაცვლილად ცნობის შესახებ“;

ბ) დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის მეცხრე პუნქტიდან ამოღებულ იქნას ფრაზა, რომელიც იწყება სიტყვებით:“... მხოლოდ იმ შემთხვევაში“... და შემდეგ ტექსტის მიხედვით პუნქტის ბოლომდე;

გ) დადგენილების მეთექვსმეტე პუნქტი გადმოცემულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„ყოველ მოქალაქეს შეუძლია მთელი თავისი ქონება ან მისი ნაწილი (საოჯახო მოწყობილობისა და საყოფაცხოვრებო საგნების გამოუკლებლივ) ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, რომლებიც შედიან ან არ შედიან კანონით მემკვიდრეთა წრეში, აგრეთვე სახელმწიფოს ან ცალკეულ სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სავალდებულო წილის თაობაზე წესების დაცვით სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 119-ე მუხლის 2 ნაწილის შესაბამისად“.

3. პლენუმის 1958 წლის 21 თებერვლის № 1 დადგენილებაში „რკინიგზითა და სამდინარო გზებით ტვირთის გადაზიდვიდან გამომდინარე დავათა თაობაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“:

დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის მესამე პუნქტის მეორე აბზაცი გადმოცემული იქნას შემდეგი რედაქციით:

„უკეთუ ასეთ სარჩელს შეცდომით მიიღებენ სასამართლო განხილვისათვის და, იმ შემთხვევაში, თუ საპრეტენზიო წესით დავის წინასწარი არასასამართლო გადაჭრის შესაძლებლობა გამორიცხულია, საქმე წარმოებით მოისპობა სასამართლოს განჩინებით“.

III

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის შემდეგი დადგენილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე:

1. 47-ე პლენუმის 1934 წლის 7 ივნისის დადგენილება ცვლილებებით, რომლებიც შეტანილია 1941 წლის 8 მაისისა და 1953 წლის 4 დეკემბრის პლენუმის დადგენილებებით „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების უმკაცრესი დაცვის საჭიროების შესახებ“.

2. პლენუმის 1939 წლის 29 აპრილის დადგენილება ცვლილებებით, რომლებიც შეიტანა 1950 წლის 17 მარტისა და 1953 წლის 20 მარტის პლენუმმა „ხულიგნობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“.

3. პლენუმის 1940 წლის 22 აგვისტოს № 30(17)უ დადგენილება „მეორე ინსტანციის სასამართლოში ან ზედამხედველობის წესით საქმის ხელმეორედ განხილვის დროს მოსამართლის მონაწილეობის უფლების შესახებ“.

4. პლენუმის 1949 წლის 30 სექტემბრის № 13(9)უ დადგენილება „უხარისხო ან უკომპლექტო და სტანდარტს შეუსაბამო სამრეწველო პროდუქციის გამოშვების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“.

5. პლენუმის 1953 წლის 29 სექტემბრის № 8 დადგენილება „საპატიმრო ადგილებში ჩადენილ დანაშაულთა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკაში ნაკლოვანებების აღმოფხვრის შესახებ“.

IV

შეტანილ იქნას ცვლილებანი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის შემდეგ დადგენილებებში სისხლის სამართლის საქმეებზე:

1. პლენუმის 1946 წლის 20 სექტემბრის დადგენილებაში „სპეკულაციის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“:

ა) დადგენილების აღწერილობითი ნაწილის მეორე აბზაცი ამოღებულ იქნას;

ბ) დადგენილების აღწერილობითი ნაწილის მესამე აბზაცი გადმოცემულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„არის შემთხვევები, როცა რეწვის სახით ან დიდი ოდენობით სპეკულაციისათვის სასამართლოები ნიშნავენ სასჯელის მსუბუქ ზომებს“.

2. პლენუმის 1961 წლის 19 ივნისის № 4 დადგენილებაში „სასამართლოების მიერ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთათვის შრომა-გასწორების კოლონიის სახის განსაზღვრის წესის შესახებ“:

ამ დადგენილების მეორე მუხლის „ბ“ პუნქტის მეორე წინადადება გადმოცემულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„ამასთან სასამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით (რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 შენიშვნა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები)“.

3. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 23-ე პლენუმის 1929 წლის 4 მარტის დადგენილებაში „დენადი და განგრძობითი დანაშაულისადმი ხანდაზმულობისა და ამნისტიის გამოყენების პირობების შესახებ“:

ა) დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი გადმოცემული იქნეს შემდეგი რედაქციით:

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს იმ დანაშაულებრივ ქმედობათა განსაკუთრებულ ფორმებს, რომლებიც ჩადენილია ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ასეთი დანაშაულის მაგალითად შეიძლება გამოდგეს ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევისათვის თავის არიდება (სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მე-17 მუხლი), თვითნებურად წასვლა (სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, კანონის მე-9-ე მუხლი), ალიმენტის გადახდის ან ბავშვების შენახვისათვის ბოროტად თავის არიდება (რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 122 მუხლი), იარაღის უკანონო შენახვა ან ტარება (რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 218 მუხლი), დანაშაულის განუცხადებლობა (რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 190 მუხლი) და სხვ.

ამ სახის დანაშაული, რომელსაც დენადი ეწოდება, ხასიათდება გარკვეული დანაშაულებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივი ქმედობის შემადგენლობის განუწყვეტელი განხორციელებით. დენადი დანაშაული იწყება რომელიმე დანაშაულებრივი მოქმედებით (მაგალითად თვითნებურად წასვლისას) ან დანაშაულებრივი უმოქმედობის აქტით (დანაშაულის განუცხადებლობისას). ამრიგად, დენადი დანაშაული შეიძლება განისაზღვროს როგორც მოქმედება ამ უმოქმედობა, რომელიც დაკავშირებულია იმ ვალდებულებათა შემდგომ ხანგრძლივ შეუსრულებლობასთან, რომლებიც კანონმა დააკისრა დამნაშავეს სისხლის სამართლის დევნის მუქარით";

ბ) დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტის მეორე წინადადება გადმოცემულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„ამ დანაშაულს მიეკუთვნება, მაგალითად, წამება, რომელიც გამოიხატება სისტემატურ ცემაში (რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლი)";

გ) დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის მეოთხე პუნქტის პირველი ნაწილი გადმოცემულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„დენადი დანაშაული იწყება დანაშაულებრივი მოქმედების (უმოქმედობის) ჩადენის მომენტიდან და მთავრდება იმით, რომ თვით დამნაშავის მოქმედება მიმართულია დანაშაულის შეწყვეტისაკენ ან მოხდა მოვლენა, რამაც ხელი შეუშალა დანაშაულის ჩადენას(მაგალითად, ხელისუფლების ორგანოთა ჩარევა)";

დ) დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის მეოთხე პუნქტის მესამე ნაწილი გადმოცემულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„სისხლის სამართლის დანაშაულის ხანდაზმულობის ვადა ხანგრძლივი დანაშაულის მიმართ გამოიანგარიშება ამ დანაშაულის შეწყვეტის დროიდან დამნაშავის ნებით თუ მისი ნების საწინააღმდეგოდ (დამნაშავის მიერ თავის მოვალეობათა ნებაყოფლობითი შესრულება, დანაშაულის აღიარება, ხელისუფლების ორგანოთა მიერ დაკავება და სხვ.).

ამასთან პირი არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, თუ დანაშაულის ჩადენის დროიდან გავიდა თხუთმეტი წელი და ხანდაზმულობა არ შემწყდარა ახალი დანაშაულის ჩადენით".

4. პლენუმის 1953 წლის 29 სექტემბრის № 7 დადგენილებაში „ქონების კონფისკაციის გამოყენების თაობაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ":

ა) დადგენილების აღწერილობითი ნაწილის პირველ აბზაცში სიტყვები: „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისების 25 და 25-I მუხლები (რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 23 და 40 მუხლები)" შეიცვალოს სიტყვებით: „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 30 მუხლი (რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 35 მუხლი)";

ბ) დადგენილების აღწერილობითი ნაწილის მეხუთე და მეექვსე აბზაცები, აგრეთვე მეშვიდე აბზაცის ნაწილი სიტყვებიდან: „ასე მაგალითად, საქმეებზე..." — ამოღებულ იქნას; მერვე აბზაცი გადმოცემულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„ხშირად წინასწარი გამოძიების პროცესში..." და შემდეგ ტექსტის მიხედვით;

დ) დადგენილების აღწერილობითი ნაწილის მეათე აბზაციდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „უხეშად დაარღვია რა რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ა მუხლი";

ე) დადგენილების აღწერილობითი ნაწილის მეთერთმეტე აბზაცში სიტყვები: „335 მუხლი..." შეიცვალა სიტყვებით: „315 მუხლი...";

ვ) დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტი ამოღებულ იქნას;

ზ) დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის მეოთხე პუნქტიდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 40 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების თანახმად";

თ) დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის მეხუთე პუნქტში სიტყვები: „121-ა მუხლი" შეიცვალოს სიტყვებით: „175 მუხლი", ხოლო სიტყვებს: „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისების 25-I მუხლი" —სიტყვებით: „რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 35 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები";

ი) დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის მეექვსე პუნქტიდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 69-ე და 331-ე მუხლებისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამის მუხლებთან შეფარდებით";

კ) დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის მეცხრე პუნქტში სიტყვები: „რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლები" შეიცვალოს სიტყვებით: „სსრ კავშირისა

და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების 21-ე მუხლი";

ლ) დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის მეთერთმეტე პუნქტის მეორე ნაწილში სიტყვები: „461 და 462 მუხლები" შეიცვალოს სიტყვებით: „368-369 მუხლები";

მ) დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის მეთორმეტე პუნქტის მეორე ნაწილში სიტყვები: „...და სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო-მისარიატის 1943 წლის 31 მაისის ინსტრუქციით" შეიცვალოს სიტყვებით: „...და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ინსტრუქციით ჩამორთმეული, უპატრონო და ბეითალმანი ქონების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ".

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე — ა. გორკინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი — ი. გრიშანინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

დადგენილება № 2

ქ. მოსკოვი, 1963 წლის 18 მარტი.

იმის შესახებ, რომ სასამართლოებმა მკაცრად დაიცვან კანონები სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს

კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის ყოველი ღონისძიებით განმტკიცება, საბჭოთა მოქალაქეების უფლებების დაცვის გაძლიერება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების წარმატებით აშენების აუცილებელი პირობაა. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად იზრდება მოთხოვნილებანი სასამართლო ორგანოებისადმი, რომელთა საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს კანონების ზუსტი და განუხრელი აღსრულების პირობებში.

სასამართლო ორგანოები დიდ მუშაობას ეწევიან დამნაშავეობასთან ბრძოლაში, უზრუნველყოფენ ძირითადად კანონების სწორ გამოყენებას, სასამართლო საქმეებისა და მოქალაქეთა საჩივრების სამართლიანად გადაჭრას. მაგრამ ცალკეული სასამართლოების საქმიანობაში არსებობს სერიოზული ნაკლოვანებანი, ჯერ კიდევ არღვევენ კანონებს სასამართლო საქმეების განხილვის დროს. აღმოფხვრილი არ არის სასამართლო პრაქტიკაში მოქალაქეთა დაუსაბუთებელი მსჯავრდებისა და დანაშაულის ჩამდენ პირთა გამართლების ცალკეული ფაქტები, იმის შემთხვევები, რომ არასწორ იურიდიულ კვალიფიკაციას აძლევენ სამართლის დარღვევებს, ნიშნავენ სასჯელის ღონისძიებებს, რომლებიც არ შეესაბამებიან ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და დამნაშავეთა პიროვნებას, ზღუდავენ ბრალდებულთა უფლებას დაცვაზე, აგრეთვე არღვევენ კანონით დადგენილ საქმეთა განხილვის ვადებს.

სასამართლო ორგანოების საქმიანობაში კანონების ეს დარღვევები დიდ ზიანს აყენებს დამნაშავეობასთან ბრძოლის ორგანიზაციას, მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ასუსტებს მათ რწმენას საბჭოთა კანონების ძალასა და სოციალისტური მართლმსაჯულების სამართლიანობაში.

კანონიერების დარღვევის ბევრი შემთხვევა განპირობებულია კონსტიტუციური დებულების (სსრ კავშირის კონსტიტუციის 112 მუხლი) დაუცველობით, დებულებისა იმის შესახებ, რომ მართლმსაჯულების აღსრულების დროს მოსამართლენი დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან, და იმით, რომ სასამართლოს მუშაკთა ზოგიერთ ნაწილს შორის ბოლომდე არ არის დაძლეული კანონის მნიშვნელობის შეუფასებლობა, კანონის, როგორც მართლმსაჯულების აღსრულების ურყევი საფუძვლისა, აგრეთვე შეუფასებლობა სასამართლოს როლისა როგორც ორგანოსი, რომელსაც მინდობილი აქვს საბოლოოდ გადაწყვიტოს სამართალში მიცემულის ბრალეულობისა და სასჯელის ღონისძიებათა შეფარდების საკითხები.

ამ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ სასამართლოები ზოგიერთ შემთხვევაში არღვევენ იმ პრინციპს, რომ ყველა მოქალაქე მიუხედავად მათი სამსახურებრივი და საზოგადოებრივი მდგომა-

რეობისა თანასწორია კანონისა და სასამართლოს წინაშე, თავიანთ საქმიანობაში მუდამ როდი გამომდინარეობენ იმის საჭიროებიდან რომ ყოველმხრივ, მთლიანად და ობიექტურად გამოიკვლიონ საქმის გარემოებანი, გამოავლინონ ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მისი ბრალის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი (სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების 14 მუხლი).

ამას იქამდე მივყეევართ, რომ სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების 43-ე მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განაჩენები ზოგიერთ შემთხვევაში ემყარებიან არა სამსჯავრო სხდომაზე გამოკვლეულ დამამტკიცებელ საბუთებს, არამედ ვარაუდს.

სასამართლოებმა, ჯერ კიდევ, ვერ მიაღწიეს იმას, რომ მთლიანად აღმოფხვრან დამამტკიცებელი საბუთების შეფასებისადმი არასწორი მიდგომა. არიან რა შეპყრობილი წინათ გავრცელებული ცრუმეცნიერული აზრით, რაც გამოიხატება ბრალდებულის მიერ თავისი ბრალის აღიარების დამამტკიცებელი მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასებაში, ზოგიერთი მოსამართლე დასკვნას სამართალში მიცემულის ბრალეულობის შესახებ ამყარებს მხოლოდ მის აღიარებაზე და არა სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეული ყველა დამამტკიცებელი საბუთის შეფასებაზე. სამართალში მიცემულის განმარტებას ხშირად უარყოფენ იმ მოტივებით, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ ცდილობენ თვით სამართალში მიცემულს დააკისრონ ვალდებულება ამტკიცოს უდანაშაულობა, რაც კანონით კატეგორიულად აკრძალულია.

ცალკეული სასამართლოების პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა სასამართლო განხილვა ხორციელდება თავმჯდომარისა და სახალხო მსაჯულთა მხრივ დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევაში სათანადო ინიციატივისა და აქტიურობის გარეშე. მთელ რიგ საქმეებზე სასამართლოები არ უზრუნველყოფენ სამსჯავრო სხდომაზე იმ დაზარალებულთა და მოწმეთა გამოცხადებას, რომელთა ჩვენებებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის და ჯერდებიან მხოლოდ წინასწარი გამოძიების მსვლელობაში მიცემული მათი ჩვენებების გამოქვეყნებას, მაშინ როცა რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 286-ე მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლების თანახმად ასეთი გამოქვეყნება დასაშვებია მხოლოდ მაშინ თუ არსებითი წინააღმდეგობა არსებობს მოწმის ჩვენებებს შორის წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოზე, ან თუ შეუძლებელია მოწმის გამოცხადება სასამართლოში. ზოგჯერ სასამართლოები დამამტკიცებელ საბუთად იღებენ მასალებს, რომლებიც მოპოვებულია კანონით დადგენილი წესების დარღვევით.

სამსჯავრო გამოძიების დაბალ ხარისხს იქამდე მივყეევართ, რომ არ ხდება სამართალში მიცემულის დანაშაულებრივი მოქმედების ყველა ეპიზოდის დადგენა და დანაშაულის ჩადენაში მონაწილე ყველა პირის გამოკვლევა. ბევრ შემთხვევაში არასაკმარისად იკვლევენ განზრახვის შინაარსსა და მიმართულებას, დანაშაულის ჩადენის მიზანსა და მოტივებს, არ ახდენენ საჭირო განსხვავებას განზრახ და გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულთა შორის, ხოლო ზოგჯერ უშვებენ კიდეც ობიექტურ შერაცხვას, რაც არ არის დამახასიათებელი საბჭოთა სამართლისათვის. არასაკმარისად აფასებენ რა ჩადენილი დანაშაულის სწორი კვალიფიკაციის მნიშვნელობას და ხშირად გამომდინარეობენ რა მცდარი წარმოდგენებიდან დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების მეთოდების შესახებ, ზოგიერთი სასამართლო იყენებს სისხლის სამართლის კანონს, რომელსაც უფრო მკაცრი სანქცია აქვს, თუმცა ჩადენილი დანაშაული ამ კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული. მაგალითად, ავტოტრანსპორტზე მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევის საქმეებზე ცალკეული სასამართლოები, იმყოფებიან რა დანაშაულის მძიმე შედეგების შთაბეჭდილების ქვეშ, აკვალიფიცირებენ მას განზრახი მკვლელობის კანონის მუხლებით, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი კვალიფიკაცია არ გამომდინარეობს საქმის გარემოებებიდან. კანონს განზრახი მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ ზოგჯერ უფარდებენ პირთ, რომლებმაც მკვლელობა ჩაიდინეს გაუფრთხილებლობით, ან მოკლეს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. იმ კანონებით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას გატაცებისათვის, მსჯავრს დებენ პირთ, რომლებსაც არ განუზრახავთ ქონება მიეტაცებინათ თავიანთ სასარგებლოდ ან სხვა პირთა სასარგებლოდ, არამედ დაუშვეს მხოლოდ დანაკლისი.

მეორე მხრივ, იმის შედეგად, რომ ზერელედ იკვლევენ დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, განზრახ-მკვლელობის ჩამდენ პირთ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გამტაცებელთ და სამართლის სხვა დამრღვევთ ზოგჯერ ანთავისუფლებენ პასუხისმგებლობისაგან ან მსჯავრს დებენ იმ კანონებით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას ნაკლებად საშიში დანაშაულისათვის.

ზოგიერთი სასამართლო არღვევს სამართალში მიცემულის კანონით დადგენილ უფლებას დაცვაზე, ივიწყებს რა იმას, რომ ამ უფლების გან-

ხორციელება წარმოადგენს სოციალისტური დემოკრატიზმის ერთერთ გამოვლინებას, მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანეს გარანტიასა და დამნაშავეობასთან წარმატებითი ბრძოლის საჭირო პირობას. ხშირად სამართალში მიცემულთა და მათ დამცველთა დასაბუთებული შუამდგომლობანი დაუკმაყოფილებელი რჩება, რაც არსებითად სამართალში მიცემულს აღუკვეთავს დაცვის უფლებას. ზოგჯერ სამართალში მიცემულთ არ უზრუნველყოფენ დაცვით იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს პირდაპირ გათვალისწინებულია კანონით (რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლები).

რიგ შემთხვევაში არ სრულდება კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ დაენიშნოს თარჯიმანი სამართალში მიცემულს, რომელიც არ ფლობს ენას, რომელზედაც სასამართლო წარმოება მიმდინარეობს, არ უზრუნველყოფენ საპროცესო უფლებებს პროცესის ისეთი მონაწილეებისათვის, როგორიც არიან საზოგადოებრივი ბრალმდებლები და საზოგადოებრივი დამცველები, დაზარალებულები, სამოქალაქო მოსარჩელეები, ირღვევა არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ საქმეთა განხილვის კანონით დადგენილი წესი.

საქმეთა განხილვის დროს მუდამ როდი იცავენ კოლეგიურობას, რასაც კანონი ითხოვს. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების მე-9 მუხლის საწინააღმდეგოდ, რომელიც ითვალისწინებს საქმეზე სახალხო მსაჯულთა და თავმჯდომარის თანაბარ უფლებებს, არასაკმარისად იღებენ მხედველობაში სახალხო მსაჯულთა აზრს იმ საკითხებზე, რომლებიც წამოიჭრება საქმის განხილვის პროცესში, ხოლო ზოგჯერ განაჩენის დადგენის დროსაც.

ზოგიერთ მოსამართლეს დასაშვებად მიაჩნია ეგრეთწოდებული უმნიშვნელო გადახრა საპროცესო კანონის მოთხოვნებიდან, ივიწყებს რა იმას, რომ კანონით გათვალისწინებული საპროცესო ფორმის განუხრელი დაცვა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისა და სწორი გადაწყვეტილების მიღების აუცილებელი პირობაა. რიგ საქმეებზე არ არის უზრუნველყოფილი სასამართლო განხილვის მთელი მსვლელობის ზუსტი ოქმის შედგენა. ხშირად სამჯავრო სხდომის ოქმში ჩამოთვლილია პროცესის მხოლოდ ფორმალური მომენტები, ხოლო დაკითხულ პირთა განმარტებები და ჩვენებები, მხარეთა განცხადებები იწერება შემოკლებით, არაზუსტად, ზოგჯერ კი იმდენად თვითნებურად ასხვაფერებენ, რომ შეუძლებელი ხდება გადაიჭრას საკითხი იმის შესახებ სწორია თუ არა სასამართლოს მოქმედება და შეესაბამება თუ არა განაჩენი სამსჯავრო სხდომაზე დადგენილ მონაცემებს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი საოლქო, სამხარეო სასამართლო და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლო შეეგუა ქვემდგომი სასამართლოების მხრივ კანონიერების დარღვევებს და მხოლოდ აღრიცხავს ამ დარღვევებს, არ ამყღავნებს და არ აღმოფხვრის ამ დარღვევათა მიზეზებს, საჭირო შემთხვევებში პასუხისგებაში არ აძლევს პირთ, რომლებიც დამნაშავენი არიან კანონების დარღვევაში.

საკასაციო და ზედამხედველობის წესით საქმეთა განხილვის დროს ზემდგომი სასამართლოები ხშირად თვითონ არღვევენ კანონს. ერთეული როდია შემთხვევები, როცა დაუსაბუთებლად უკლებენ სასჯელს იმ პირთ, რომლებიც ცნობილი არიან დამნაშავედ საშიში დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე უსაფუძვლოდ აუქმებენ განაჩენებს დანიშნული სასჯელის ლმობიერების მოტივით, რაც იწვევს მერყეობას სასამართლო პრაქტიკაში და ასუსტებს ბრძოლას დამნაშავეობასთან.

არღვევენ რა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების 51-ე მუხლის მოთხოვნას, ზემდგომი სასამართლოები ხშირად ადგენენ ან დამტკიცებულად თვლიან ფაქტებს, რომლებიც არ ყოფილა დადგენილი განაჩენში ან უარყოფილია განაჩენით; აგრეთვე წინასწარ წყვეტენ ბრალდების დამტკიცებისა თუ დაუმტკიცებლობის, ამა თუ იმ დამამტკიცებელი საბუთის სარწმუნოებისა თუ არასარწმუნოების, ერთი დამამტკიცებელი საბუთის მეორეს წინაშე უპირატესობის, ამა თუ იმ სისხლის სამართლის კანონის გამოყენების, სასჯელის ღონისძიების საკითხებს. ხშირად არღვევენ რა კანონს (სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების 45-ე მუხლი, რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 337-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლები), ზემდგომი სასამართლოები საკუთარი ინიციატივით აგროვებენ ახალ დამამტკიცებელ საბუთებს, კერძოდ, ექსპერტიზის დანიშვნის გზით და მათ საფუძვლად უდებენ საბოლოო გადაწყვეტილებას, თუმცა ეს დამამტკიცებელი საბუთები შემოწმებული არ ყოფილა პირველი ინსტანციის სასამართლოში. ცალკეულ შემთხვევებში სასამართლოები ერთმანეთში ურევენ სასამართლო ზედამხედველობის წესით საქმეთა გადასინჯვის საპროცესო ნორმებს საქმეების განახლებასთან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

ბევრი სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებათა და დადგენილებათა ხარისხი ჯერ კიდევ დაბალი რჩება. განაჩენების გაუქმების ან შეცვლის დროს განჩინებანი და დადგენილებანი ცალკეულ შემთხვევებში არ შეიცავენ მოტივებს და მითითებებს სათანადო კანონზე, საქმის გარემოებანი კი გადმოცემულია არაზუსტად, ხოლო ზოგჯერ დამახინჯებულადაც.

ყველა სასამართლოში სათანადო ყურადღებას როდი აქცევენ უსაფუძვლო მსჯავრდებაზე ან დანაშაულის ჩამდენ პირთა კანონიერი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებაზე მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვასა და შემოწმებას. მუდამ ყურადღებით როდი ამოწმებენ პრესის გამოხმაურებას; ზოგჯერ ამ განცხადებებსა და საჩივრებს სათანადო რეაგირების გარეშე ტოვებენ, ან, პირიქით, არასწორად იხილავენ როგორც საფუძველს განაჩენის გამოსატანად ან მის გასაუქმებლად და შესაცვლელად. მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებს და პრესის სიგნალებს სუსტად იყენებენ იმ მიზნით, რომ გამომჟღავნდეს და აღმოიფხვრას კანონიერების დარღვევები და ნაკლოვანებები სასამართლო ორგანოების საქმიანობაში.

აღნიშნული ნაკლოვანებები და კანონის დარღვევები მოწმობენ იმას, რომ ბევრი სასამართლო ჯერ კიდევ არ განიმსჭვალა პირადი პასუხისმგებლობის გრძნობით მისთვის დაკისრებული საქმისადმი, ხოლო ზემდგომი სასამართლოები კი არ იჩენენ სათანადო მზრუნველობას იმის შესახებ, რომ აამაღლონ სასამართლო ორგანოების მუშაკთა პოლიტიკური შეგნებულობა და საქმიანი კვალიფიკაცია, აღზარდონ მათში პრინციპულობა, ნაკლოვანებებისადმი შეუწყნარებლობა, კანონის ღრმა პატივისცემა და დამოუკიდებლობა გადაწყვეტილებების მიღებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ა დ გ ე ნ ს:

1. მიექცეს სასამართლოთა ყურადღება იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეობის ლიკვიდაციის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის მიერ დასახული ამოცანის შესრულება შეიძლება მიღწეულ იქნას იმ პირობით, თუ მტკიცედ და განუხრელად დავიცავთ კანონებს. კანონიერების არავითარი დარღვევა არ შეიძლება გამართლებულ იქნას იმის მითითებით, თითქოს ეს საჭიროა დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით. ყოველი სისხლის სამართლის საქმე, ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და სიმძიმის, ბრალდებულის სამსახურებრივი და საზოგადოებრივი მდგომარეობის მიუხედავად უნდა გადაიჭრას სისხლის სამართლისა და საპროცესო სამართლის ნორმების მოთხოვნათა ზუსტი შესაბამისობით.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების მე-2 მუხლის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ დანაშაულის ჩამდენი თითოეული პირი სამართლიანად დაისაჯოს და არც ერთი უდანაშაულო არ იქნეს მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში და მსჯავრდებული, შეიძლება შესრულდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ თითოეული მოსამართლე იგრძნობს პირად პასუხისმგებლობას კანონიერებისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა უზრუნველყოფისათვის.

2. სასამართლოებმა ზუსტად და განუხრელად უნდა დაიცვან სისხლის სამართლის კანონმდებლობის მოთხოვნები, არ დაუშვან იმ პირთა მსჯავრდება, რომელთა მოქმედებაში არ არის დანაშაულის შემადგენლობა, აგრეთვე ჩადენილი ქმედობის არასწორი კვალიფიკაციისა და სასჯელის ღონისძიებათა დანიშვნის შემთხვევები საქმის გარემოებათა და დამნაშავის ვინაობის გაუთვალისწინებლად. ჩადენილი დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს იმ კანონის ზუსტი შესაბამისობით, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ამ ქმედობისათვის და ყოველგვარი გადახვევა ამ მოთხოვნილებიდან დაუშვებელია.

სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ჩადენილი დანაშაულის სუბიექტური მხარის გულდასმით გამოკვლევას. მავნე შედეგები, მათი სიმძიმის მიუხედავად, შეიძლება დაეკისროს პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი განზრახ მოქმედებდა ამ შედეგთა მიმართ ან დაუშვა ისინი გაუფრთხილებლობით.

3. საკონსტიტუციო დებულება იმის შესახებ, რომ მართლმსაჯულებას სსრ კავშირში ახორციელებს მხოლოდ სასამართლო და რომ არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში და დაისაჯოს სისხლის სამართლის წესით, თუ არ არის სასამართლოს განაჩენი, სასამართლოს აკისრებს სრულ პასუხისმგებლობას თითოეული სისხლის სამართლის საქმის საბოლოო გადაწყვეტისათვის. სასამართლოების ამოცანა ის არის, რომ კანონის საფუძველზე, სოციალისტური მართლშეგნების შესაბამისად, იმ პირობებში, რომლის დროსაც გამორიცხულია მოსამართლეზე ყოველგვარი გარეშე ზემოქმედება, უზრუნველყონ თითოეული სისხლის სამართლის საქმის მასალების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა და გამოიტანონ ამ საქმეებზე კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილებანი.

4. აღმოიფხვრას სასამართლო პრაქტიკაში იმ საკითხთა გადაჭრისადმი უყურადღებო და მექანიკური მიდგომის შემთხვევები, რომლებიც დაკავშირებულია სამართალში მიცემისა და სამს-

ჯავრო სხდომის განსახილველად დანიშვნასთან. გულდასმით შემოწმდეს და დაზუსტდეს წინასწარი გამოძიების სათანადო სისრულე, წარდგენილი ბრალდებისა და მისი კვალიფიკაციის დასაბუთებულობა და სისწორე. სასამართლოები უნდა გამოეხმაურონ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების მსვლელობაში მატერიალური და საპროცესო ნორმების დარღვევის შემთხვევებს და საჭირო შემთხვევაში საქმეები დაუბრუნონ დამატებით გამოძიებაზე, ხოლო თუ არსებობს ამის საფუძველი — შეწყვიტონ საქმის წარმოება.

სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ იმ ნორმების დაცვა, რომლებიც აწესრიგებენ სამართალში მიცემის პირობებსა და წესს, უზრუნველყოფს საქმის ყველაზე მეტად სრულ და თავის დროზე განხილვას და არიდებს დაუსაბუთებელ მსჯავრდებას.

5. სასამართლოებმა უნდა აამაღლონ სამსჯავრო სხდომაზე საქმეთა განხილვის ხარისხი, უზრუნველყონ როგორც წინასწარი გამოძიების სტადიაში შეგროვილი, ისე სასამართლო განხილვის მსვლელობაში მოპოვებული დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევის სისრულე და ობიექტურობა იმისათვის, რომ თითოეულ საქმეზე გამორკვეულ და დადგენილ იქნას ყველა ფაქტიური გარემოება. კიდევ ერთხელ მიექცეს ყურადღება იმას, რომ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს წინასწარი გამოძიების მასალები, რომლებიც განხილული არ ყოფილა სამსჯავრო სხდომაზე ზეპირობის, საჯაროობისა და უშუალობის დაცვით, აგრეთვე მასალები, რომლებიც მიღებულია დამამტკიცებელი საბუთების შეგროვების საპროცესო წესების დარღვევით.

აღმოიფხვრას მცდარი აზრი ბრალდებულის მიერ თავისი ბრალის აღიარების განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ, რომელიც გვხვდება სასამართლო პრაქტიკაში. რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ანალოგიური მუხლების შესაბამისად ბრალდებულის მიერ თავისი ბრალის აღიარება შეიძლება საფუძვლად დაედოს ბრალდებას მხოლოდ მაშინ, თუ დადასტურდა საქმეზე შეგროვილი სხვა დამამტკიცებელ საბუთებთან მისი ერთობლიობა. აგრეთვე ბრალდებულის მიერ თავისი ბრალის უარყოფა არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამართლებელ განაჩენს, თუ ეს უარყოფა ეწინააღმდეგება სხვა დამამტკიცებელ საბუთებს, რომლებიც ობიექტურად ადასტურებენ მის ბრალს.

6. მითითება მიეცეს სასამართლოებს, რომ მტკიცედ იქნას დაცული ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასამართლო განხილვის მონაწილეთა უფლებებს, აღმოიფხვრას დაცვის როლის შეუფასებლობის არსებული შემთხვევები. განემარტოთ, რომ დამცველი დახმარებას უწევს რა სამართალში მიცემულს მისი საპროცესო უფლებების განხორციელებაში, ამით ხელს უწყობს საქმის სწორ და ყოველმხრივ განხილვას და კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის გამოტანას. განხორციელდეს ღონისძიებანი დაზარალებულთა, სამოქალაქო მოსარჩელეთა და სასამართლო განხილვის სხვა მონაწილეთა უფლებების უზრუნველსაყოფად, მიღწეულ იქნეს რა მათი რეალური შესრულება სასამართლო პროცესზე.

7. მიექცეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, სამხარეო და საოლქო სასამართლოების ყურადღება იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს სოციალისტური კანონიერების დაცვისადმი ზედამხედველობა სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს და თავიდან იქნას აცილებული სასამართლო პრაქტიკაში შესაძლო შეცდომები და კანონიერების დარღვევები. გაუმჯობესდეს საკასაციო ინსტანციის საქმიანობა, რათა პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომები და კანონის დარღვევები აღმოიფხვრას, ჯერ კიდევ, საკასაციო წესით საქმეთა განხილვის დროს.

8. სისხლის სამართლის საქმეების განხილვის დროს სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომებისა და მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობათა დარღვევების გამოსწორებამ უნდა გამოიწვიოს იმ ღონისძიებათა დროული განხორციელება, რომლებიც ასეთი შეცდომებისა და დარღვევების განმეორებას აარიდებენ, როგორც განაჩენის გამომტან სასამართლოს, ისე სხვა სასამართლოებს. რჩევა მიეცეთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებს, სამხარეო და საოლქო სასამართლოებს გამოიტანონ კერძო (განსაკუთრებული) განჩინებანი სასამართლოებისა და საგამომძიებლო ორგანოების მიერ დაშვებული შეცდომების გამო და საჭირო შემთხვევებში ეს განჩინებანი აცნობონ რესპუბლიკის, მხარის, ოლქის ყველა სასამართლოს და შესაბამის პროკურორებს.

რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეებმა (უფროსმა სახალხო მოსამართლეებმა) კანონიერების დარღვევის ფაქტები და მიზეზები, რომელთა გამოც ასეთი ფაქტების დადგომა შესაძლებელი გახდა, განიხილონ როგორც მოსამართლეებთან, რომლებსაც კავშირი აქვთ კანონის ამ დარღვევებთან, ისე მოსამართლეთა და სახალხო გამომძიებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ თათბირებსა და მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცადინეობებზე, რომლებიც ადგილებზე ტარდება. იმ მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც დაუშვეს კანონის უხეში დარღვევა, უნდა გადაიჭრას ყოველი კონკრეტული საქმის გამო დარღვევის ხასიათისა და მიზეზების, აგრეთვე დამდგარი შედეგების გათვალისწინებით.

9. დაევალოს მოსამართლეებს, უფრო ყურადღებით მოეპყრან მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვას, აგრეთვე პრესისა და მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეტყობინებას დაუსაბუთებელი მსჯავრდების ან გამართლების და კანონის სხვა დარღვევების შემთხვევათა შესახებ, გულდასმით შეამოწმონ შემოსული სიგნალები და განახორციელონ ღონისძიებანი კანონიერების აღსადგენად. ამასთან გადაწყვეტილებას მშრომელთა საჩივრებისა და წერილების, პრესისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეტყობინების გამო საფუძვლად უნდა დაედოს სათანადო შემოწმების მასალები ყოველ კონკრეტულ საქმეზე.

10. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესმა სასამართლოებმა, სამხარეო, საოლქო, საქალაქო სასამართლოებმა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა გაძლიერდეს კონტროლი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 14 მაისის № 7 დადგენილების „დამნაშავეობასთან ბრძოლაში სასამართლოების საქმიანობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის და მათი საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანების შესახებ“ და 1962 წლის 3 დეკემბრის № 15 დადგენილების „დამნაშავეობასთან ბრძოლაში სასამართლოების საქმიანობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის და მათი საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 14 მაისის № 7 დადგენილების შესრულების თაობაზე“, განხორციელებისადმი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე — ა. გორკინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი — ი. გრიშანინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიაკოვსკი—მშვიდობისა და დემოკრატიის მებრძოლი პოეტი

ვ. ლაფერაშვილი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

რევოლუციის დიდი მომღერლის ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედება საბჭოთა პოეზიის დროშაა. ათეულ წლებს გაუძლო მაიაკოვსკის მუდამ ცხოველმყოფელმა ნაწარმოებებმა და ისინი დღესაც ემსახურებიან მშრომელთა მრავალმილიონიანი მასების დიად საქმეს — კომუნიზმის მშენებლობას. ევროპისა თუ ამერიკის, აზიისა თუ სხვა კონტინენტის თითოეულ სახელმწიფოს აქვს თავისი პროგრესული, რევოლუციური პოეზია, რომლის მწვერვალია საფრანგეთში — ლუი არაგონი, ფრანს ელენსი, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — იოჰანეს ბეხერი, ამერიკის შეერთებულ შტატებში — მაიკლ გოლდი, ჯოზეფ ფრიმენი, ლენგსტონ ჰიუზი, თურქეთში — ნაზიმ ჰიქმეთი, პოლონეთში — იულიან ტუვიმი, ჩეხოსლოვაკიაში — სტანისლავ ნეიმანი, ჰოლანდიაში — იოჰანეს ჰოიტსი და სხვა არა ერთი სახელგანთქმული პოეტი. მაგრამ მაიაკოვსკი უდიდესი მწვერვალია მსოფლიო რევოლუციური პოეზიისა, უდიდესი პოეტია ჩვენი თანამედროვეობისა. როგორც თვითონ პოეტი ეძახდა თავის თავს, იგი „სრულუფლებიანი წარმომადგენელია“ დიდი საბჭოთა პოეზიისა. ასეთი იყო ვლადიმერ მაიაკოვსკი — მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი პოეტი — როდესაც იგი გამოდიოდა საბჭოთა კავშირის ქალაქების მრავალი ესტრადიდან, ან როდესაც საზღვარგარეთ მოგზაურობდა. ყველგან მძლავრად გრგვინავდა დიდი საბჭოთა პოეტის ხავერდოვანი ბანი, აღსავსე მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმით, ჩვენი ქვეყნის რეალური ოპტიმიზმით, რომელიც გასხივოსნებულია კომუნიზმის მოახლოებული ხვალინდელი ბრწყინვალე დღით.

საქართველოს მშრომელები ამაყობენ, რომ აქ, საქართველოში დიაბადა ვლადიმერ მაიაკოვსკი. ეს იყო 1893 წლის 7 ივლისს, ახალი სტილით კი 19 ივლისს. მას შემდეგ 70 წელმა განვლო. დროის ამ მანძილის მხოლოდ 36 წელი იცოცხლა მაიაკოვსკიმ და მთელს საბჭოთა ხალხს, მსოფლიოს მოწინავე კაცობრიობას უდიდესი პოეტური მემკვიდრეობა დაუტოვა. მაიაკოვსკიმ, როგორც გამოჩენილმა პოეტმა, რუსული სიტყვის დიდმა რეფორმატორმა და ნოვატორმა, ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა კლასიკაში, საბჭოთა პოეზიაში.

თავის ავტობიოგრაფიაში მაიაკოვსკი ამაყად აცხადებს: „სამშობლო — სოფელი ბაღდადია, ქუთაისის გუბერნია, საქართველო“ და შემდეგ პოეტი კვლავ აღტაცებით ისხენებს საქართველოს: „პირველი სახლი, რომელსაც გარკვევით ვიხსენებ. ორი სართული. ზედა ჩვენ გვეკუთვნოდა. ქვედაში მარანი იყო. წელიწადში ერთხელ — ყურძნით სავსე ურმები. წურავდნენ. მე ვჭამდი. ისინი სვამდნენ. ყოველივე ეს უძველესი ქართული ტერიტორიაა ბაღდადთან“.

პოეტის მამა — ვლადიმერ კონსტანტინეს ძე — ჩვიდმეტი წელი მსახურობდა ბაღდადის მეტყევედ, მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მშრომელებთან, რომელთაც ქართულად ელაპარაკებოდა. იგი ყოველმხრივ ეხმარებოდა ღარიბ გლეხებს, პატივისცემით ეპყრობოდა ადგილობრივ მოსახლეობას და ისინიც გულთბილად ხვდებოდნენ მეტყევეს: „გამარჯობა, ვლადიმერო, შენი ჭირიმე“.

პოეტის მამა ეროვნებით რუსი იყო. იგი თავის თავს ყოველთვის თვლიდა ქართველი ხალხის ძმად, რომლის ენა მისთვის ისეთივე მშობლიური იყო, როგორც რუსული.

ვალოდია მაიაკოვსკის მეგობრები და თანატოლები ქართველები იყვნენ. პოეტის უფროსი და ლუდმილა მაიაკოვსკაია იხსენებს: „ჩვენი მეგობრები იყვნენ ქართველები, სომხები, თათრები და სხვები. აქედან დაიწყო ვალოდიას ინტერნაციონალიზმი“.

1900 წელს პოეტის დედა და ვალოდია ქუთაისში გაემგზავრნენ. მაშინ ბაღდადში რუსული სკოლა არ იყო. ქუთაისის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში შესასვლელად ვალოდიას, იულია გლუშკოვსკაიას გარდა, ამზადებდა რევოლუციონერი ქალიშვილი, მასწავლებელი ნინო სმოლნიაკოვა, რომელიც შემდეგ გახდა ცნობილი ქართველი ბოლშევიკის ფილიპე მახარაძის მეუღლე. არის ცნობები იმისა, რომ ვალოდიას ამზადებდა აგრეთვე ცნობილი ბაქოელი კომისრის ალიოშა ჯაფარიძის და. ამრიგად, ეს მასწავლებლები, ცხადია, აცნობდნენ ვალოდიას რევოლუციის ანბანს, უხსნიდნენ, რომ არიან ბურჟუები და არიან პროლეტარები, რომ საზოგადოებაში გაჩაღებულია კლასობრივი ბრძოლა. ამიტომ იყო, რომ გიმნაზიის მესამე კლასელი მოსწავლე ვალოდია მაიაკოვსკი მღელვარედ ადევნებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალს რუსეთის პირველი რევოლუციის ქარიშხლიან დღეებს. თავის ავტობიოგრაფიაში მაიაკოვსკი იხსენებს 1905 წლის რევოლუციურ საქართველოს: „გაჩნდა სიტყვა „პროკლამაცია". პროკლამაციებს ქართველები ჰკიდებდნენ. ქართველებს კაზაკები ჰკიდებდნენ. ჩემი ამხანაგები ქართველები იყვნენ... 1905 წელი, სწავლისათვის ვის ეცალა. გამრავლდა ორიანები. მეოთხეში გადავედი მხოლოდ იმიტომ, რომ ქვით თავი გამიტეხეს (რიონზე ჩხუბი მომივიდა) — განმეორებით გამოცდებზე შემიბრალეს. ჩემთვის რევოლუცია ასე დაიწყო: ჩემი ამხანაგი, მღვდლის მზარეული ისიდორე სიხარულით ფეხშიშველი ქუჩაზე შეხტა — მოჰკლეს გენერალი ალიხანოვიო, საქართველოს დამსჯელი. დაიწყო დემონსტრაციები და მიტინგები. მეც წავედი. კარგია".

1902-1906 წლები — ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის წლებია. გიმნაზიაში სწავლის დროს ვალოდია მეგობრობდა და დახმარებას უწევდა თავის თანაკლასელებს, რომელთაც ქართულად ელაპარაკებოდა. 1905 წელს გიმნაზიის მერვეკლასელები არალეგალურ შეკრებებს აწყობდნენ. ვალოდია მაიაკოვსკი მესამე კლასის დელეგატი იყო. ქუთაისის ქუჩებში სასტიკი ბრძოლები ჩაღდებოდა მუშებსა და პოლიციას შორის. მოსწავლეები რევოლუციის მხარეზე იყვნენ.

ლექსში „ვლადიკავკავი-თბილისი", რომელიც პოეტმა დაწერა 1924 წელს, მაიაკოვსკი იხსენებს 1905 წლის რევოლუციურ დღეებს, ქართველი ხალხის ბრძოლას მეფის რუსეთის წინააღმდეგ, იხსენებს არსენა ჯორჯიაშვილის გმირულ საქმეებს, პოეტი არ ივიწყებს ჯალათი გენერლის ალიხანოვის საზიზღარ მოქმედებას, მისი კაზაკების მათრახების ზუზუნს:

...და თავისუფლების
  ღილაც სისხლიანი
დგება —
  ეს ხსოვნაა წუთისა,
და აი
  მე ვისვრი,
    მე — გმირი არსენა,
ყუმბარას
  იმ ცხრაასხუთისას.
დაჰქროდნენ
  პაუებად
    ბატონის წულები.
შე კი,
  იმ წლებში რომ დამდაღეს,
ყოველდღე ვიგონებ
  ტკივილით,
    წყლულებით
იმ ალიხანოვის
  მათრახებს...

1906 წელს მაიაკოვსკის მამა გარდაეცვალა და მაიაკოვსკების ოჯახი მოსკოვს გადასახლდა. 1908 წელს მაიაკოვსკი ხდება ბოლშევიკური პარტიის წევრი და ასრულებს პროპაგანდისტულ დავალებებს. პოეტი იხსენებს: „პროპაგანდისტი ვარ, ვეწვიე მეფუნთუშეებს, შემდეგ ფეხსაცმლის მკერავებს, ბოლოს სტამბის მუშებს. საერთო-საქალაქო კონფერენციაზე მოსკოვის კომიტეტში ამირჩიეს".

1908 — 1909 წლები მაიაკოვსკის რევოლუციური გამობრძმედის წლებია. მას სამჯერ ატუსაღებენ. თერთმეტი თვე მან დაჰყო მოსკოვის ბუტირკის საპყრობილეს ცალკეულ კამერაში. ამავე საპყრობილეში წარმოიშვა მაიაკოვსკის პირველი ლექსები, დაწერილი იმდროინდელი არალეგალური ფურცლების რევოლუციური პოეზიის გავლენის ქვეშ.

1912 წელს მაიაკოვსკი უკავშირდება მოსკოველ პოეტ-ფუტურისტებს — ვასილ კამენსკის, დავით ბურლიუკს და სხვებს. ამ ლიტერატურული მიმართულების ჯანყი არსებული ბურჟუაზიული ესთეტიკის წინააღმდეგ, რელიგიის წინააღმდეგ, კაპიტალისტური წესწყობილების გაბატონებული კლასების წინააღმდეგ იზიდავდა ახალგაზრდა მაიაკოვსკის. რევოლუციურად განწყობილი მაიაკოვსკი იბრძოდა ბურჟუაზიული წესწყობილების წინააღმდეგ. მაიაკოვსკი ნათლად ხედავდა, რომ დრომოჭმულმა ბურჟუაზიულმა ლიტერატურამ თავისი გაბატონებული ადგილი უნდა დაუთმოს ახალ, დემოკრატიულ ლიტერატურას.

1915 წელს მაიაკოვსკიმ დაწერა პოემა „შარვლიანი ღრუბელი", სადაც გაილაშქრა ბურჟუაზიისა და მათი ხელოვნების წინააღმდეგ. პოემაში გაისმის პროტესტისა და ჯანყის მოტივები:

შეგროვდით ყველა:
ოფლიანი, მონა, მშიერი,
მოდით, მწვირეში,
რწყილებს შორის ღამენათევნი.
დღესასწაული საზეიმო ჰქონდეს იერი,
სისხლით შევღებოთ ჩვენ
ორშაბათ-სამშაბათები...
დე უდიადეს დღეობათა შესაფერისად
არხევდეს დროშებს ტყვიების თქეში,
მაღლა ასწიეთ თქვენ, ბოძებო,
  სანთურებისავ,
სისხლით გასვრილი ვაჭრების ლეში!

რევოლუციამდე დაწერილ მრავალ ლექსში მაიაკოვსკი ილაშქრებს იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. პოეზიის რევოლუციურმა შინაარსმა მაიაკოვსკი მიიყვანა ლექსის რევოლუციურ ფორმამდე. მან, როგორც რუსული ლექსის უბადლო ოსტატმა, ნოვატორმა, რეფორმატორმა,— შექმნა ლექსის ახალი რიტმები, ახალი პოეტური

სახეები, ახალი რითმები, პოეტური გამოთქმის ახალი ფორმები.

როდესაც აფრიალდა დიდი ოქტომბრის წითელი დროშა, — პოეტის ხმა გულწრფელად აჟღერდა. იგი მიესალმა ოქტომბრის დროშას და პირველივე დღიდან მოუწოდა მასებს რევოლუციის მონაპოვართა დაცვისაკენ. პოეტი აღტაცებული აცხადებდა: ჩემი რევოლუციაა. წავედი სმოლნში. ვაკეთებდი, რაც მომხვდებოდა!

1918 წლის ზაფხულში მაიაკოვსკიმ დაწერა პირველი საბჭოთა პიესა „მისტერია-ბუფი“, სადაც ასახული იყო რევოლუციის მთელი გზა. პიესა დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა მუშებზე.

1919 წელს მაიაკოვსკიმ წითელარმიელებისთვის დაწერა „საბჭოთა ანბანი“, სადაც მოათავსა ორსტრიქონიანი მახვილგონიერი ლექსები. „ანბანის“ ეგზემპლარები მაიაკოვსკიმ კრემლში წაიღო და იქ დაურიგა ფრონტზე მიმავალ წითელარმიელებს.

სამოქალაქო ომის მძიმე წლებში მაიაკოვსკი მუშაობდა რუსეთის დეპეშათა სააგენტოში — „როსტაში“. იქ იგი ხატავდა პლაკატებს და უკეთებდა მათ წარწერებს ლექსად. ეს დიდი მუშაობა რაზმავდა მასებს. მაიაკოვსკი ამბობდა, რომ ამ პლაკატების მეოხებით წითელარმიელები მიდიოდნენ მტერზე იერიშით.

1922 წლის 5 მარტს გაზეთ „იზვესტიაში“ პირველად გამოქვეყნდა მაიაკოვსკის ლექსი „სხდომებს გადაყოლილნი“. ვ. ი. ლენინმა მოიწონა ეს ლექსი და აღნიშნა მისი პოლიტიკური სიმახვილე.

შემდგომ წლებში მაიაკოვსკი მუშაობს სულ ახალ და ახალ თემებზე. პოეტი ასახავს საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა შემოქმედებით მუშაობას და თავის თავს მუშათა კლასის ნაწილად თვლის.

1924 წელს მაიაკოვსკიმ შექმნა თავისი გენიალური პოემა — მაღალმხატვრული ეპოქალური ტილო „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“. პოემა როგორც საბჭოთა პოეზიის, ისე მსოფლიო პროგრესული პოეზიის შედევრია. იგი — ნიმუშია პოემისა ლენინის შესახებ.

პოეტმა დაგვანახვა ლენინისა და მისი დიადი მოძღვრების უკვდავება:

ლენინს იცნობენ
  სახლის ქვებიც,
    დამდგარნი ყუჩად:
აქ იერიშმა
  ოქტომბრულმა გამოიარა...
რაც მოქარგულა
  თვითეული
    მებრძოლის დროშით.
მოიმოქმედა და გვიბრძანა
  ლენინის აზრმა.

პოეტმა გადმოგვცა ლენინის იდეების სიდიადე, მშრომელთა ღრმა სიყვარული თავისი ბელადისადმი.

დადგა 1927 წელი. ოქტომბრის რევოლუციის მეათე წლისთავს მაიაკოვსკიმ მიუძღვნა თავისი შესანიშნავი პოემა „კარგია!“

პოეტი აღფრთოვანებულია სოციალისტური ქვეყნის სიდიადით:

ჩვენ ას წლამდე უნდა
  სულ ვიზარდოთ ლაღად,
არ მოვხუცდეთ,
  ვიყოთ ჯანმრთელად და სადად...
მე დამყურებს ზეცა
  ლურჯი ფარჩისფერი.
მე არ მახსოვს ხანა
  ასე მშვენიერი.

მაიაკოვსკის შემოქმედებაში ოქტომბრის რევოლუციის თემა უმთავრესი თემა იყო, რომელსაც მან მიუძღვნა თავისი პოეტური ნიჭი და მთელი თავისი სიცოცხლე.

მაიაკოვსკიმ არა ერთხელ იმოგზაურა საზღვარგარეთ, მაგრამ პოეტს ნაბიჯი არ ასცდენია, იგი ამაყად გრგვინავდა:

ვუმზერ ნიუ-იორკს
  და მის ვარაყებს,
კეპის მოხდა კი
  მის წინ არ მინდა,
საბჭოელს
  თავისი აქვს სიამაყე
ბურჟუებს
  დავცქერით მაღლიდან.

პუბლიცისტური მგზნებარებით აღსავსეა მაიაკოვსკის ლექსები და ნარკვევები ამერიკის შესახებ, სადაც პოეტმა 1925 წელს იმოგზაურა. ამერიკის შეერთებულ შტატებში პოეტი წააწყდა სოციალურ წინააღმდეგობებს, იქ გამეფებულ კონტრასტებს, სადაც მრავალსართულიან სასახლეთა გვერდით შავად მოჩანან ქოხმახები. თავის ერთ-ერთ ადრინდელ რევოლუციურ პლაკატზე მაიაკოვსკი წერდა: „ამერიკელები არიან სხვადასხვაგვარი, ზოგი პროლეტარია, ზოგი კი-ბურჟუა“. პოეტი ნიღაბს გლეჯს ანტიხალხურ ბურჟუაზიულ დემოკრატიას, „ბურჟუაზიული თავისუფლების“ ყალბ ხასიათს. ამიტომ პოეტი საყვედურით მიმართავს კოლუმბს, ვინც ამერიკა აღმოაჩინა, და ეუბნება:

მე დავხურავდი ამ ამერიკას,
  გავწმენდდი ოდნავ
და შემდეგ ისევ
  ხელმეორედ
    აღმოვაჩენდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიაკოვსკი თავის ცნობილ ნარკვევში „ჩემ მიერ ამერიკის აღმოჩენა“ წინასწარმეტყველურად წერს: „შეიძლება მოხდეს, რომ შეერთებული შტატები ერთიანად გადაიქცნენ უიმედო ბურჟუაზიული საქმის უკანასკნელ შეიარაღებულ დამცველებად, — მაშინ ისტორია შესძლებს დაწეროს კარგი, უელსის ტიპის, რომანი „ორ სამყაროთა ბრძოლა“.

მაიაკოვსკი თავისი მგზნებარე ლექსებით მოუწოდებს რევოლუციური სიმტკიცისაკენ, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლისაკენ, რეაქციისა და საერთაშორისო იმპერიალისტური მონობის მოსპობისაკენ.

საინტერესოა ის, რომ ჯერ კიდევ 1920 წელს დაწერილ ლექსში „კომუნისტებო, ყველა ხელი თქვენსკენ გამოწვდილა!“ მაიაკოვსკი წინასწარმეტყველურად წერდა:

...თვითეულ ქვეყნის მუშების გულებს
ბოლშევიკური სიმართლე ათბობს!
მტერს არ დაინდობს დარტყმა ძლიერი,
ჩქარა დადგება დიადი ხანა, —
შრომით იცხოვრებს, იბედნიერებს
ყველა ქალაქი, ყველა ქვეყანა.

ამრიგად, მაიაკოვსკის შემოქმედებას დიდ ძალას აძლევს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მაღალი იდეები:

ისტორიას
მართავს
მუშათა ძმობა —
ყოველდღიურად,
მძლედ,
მამაცურად...

ეს ლექსი „კავშირების სახლი, 17 ივლისი“ ორგანულად უკავშირდება ლექსს „უძლეველი იარაღი“, მის ჩირაღდნივით ანთებულ სტრიქონებს:

ჩვენი იარაღია:
ენით სხვადასხვა,
მაგრამ —
კლასით ერთნაირ
ადამიანთა სოლიდარობა...

მშვიდობის მომხრეთა ასობით მილიონთა ხმა მრისხანე და უძლეველი ძალაა, რომელსაც შეუძლია შეაჩეროს იმპერიალიზმის სისხლიანი ხელი. მაიაკოვსკის ვაუკაცური ხმა მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლ საბჭოთა ხალხის რკინისებურ ნებისყოფას გამოხატავს.

მშვიდობა გვინდა
და ეს ძახილი
არ არის თხოვნა
სუსტი ხალხისა...

მაიაკოვსკის მებრძოლი პოეზია, აღსავსე უდიდესი პატივისცემითა და მღელვარე სიყვარულით ყველა ხალხისადმი, შესანიშნავი მაგალითია პოეტის ბრძოლისა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებისათვის, ლენინიზმის ცხოველმყოფელი იდეებისათვის.

თავისი უკანასკნელი ნაწარმოები „მთელი ხმით“ მაიაკოვსკიმ დაწერა 1930 წლის იანვარში, რომელშიაც პოეტმა დააჯამა მთელი თავისი პოეტური მუშაობა. მაიაკოვსკი ამაყად აცხადებს:

ჩირად არ მიღირს
ეს ბრინჯაო,
არც მიძეგნია,
ჩირად არ მიღირს
მარმარილოს კრიალა ლორწი.
მე და სახელი
გავსწორდებით —
ჩვენ ხომ ძმები ვართ, —
და მომავალში
საამაყო ჩვენთვის ძეგლია —
სოციალიზმი,
ნაშენები
საერთო ბრძოლით.

დაუვიწყარია მარად ცოცხალი ვლადიმერ მაიაკოვსკი. ამ სტრიქონების ავტორი რამდენჯერმე დაესწრო მოსკოვში რევოლუციის პოეტი-ტრიბუნის ლიტერატურულ გამოსვლა-საღამოებს.

მახსოვს: 1929 წლის 8 ოქტომბერს მოსკოვის პოლიტექნიკური მუზეუმის დიდ აუდიტორიაში მოეწყო მაიაკოვსკის ლიტერატურული საღამო. აპოლიტიკური, უიდეო პოეზიის მომხრენი გაოფთრებით ებრძოდნენ მაიაკოვსკის. ეს ბრძოლა თავის გამოხატულებას პოულობდა ლიტერატურულ საღამოებზეც.

ამ ლიტერატურულ საღამოზე მაიაკოვსკიმ წაიკითხა გერმანელი პოეტის ფერდინანდ ფრეილიგრატის ერთ-ერთი ლექსის თარგმანი.

მეშჩანური ხელოვნების წარმომადგენლები მას მოსვენებას არ აძლევდნენ:

— ეს თარგმანი არ ვარგა, თქვენ ეგ ლექსი წაიკითხეთ, როგორც არტისტმა! თქვენ მხოლოდ არტისტი ხართ!

მაიაკოვსკიმ მშვიდად უპასუხა თავისი ბოხი ხმით:

— მე პოეტი ვარ, მაგრამ თუ საჭირო ხდება, მე არტისტიც ვარ და იურისტიც კი.

ასე გრგვინავდა იმ საღამოს ვლადიმერ მაიაკოვსკის ვაუკაცური, სამართლიანი ხმა. ეს ხმა დღეს გრგვინავს მთელს მსოფლიოში.

ინფორმაცია

საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკასთან იურიდიული მეცნიერების სწავლების კავშირის განმტკიცებისათვის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო დარბაზში გაიმართა იურიდიული ფაკულტეტის პარტიული ორგანიზაციის კრება რესპუბლიკის პროკურატურის, უმაღლესი სასამართლოსა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად. კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამართლის განყოფილების, იურიდიული კომისიის, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის, ქალაქ თბილისის პროკურატურის, რესპუბლიკის და ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს, სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების, თბილისის რაიონული პროკურატურებისა და სახალხო სასამართლოების პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. კრებას ესწრებოდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგის მოადგილე **ზ. რატიანი**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. ჭახრაკია**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფ. **ე. ხარაძე** და პარტიული კომიტეტის მდივანი **ო. ბაქანიძე**, რესპუბლიკის პროკურორი **პ. ბერძენიშვილი** და პარტბიუროს მდივანი **ო. ყღენტი**, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **ვ. მაისურაძე** და პარტბიუროს მდივანი **ო. გველესიანი**, რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილე **ვ. ლუკოვკინი** და პარტიული კომიტეტის მდივანი **რ. ნიკოლაიშვილი**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამართლის განყოფილების გამგე პროფ. **თ. წერეთელი**, რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს უფროსი **გ. შელია**, ქალაქ თბილისის პროკურორი **ა. ტაკიძე** და სხვა საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები.

კრება მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანმა **ა. ფალიაშვილმა.** მან აღნიშნა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ეთმობა „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირის სახალხო განათლების შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონის ცხოვრებაში გატარებას. აღნიშნული კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად იურიდიული ფაკულტეტის დეკანატმა და პარტიულმა ორგანიზაციამ მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელა საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკასთან იურიდიული მეცნიერების სწავლების კავშირის განმტკიცების, იუსტიციის დარგისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და სტუდენტთა სოციალისტური კანონიერების დაცვის სულისკვეთების აღზრდის საქმეში. მაგრამ, ყველა ის ღონისძიებანი, რომელსაც ატარებს იურიდიული ფაკულტეტი და აგრეთვე საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები, როგორც ჩანს საკმარისი არ არის სასურველი შედეგის მიღწევისათვის, საჭიროა მთელი რიგი ისეთი საკითხების ერთობლივი განხილვა და გადაწყვეტა, რომლებიც თანაბრად აინტერესებს, როგორც იურიდიულ ფაკულტეტს, ისე საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს.

კრებამ მოისმინა იურიდიული ფაკულტეტის დეკანის დოც. **გ. ინწკირველის** ვრცელი მოხსენება საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკასთან იურიდიული მეცნიერების სწავლების კავშირის განმტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში დეკანატისა და კათედრების მხრივ მეტი ყურადღება ეთმობა და სისტემატური კონტროლი ეწევა სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის საკითხებს, თანდათან უმჯობესდება კურსდამთავრებულ სტუდენტთა სურვილისამებრ სამუშაოზე განაწილების საქმე, საგრძნობლად გაუმჯობესდა ლექციების, პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობის ჩატარების ხარისხი, იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების მეცნიერული შრომები უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა პრაქტიკის აქტუალურ საკითხებს და სხვა. მაგრამ წარმატებებთან ერთად, — აღნიშნა გ. ინწკირველმა, — ჯერ კიდევ არსებობს ნაკლოვანი მხარეები, ყველა შესაძლებლობა არ არის გამოყენებული იურიდიული მეცნიერების სასწავლო პროცესის საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პრა-

ქტიკასთან კავშირის განმტკიცებისათვის. იურიდიული ფაკულტეტის კათედრებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ საწარმოო პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტობის საქმიანობას, მოაწყონ პრაქტიკის გავლის ადგილებზე კათედრის გამსვლელი სხდომები, კონსულტაციები, პერიოდულად მოისმინონ კათედრის სხდომებზე პრაქტიკის ხელმძღვანელების და თვით პრაქტიკანტ სტუდენტების ანგარიში. რესპუბლიკის პროკურატურის, უმაღლესი სასამართლოსა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ უნდა აამაღლონ პრაქტიკის ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა, უზრუნველყონ, რომ მათ მჭიდრო კავშირი დაამყარონ სათანადო კათედრებთან.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იურიდიული ფაკულტეტის კათედრებმა სტუდენტთა სადიპლომო შრომების თემატიკა უნდა შეადგინონ კონკრეტულ, აქტუალურ საკითხებზე, მოსთხოვონ სტუდენტებს საკითხების ღრმა და საფუძვლიანი დამუშავება პრაქტიკული ხასიათის მასალების გამოყენებით და განზოგადებით. საღამოს დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილების სტუდენტების საკურსო და სადიპლომო შრომების თემატიკა შეძლებისდაგვარად უნდა დაუკავშირდეს მათ სპეციალობას. შემოღებულ უნდა იქნეს პრაქტიკაში კათედრის გამსვლელი სხდომების მოწყობა სტუდენტების სამუშაო ადგილებზე. აქვე უნდა მოეწყოს სპეციალურ საგნებში გამოცდების და სადიპლომო შრომების დაცვა.

დოც. გ. ინწკირველმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გაუმჯობესდა კურსდამთავრებულ სტუდენტთა სურვილისამებრ სამუშაოზე განაწილების საქმე. ფაკულტეტის კურსდამთავრებული სტუდენტები ყოველწლიურად ნაწილდებიან სამუშაოზე პროკურატურის, სასამართლოს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროსა და ადვოკატთა კოლეგიებში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კურსდამთავრებული უნდა ნაწილდებოდეს აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში, რაც დღეისათვის არ ხდება.

მომხსენებელი შეეხო პრაქტიკული მუშაკების იურიდიულ ფაკულტეტთან მჭიდრო კავშირის დამყარების საკითხს. ამხ. გ. ინწკირველმა აღნიშნა, რომ იურიდიული ფაკულტეტის დეკანატმა განიზრახა სისტემატური კავშირი დაამყაროს ფაკულტეტის კურსდამთავრებულ სტუდენტებთან, რომლებიც ამჟამად მუშაობენ ჩვენი ქვეყნის პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ და სამეცნიერო დაწესებულებებში, საგამომძიებლო-სასამართლო ორგანოებში და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში. ამისათვის ფაკულტეტმა დაიწყო პრაქტიკულ მუშაკებთან შეხვედრის დღე და დაამყარა მათთან მიწერ-მოწერა.

შეეხო რა იურიდიული ფაკულტეტის კათედრებისა და პროფესორ-მასწავლებლების მეცნიერული შრომების საგამომძიებლო-სასამართლო ორგანოების პრაქტიკასთან დაკავშირების საკითხს მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კათედრებმა საგრძნობლად გაუმჯობესეს მუშაობა აქტუალური სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის თემატიკის შედგენისათვის. კათედრები მხედველობაში იღებენ იმას, რომ თემატიკა უკავშირდებოდეს კანონმდებლობის განვითარებისა და საგამომძიებლო-სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში წამოჭრილ საკვანძო და სადაო საკითხებს. ასე მაგალითად, პროფ. ალ. ვაჩეიშვილის, პროფ. ბ. ფურცხვანიძის, დოც. ს. ჯორბენაძის, დოც. ე. ნეიძის, დოც. ნ. ლომსაძის, დოც. ბ. ხარაზიშვილის, დოც. ა. ფალიაშვილის, დოც. ლ. ჯომარჯიძის და სხვათა მეცნიერული შრომები და სტატიები მჭიდროდ არიან დაკავშირებული საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში წამოჭრილ აქტუალურ საკითხებთან. იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის კანონ-პროექტების შემუშავებასა და განხილვაში. ამ მხრივ დიდ მუშაობას ეწევა სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე დოც. ს. ჯორბენაძე, სისხლის სამართლის კათედრის პროფესორი ბ. ფურცხვანიძე და სხვები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები ატარებენ ლექცია-მოხსენებებს საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკული მუშაკებისათვის, ეწევიან იურიდიული ცოდნის პროპაგანდას მოსახლეობაში და სხვა. ამასთან ერთად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობაში. ამ მხრივ მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ რესპუბლიკის პროკურატურისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს კოლეგიების სხდომებზე, აგრეთვე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სხდომებზე დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა. საჭიროა აგრეთვე აღნიშნულ ორგანოებთან შეიქმნას სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოები.

დოც. გ. ინწკირველი შეეხო აგრეთვე იურიდიული მეცნიერების სასწავლო პროცესის პრაქტიკასთან დაკავშირების ფორმების საკითხს და სხვა რიგ აქტუალურ საკითხებს, რომლებიც თანაბრად აინტერესებთ, როგორც იურიდიულ ფაკულტეტს, ისე საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილემ **ვ. ლუკოვკინმა**, რომელმაც აღნიშნა, რომ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ ორგანოების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების საკითხს. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულების დიდი უმრავლესობა, რომლებიც მუშაობენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს უწყებაში, იჩენენ თეორიულ მომზადებას და კარგად უკავშირებენ თავიანთ ცოდნას პრაქტიკულ საქმიანობას. ამხ. ლუკოვკინმა აღნიშნა, რომ კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლის საკითხს საგამომძიებლო ორგანოებში, კერძოდ კი მილიციის ორგანოებში, სადაც ხდება უმრავლესი სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა. ამიტომ, აღნიშნა მომხსენებელმა, საჭიროა უფრო მეტი სტუდენტები გაიგზავნოს საწარმოო პრაქტიკაზე მილიციის ორგანოებში და საგრძნობლად გახანგრძლივდეს სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გავლის დრო.

რესპუბლიკის პროკურორის უფროსმა თანაშემწემ კადრების დარგში **პ. შუშანიამ** თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1963 წლის 2 თებერვლის სადირექტივო წერილის ცხოვრებაში გატარების საკითხზე, რომელიც ითვალისწინებს პროკურატურის ორგანოებთან იურიდიული ფაკულტეტებისა და იურიდიული ინსტიტუტების კავშირის შემდგომ განმტკიცებას და გაფართოებას. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მიექცეს კრიმინალისტიკის კურსის სწავლების დროს მჭიდრო კავშირის დამყარებას რესპუბლიკის პროკურატურის კრიმინალისტიკის კაბინეტთან, აგრეთვე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტების მიერ პროცესუალური დოკუმენტების სწორედ შედგენის დაუფლების საკითხს. ამხ. პ. შუშანიამ აღნიშნა, რომ კონტაქტი იურიდიულ ფაკულტეტსა და რესპუბლიკის პროკურატურას შორის უფრო მჭიდრო და საქმიანი გახდა. ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები ბ. ფურცხვანიძე, გ. ინწკირველი, ს. ჯორბენაძე, ა. ფალიაშვილი და სხვები ქმედით დახმარებას უწევენ პროკურატურას.

ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ **რ. ჭოღოშვილმა** აღნიშნა, რომ კვალიფიციური კადრების მომზადებაზე დიდად არის დამოკიდებული საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება. უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს თვით პრაქტიკული მუშაკების იურიდიულ ფაკულტეტთან მჭიდრო კავშირის დამყარებას, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოო პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტთა საქმიანობაზე კონტროლის გაწევის საკითხს.

სისხლის სამართლის კათედრის დოცენტმა **ბ. ხარაზიშვილმა** თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებში სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გავლის საკითხზე. მან აღნიშნა, რომ უნდა აღიკვეთოს პრაქტიკის ხელმძღვანელების მიერ სტუდენტობისათვის ერთნაირი, ტრაფარეტული და ზერელე დახასიათების გაცემის პრაქტიკა. მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე, რომ იურიდიული ფაკულტეტის კრიმინალისტიკურ ლაბორატორიას ჯერ კიდევ არ გააჩნია ყველა საჭირო ხელსაწყოები და აპარატურა სასწავლო პროცესის ნორმალური მსვლელობისათვის. რექტორატმა და დეკანატმა უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ კრიმინალისტიკური ლაბორატორიისათვის საჭირო აპარატურის შეძენას.

რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს სამსახურის განყოფილების უფროსის მოადგილემ **ქ. გიორგაძემ** თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ იურიდიული ფაკულტეტის დეკანატმა და კათედრებმა მტკიცე კავშირი უნდა დაამყარონ რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სკოლასთან, უნდა მოეწყოს ლექცია-მოხსენებების წაკითხვა და კონსულტაციების ჩატარება აღნიშნული სკოლის მასწავლებლებთან.

პროფ. **თ. წერეთელმა** თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ კრებას, რომელიც იურიდიული ფაკულტეტის ინიციატივით ტარდება, დიდი მნიშვნელობა აქვს იურიდიული მეცნიერების თეორიულ და პრაქტიკულ მუშაკებს შორის მჭიდრო კავშირის განმტკიცებისათვის. პროფ. თ. წერეთელმა თავის სიტყვაში მიუთითა ჩვენი რესპუბლიკის ახალი სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის კომენტარების შედგენის აუცილებლობაზე. ჟურნალ „საბჭოთა სამართალში" სისტემატურად უნდა ქვეყნდებოდეს მოქმედი კანონმდებლობის კომენტარები ცალკეულ აქტუალურ საკითხებზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებში სტუდენტებისათვის საწარმოო პრაქტიკის გავლის დრო ძალზე მცირეა, რისთვისაც სტუდენტები ვერ ასწრებენ საწარმოო პრაქტიკის პროგრამით გათვალისწინებულ ყველა საკითხის შესწავლას, გამოძიების ტექნიკის, მეთოდიკის და ტაქტიკის დაუფლებას. საჭიროა, — აღნიშნა მომხსენებელმა, — უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს სტუდენტთა სადიპლომო შრომების თემატიკის შერჩევასა და ამ შრომებში პრაქტიკული მასალების გამოყენების და განზოგადების საკითხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ვ. მაისურაძემ** აღნიშნა, რომ საგამომძიებლო და სასამართლო ორანოების პრაქტიკასთან იურიდიული მეცნიერების სწავლების კავშირის განმტკიცებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც კვალიფიციური კადრების მომზადების, ისე მეცნიერების დარგში აქტუალური საკითხების დამუშავების მხრივაც. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იურიდიული ფაკულტეტის დეკანატმა და კათედრებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გავლის საკითხს. ამხ. ვ. მაისურაძის აზრით სტუდენტებმა საწარმოო პრაქტიკა უნდა გაიარონ აგრეთვე იმ ორგანოებში სადაც მიმდინარეობს საკანონმდებლო აქტების პროექტების შედგენა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამჟამად მზადდება საკითხი, რათა რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოსთან საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნას სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, რომლის მუშაობაშიც უშუალო მონაწილეობას მიიღებენ გამოცდილი მეცნიერ-თანამშრომლები და პრაქტიკული მუშაკები.

სიტყვით გამოვიდა აგრეთვე იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი **რ. შენგელია**, რომელიც შეეხო სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გავლის საკითხის ორგანიზაციას და გამოთქვა შენიშვნები აღნიშნული საკითხის დაყენების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

კრებაზე საბოლოო სიტყვით გამოვიდა იურიდიული ფაკულტეტის დეკანი დოც. **გ. ინწკირველი**, რომელმაც პასუხი გასცა შეკითხვებზე და შეეხო რიგ მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა გადაწყვეტასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკასთან იურიდიული მეცნიერების სწავლების დაკავშირებას.

კრებამ მიიღო სათანადო დადგენილება, რომელიც დაეგზავნა დაინტერესებულ უწყებებს.

რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიაზე

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიამ მოისმინა აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორების ჯ. ბაჯელიძის, მ. ნადირაძის ანგარიში და საქართველოს სსრ პროკურორის უფროსი თანაშემწის აღსრულებაზე კონტროლის დარგში ო. არხანგელსკაიას თანამოხსენება საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის და მოქალაქეთა მიღების საქმეში 1962 წელს და მიმდინარე წლის 5 თვეში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

კოლეგიამ აღნიშნა, რომ აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურატურის ორგანოებმა განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებები საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის, საპროკურორო მუშაობის ამ დარგის მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის. რიგ სამინისტროებსა, უწყებებსა და წარმოებადაწესებულებებში შემოწმებული იქნა მშრომელთა წერილების, განცხადებების, საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის კანონიერება. გამოვლინებულ დარღვევებზე ხელმძღვანელ ორგანოებში შეტანილია წარდგინებები.

ამასთან ერთად აჭარის ასსრ, განსაკუთრებით კი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურატურის ორგანოების მუშაობაში კოლეგიამ აღნიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებები: არ არის აღმოფხვრილი საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის ვადების დარღვევის, გაჭიანურების, მომჩივნებისათვის არასრულყოფილი, ფორმალური პასუხების გაცემის ფაქტები.

ნაკლოვანებებია მოქალაქეთა მიღების საქმეში უშუალოდ მშენებლობებზე, ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ასეთ ღონისძიებებს იშვიათად ან სრულიად არ ატარებენ აჭარის ასსრ-პროკურატურის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, ქალაქისა და რაიონის პროკურორები.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურატურის ორგანოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ პროკურატურებში შემოსული საჩივრების განზოგადებას, შემდეგ განზოგადებული მასალების გამოყენებას საერთოდ ზედამხედველობის მუშაობის ხაზით, იმ წარმოებადაწესებულებების შესამოწმებლად, სადაც ირღვევა კანონი, მოქალაქეთა გარანტირებული უფლებები და სხვა.

განხილულ საკითხზე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მოკრიბი პლენუმი

მ. წ. 13 ივლისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ვ. ი. მაისურაძის ინფორმაცია — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1963 წლის ივნის-ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, — აღნიშნა ამხ. ვ. მაისურაძემ,—დიდ ყურადღებას აქცევს მოზარდი თაობის კომუნისტური მორალის სულისკვეთებით აღზრდის, არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობისა და დამნაშავეობის ლიკვიდაციის საკითხებს. ამ დარგში პარტიის დირექტივების განხორციელება სასამართლო ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამიტომ იყო, რომ პლენუმმა აუცილებლად მიიჩნია განეხილა საკითხი არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმის გამო სასამართლო პრაქტიკის შესახებ. პლენუმმა ასევე განიხილა საკითხი მილიციის მუშაკთა და სახალხო რაზმელთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების ხელყოფისათვის პასუხისმგებლობის კანონმდებლობის სასამართლო პრაქტიკის შესახებ.

ამხ. ვ. მაისურაძემ ილაპარაკა იმ ამოცანებზე, რაც ამ დადგენილებების მიღებასთან დაკავშირებით დგას რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების წინაშე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ს. ი. ქაჯაიას მოხსენების მიხედვით პლენუმმა მიიღო დადგენილება „გატაცების ნიშნების გარეშე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების საზიანოდ მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით ქონებრივი სარგებლობის მიღების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“.

პლენუმმა მოისმინა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ვ. ღვინჯილიასა და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ს. მაკარაძის ანგარიში „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 14 მაისის დადგენილების“ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში სასამართლოთა საქმიანობის ხაკლოვანებების აღმოფხვრის და შემდგომი გაუმჯობესების ამოცანების შესრულების შესახებ“ განხორციელების მიმდინარეობა.

პლენუმმა განიხილა საკითხი — საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ. საბჭოს შექმნა მიზნად ისახავს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებასთან დაკავშირებული საკითხების მომზადების ხარისხის ამაღლებას და სასამართლო საქმეების განხილვისას კანონმდებლობის შეფარდებასთან დაკავშირებით სახელმძღვანელო განმარტებების პროექტების მომზადებისას ხარისხის გაუმჯობესებას, აგრეთვე სასამართლო ორგანოების კავშირის განმტკიცებას სამეცნიერო-იურიდიულ დაწესებულებებთან.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს სსრ პროკურორის პროტესტები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა, განაჩენთა, განჩინებათა, და დადგენილებათა გამო.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგე ო. ი. ლოლაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგის მოადგილე ზ. მ. რატიანი, საქართველოს სსრ პროკურორი პ. ე. ბერძენიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარე მ. ყ. ლომიძე.

ზ. მესენგისერი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაშაულობის ლიკვიდაცია მთელი საზოგადოების მოვალეობაა

ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა ლიკვიდაციისა და დამნაშავეობის მთლიანად აღმოფხვრის საკითხებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პერიოდში. პარტია მოითხოვს, რომ უზრუნველყოფილ იქნას რევოლუციური კანონიერების მტკიცედ დაცვა, აღმოიფხვრას მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევა, დაძლეულ იქნას კერძომესაკუთრული ტენდენციები; ყველაფერი ეს სერიოზულ ზიანს აყენებენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეს.

ჩვენი მშრომელები სულ უფრო მეტად ავლენენ მომავლის ადამიანის შესანიშნავ თვისებებს. ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობით დაინტერესებულნი, ისინი შრომაში ჰპოვებენ სიხარულსა და ბედნიერებას, მტკიცედ იცავენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.

მაგრამ, ჩვენს პირობებში, ზოგიერთნი ნებით თუ უნებლიეთ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, შეგნებულად თუ შეუგნებლად ჯერ კიდევ არღვევენ კანონებს, ანიავებენ სახალხო დოვლათს, ხელყოფენ ადამიანის სიცოცხლეს.

სწორედ ამ საკითხებზე ილაპარაკეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეცხრე მოწვევის საქალაქო საბჭოს მეორე სესიის მონაწილეებმა. მოხსენებით „ქ. თბილისში საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობისა და მისი სანიმუშოდ დაყენების ღონისძიებათა შესახებ“ გამოვიდა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. მელაძე.

უკანასკნელი წლების მანძილზე, — ამბობს ამხ. მელაძე, — ჩვენს ქვეყანაში დიდი მუშაობა განხორციელდა სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის, მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მუშაობის გასაუმჯობესებლად. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო რაზმეულების საქმიანობას და მილიციის გარესამსახურის გამართულ მუშაობას. ჩვენს დედაქალაქში 300-მდე სახალხო რაზმეულია, მასში გაერთიანებულია 17 ათასი რაზმელი. საუკეთესოთა შორის მომხსენებელი ასახელებს ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, მაუდ-კამოლის კომბინატის, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოსა და სხვა რაზმეულებს. დანაშაულთა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახლადშექმნილი სახალხო რაზმეულებისა და მილიციის გაერთიანებული 48 ოპერატიული პუნქტი, სადაც მუდმივი მორიგეობაა დაწესებული. ოპერატიულ პუნქტებზე მიმაგრებული რაზმელები და მილიციის მუშაკები რეგულარულად დადიან იმ ადგილებში, სადაც შემჩნეულია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები.

ქუჩისა და სახლების კომიტეტების, ამხანაგური სასამართლოების, პენსიონერთა საბჭოებისა და სხვა ორგანიზაციების საშუალებით, მილიციის ორგანოები ფართოდ აბამენ მშრომელებს მუშაობაში საზოგადოებრივ საწყისებზე. ახლა თბილისში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს მილიციის სამსახურის ოთხი განყოფილება, 100 უბნის რწმუნებული და 450 საგზაო ინსპექტორი.

დამნაშავეობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მილიციის ხელმძღვანელი მუშაკები ატარებენ მოხსენებებსა და საუბრებს საწარმოებში, დაწესებულებებში, მოსახლეობაში, გამოდიან რადიოთი და ტელევიზიით, პრესაში. საზოგადოებრივი აზრის გამომუშავებისა და საჭირო ზომების მიღებისათვის მილიციის მუშაკები საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა შესახებ ცნობებს აწვდიან იმ ორგანიზაციებს, სადაც ისინი მუშაობენ ან სწავლობენ. ყოველივე ამის შედეგად შესამჩნევად შემცირდა დანაშაულებრივი მოქმედება და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. გაუმჯობესდა დანაშაულთა გახსნის საქმე. მიმდინარე წლის ოთხ თვეში მთლიანად გამოაშკარავებულია ყველა განსაკუთრებით საშიში დანაშაული — ბანდიტიზმი, თავდასხმა მკვლელობის მიზნით, ბოროტეული ხულიგნობა და სხვ.

მიუხედავად ჩატარებული ღონისძიებებისა, აღნიშნა მომხსენებელმა, ქალაქში ჯერ კიდევ ხდება დანაშაული. სისხლის სამართლის დანაშაულს უმეტესად არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეები და ის პირები ჩადიან, რომლებიც არ მუშაობენ და ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას. საჭიროა ფართო საზოგადოებრიობის დახმარებით გამოვავლინოთ უსაქმურები,

გამოვიყენოთ საზოგადოებრივი ზეგავლენის მთელი ძალა, რათა ჩავაბათ ისინი სასარგებლო შრომაში, მივაღწიოთ, რომ ქალაქში ყველა შრომისუნარიანი მოქალაქე მუშაობდეს. თუ აღმოჩნდებიან ისეთი პირები, რომლებიც გაურბიან შრომას მათ მიმართ უთუოდ უნდა გამოვიყენოთ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულება. ამ ბრძანებულების გამოქვეყნების შემდეგ 1962 წელს და მიმდინარე წლის ოთხ თვეში თბილისში სამუშაოზე მოეწყო რამდენიმე ასეული კაცი, რომლებიც არსად არ მუშაობდნენ, ხოლო ვინც უარი განაცხადა პატიოსან შრომაზე რაიაღმასკომების გადაწყვეტილებათა საფუძველზე გასახლებული იქნენ თბილისიდან.

თუ რა შედეგი მოაქვს უსაქმურობას, მუქთახორობას, გვიჩვენებს შემდეგი ფაქტი: შვიდი ასეთი უსაქმური — ლომთაძე, გორდელაძე, ქაროსანიძე, მიქელაძე და სხვები, რომლებიც არსად არ მუშაობდნენ, გაერთიანდნენ ბოროტმოქმედთა ბანდაში და გასული წლის დამლევსა და მიმდინარე წლის დამდეგს 22 ბინა გაძარცვეს თბილისში.

ჩვენ ვალდებული ვართ გავაძლიეროთ ახალგაზრდა თაობის იდეური აღზრდა, ვებრძოლოთ არაჯანსაღ განწყობილებას მათ რიგებში, აღვზარდოთ მტკიცე და გაბედული, იდეურად გამოწრთობილი ახალგაზრდობა, რომელსაც უნარი ექნება აქტიური მონაწილეობა მიიღოს კომუნისტურ მშენებლობაში.

ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის რექტორატი, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაცია საკმარისად არ იყენებს ზემოქმედების ზომებს იმ სტუდენტების მიმართ, რომლებმაც ხულიგნობა ჩაიდინეს. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმა თ. ჭელიძემ, რომელიც მთვრალი იყო, გადააბრუნა ყველა ურნა ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე. ამ ხულიგნური ქმედობის შესახებ ეცნობა რექტორატს, მაგრამ ზემოქმედების რა ზომები მიიღეს მათ, დღემდე ცნობილი არ არის. ხულიგნურ მოქმედებაში შემჩნეული არიან უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ფიზკულტურის ინსტიტუტის, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები.

ახალგაზრდობის აღზრდაში დიდი როლი ეკუთვნის ოჯახს, მშობლებს. მაჩიტაძე, 1946 წელს დაბადებული, კარგად სწავლობდა, მაგრამ შემდეგ თავი დაანება სწავლას და ქურდობა დაიწყო. ორჯონიკიძის რაიპროკურატურაში არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ მისმა მამამ ნიკოლოზ სილოვანის-ძე მაჩიტაძემ, ტრესტ „საქსოფლელექტრომშენის“ მთავარმა ინჟინერმა, შარშან დააკმაყოფილა თავისი არასრულწლოვანი შვილის მერაბის სურვილი და წება დართო წასულიყო კიევში — კიევის „დინამოსა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩის შეხვედრაზე დასასწრებად. კიევის სასტუმრო „თეატრალურში“ მან გაქურდა მოქალაქე ცეპუუიკო. რამდენიმე ხნის შემდეგ „გულჩვილმა“ მამამ თავისი ვაჟი გაგზავნა დასასვენებლად სოჭაში, სადაც მერაბმა 200 მანეთი მოპარა მოქალაქეებს ლონინსა და კრახ-მაკლოვს. სოჭიდან მერაბი გაემგზავრა იალტაში, სადაც მოქალაქე კარტოზიას გამოსტყუა 250 მან. შვილის დანაშაულებრივი მოქმედება მამამ ბავშვური სიცელქით ახსნა, ხოლო თავისი უმწეობა აღზრდაში, იმით გაამართლა, რომ მერაბი ერთადერთი შვილია და თითქოს მამას სხვანაირად არ შეეძლო მოქცეულიყო. ახლა კი მერაბ მაჩიტაძე საბრალდებო სკამზე ზის.

დასახელებული ფაქტები ტიპიური როდია ჩვენი ახალგაზრდობისათვის. ჩვენი ქალიშვილებისა და ჭაბუკების აბსოლუტური უმრავლესობა კარგ მაგალითს იძლევა სწავლასა და შრომაში, საზოგადოებრივ მუშაობაში, ბევრი მათგანი პატრიოტული წამოწყების ინიციატორია, სახელი გაითქვეს შვიდწლედის მშენებლობებზე, ყამირი მიწების ათვისებაში და სხვ.

საჭიროა მთავარი ყურადღება მივაქციოთ მოზარდი თაობის სწორ აღზრდას საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც საფუძველი ეყრება ახალგაზრდობის მსოფლმხედველობასა და ზნეობას. შრომითი აღზრდა, შრომისადმი პატივისცემის ჩანერგვა აღზრდის საფუძველი უნდა იყოს.

ამხ. მელაძემ ყურადღება მიაპყრო მექრთამეობის, გამფლანგველობის, მატერიალურ ფასეულობათა გატაცების ფაქტებს. გამოძიების მასალები ცხადყოფენ, რომ ძირითადი მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუწყეს დანაშაულობათა ჩადენას არის კადრების არასწორი შერჩევა მატერიალურ-პასუხსაგებ თანამდებობებზე, ხშირად კი წინასწარი განზრახვით, არაკეთილსინდისიერად ჩატარებული რევიზია და ინვენტარიზაცია, საბუღალტრო აღრიცხვის არადამაკმაყოფილებლად დაყენება. მაგალითად, საქონლის მორიგი აღწერის დროს „თბილქსოვილვაჭრობის“ № 17 მაღაზიაში გამოვლინდა 3240 მან. საქონლის დანაკლისი. ბუღალტერ-რევიზორი ამირაგოვი, რომელმაც გამოარკვია დანაშაულის ფაქტი, შეუთანხმდა მაღაზიის გამგეს იაკუბოვს, ხელოვნურად გაზარდა საქონლის ნაშთი და, ამრიგად, შეეცადა დაეფარა დანაშაულის კვალი. ორივე ისინი მიცემული არიან პასუხისგებაში.

სავაჭრო ქსელში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი შემთხვევები, როცა ვაჭრობენ უფაქტურო საქონლით, ზომა-წონაში ატყუებენ მომ-

ხმარებელს, საქონელს ყიდიან გადიდებულ, პრეისკურანტთან შეუსაბამო ფასებში, უხეშად ეპყრობიან მომხმარებლებს. საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს კონტროლი ვაჭრობასა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა, მათი ბაზებისა და საწყობების მუშაობისადმი, გაუმჯობესდეს აღმზრდელობითი მუშაობა ვაჭრობის მუშაკთა შორის, შეიქმნეს ისეთი ვითარება, რომ გამოირიცხოს ბოროტმოქმედების ყოველგვარი შესაძლებლობა. სოციალისტური მართლწესრიგის ბოროტეული დარღვევაა სპეკულაცია. ჩვენს ქალაქში არიან ადამიანები, რომლებმაც თავიანთ პროფესიად გაიხადეს სპეკულაცია, იმ საქონლის ყიდვა-გაყიდვა, რომლითაც მრეწველობა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს. ეს „საქმოსნები“ სხვადასხვა ხრიკს მიმართავენ. მაგალითად, გასული წლის დამლევს, გამოაშკარავეს სპეკულანტთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ შაოშვილი, ემეცი, დედიაშვილი, კოვალი და სხვები. ისინი მოსკოვში დიდძალი რაოდენობით სისტემატურად ყიდულობდნენ სხვადასხვა საქონელს და საფოსტო ამანათებით გზავნიდნენ თბილისში. დაბრუნების შემდეგ ამანათებს იღებდნენ კავშირგაბმულობის განყოფილებაში, სადაც სათანადო კონტაქტი დაამყარეს ფოსტის მუშაკებთან. ამ საქმის გამო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია 11 კაცი.

შემდეგ ამხ. მელაძე ლაპარაკობს საქალაქო საბჭოს აღმასკომის სავალდებულო დადგენილებაზე ქუჩაში გამავალი აივნების, ღია ლოჯების მოვლის შესახებ, ქალაქის სანიტარულ მდგომარეობაზე, უბილეთო მგზავრობაზე.

როგორც მომხსენებელი აღნიშნავს, დამნაშავეობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა ლიკვიდაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების გამართულ საქმიანობას.

არის შემთხვევები, როცა მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები მეტისმეტად აჭიანურებენ საქმეთა გამოძიებას და განხილვას. მაგალითად, გასული წლის 23 ნოემბერს ორჯონიკიძის რაიონის მილიციის განყოფილების თანამშრომლებმა შეამოწმეს მოქალაქეების კოხრეიძისა და ტაბატაძის ბინები, სადაც ქურდობა მოხდა. რატომღაც ეს შემთხვევა არ აიყვანეს აღრიცხვაზე და გამოძიება არ მომხდარა.

ხშირად სასამართლოებს დაუსაბუთებლად გამოაქვთ ლმობიერი განაჩენი ბრალდებულთათვის, რომლებმაც მძიმე დანაშაული ჩაიდინეს. 1962 წლის ივლისში ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ მოისმინა ნინო მოწონელიძისა და ქრთამის მიმცემთა — ზინაიდა გრიგალაშვილისა და იოსრამ ტრაპაიძის საქმე. მოწონელიძე ატყუებდა დოყლაპია მოქალაქეებს, ვითომ ის დაკავშირებული იყო ხელმძღვანელ მუშაკებთან და შეეძლო მათი დაკმაყოფილება ბინებით. ამგვარად, ნინო მოწონელიძემ ზ. გრიგალაშვილსა და ი. ტრაპაიძეს დასტყუა 21 ათასი მანეთი, აგრეთვე სხვა მოქალაქეებს ნახევარ მილიონ მანეთამდე. სახალხო სასამართლომ მას მეტად ლმობიერი სასჯელი გამოუტანა.

მომხსენებელი ლაპარაკობს საპასპორტო რეჟიმის დაცვის საკითხებზე. ზოგიერთი საწარმოს, დაწესებულებისა და განსაკუთრებით სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელები უგულებელყოფენ სადირექტივო ორგანოების დადგენილებებს — სამუშაოზე იღებენ პირებს, რომლებიც თბილისში ჩაწერილი არ არიან. ამის შედეგად ჩვენს ქალაქში ცხოვრობს ჩაუწერელ პირთა მნიშვნელოვანი რაოდენობა. საპასპორტო რეჟიმის დაცვისათვის ბრძოლაში უფრო ფართოდ უნდა ჩავაბათ ქალაქის საზოგადოებრიობა, ქუჩის კომიტეტები, მათი აქტივი.

მოხსენების დასასრულს ამხ. ა. მელაძემ აღნიშნა, რომ საჭიროა ვიბრძოლოთ კანონიერების განმტკიცებისათვის, მკვეთრად შევამციროთ, ხოლო შემდეგ აღმოვფხვრათ დამნაშავეობა, გავწმინდოთ საბჭოთა საზოგადოება ყველაფრისაგან, რაც ხელს უშლის მას კომუნიზმის მშენებლობაში.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა ფართო ფენების აქტიურად ჩაბმის საკითხებზე ილაპარაკა თავის თანამოხსენებაში თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ბ. კუხიანიძემ. მან აღნიშნა, რომ პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ბევრი რამ გაკეთდა კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის პრინციპების დამკვიდრებისათვის. საგრძნობლად შემცირდა სხვადასხვა დანაშაულობანი. ლიკვიდირებულია მათი წარმომშობი ცალკეული მიზეზები. შემცირდა ხულიგნობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა რიცხვი.

შეეხო რა დიდსა და სასარგებლო მუშაობას, რასაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ეწევიან სახალხო რაზმეულები, ამხ. კუხიანიძემ აღნიშნა, რომ ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ ცუდად არის დაკავშირებული მოსახლეობასთან, ხშირად არ იცის საქმის ვითარება მიკრორაიონებში, არ სწავლობს პირობებს, რომლებიც ხელს უწყობენ სამართლის დარღვევას; საწარმოთა და დაწესებულებათა ზოგიერთი ხელმძღვანელები რაზმელებად გამოჰყოფს შეუმოწმებელ პირებს, რომლებიც ხშირად თვითონ არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს.

საჭიროა გაუმჯობესდეს ამხანაგური სასამართ-

ლოების მუშაობა. ქალაქის ბევრ საწარმოში და მშენებლობაზე ასეთი სასამართლოები ან არ არსებობენ, ან უმოქმედობენ.

ჯერჯერობით ცუდად მუშაობს ქალაქის ტრანსპორტი — ხშირია ავარიათა რაოდენობა, უბილეთოდ მგზავრობა, ავტოსატრანსპორტო და მოძრაობის წესების დარღვევები და სხვა დანაშაულობანი. ხშირად ქალაქში ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტი გამოდის. არ არის ჯეროვანი კონტროლი ავტო-სატრანსპორტო ორგანიზაციებისადმი.

საჭიროა ყოველმხრივ გაძლიერდეს აღმზრდელობითი მუშაობა მოსწავლე ახალგაზრდობაში. სკოლა და მშობლები არ არიან მჭიდრო კავშირში, არ იგრძნობა მშობელთა საბჭოს როლი. ამიტომ ზოგიერთი მოსწავლე სერიოზულად არღვევს სამართალს.

თანამომხსენებელი ეხება იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ გააჩნია მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებს. არის შემთხვევები, განაგრძობს ამხ. კუხიანიძე, როდესაც ამ ორგანოებში საქმეთა განხილვა ჭიანურდება, ადგილი აქვს ლმობიერი განაჩენის გამოტანის შემთხვევებს. ქ. თბილისის ოდესის ქ. № 5-ში მცხოვრებ 23 წლის ახალგაზრდამ დავით დარჩიამ, რომელიც არც სწავლობს და არც მუშაობს, მოწყვეტილია ყოველგვარ საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობას, 1962 წლის ზაფხულში მოტყუებით თავისთან შეიყვანა მეზობლად მცხოვრები ს. ა.-ის 5 წლის გოგონა. აღვირახსნილმა ხულიგანმა მასთან დაიკმაყოფილა სქესობრივი ჟინი. დანაშაულში მხილებული დარჩიას მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ გაუგებარი მიზეზების გამო ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ ბოროტმოქმედ დარჩიას მხოლოდ 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

საჭიროა გაუმჯობესდეს სკოლების კავშირი მილიციის საბავშვო ოთახებთან, აუცილებელია გავუწიოთ დახმარება მის მუშაკებს აღმზრდელობით მუშაობაში. სჯობს წინასწარ აღვკვეთოთ სამართლის დარღვევა, ვიდრე ვიზრუნოთ დამნაშავეების ხელახალი აღზრდისათვის შრომაგამასწორებელ დაწესებულებებში.

მოხსენებისა და თანამომხსენების შემდეგ კამათში გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც აშკარად ფეხქვეშ თელავს საზოგადოებრივ ინტერესებს უფრო წარმატებით განხორციელდება, თუ ადმინისტრაციული ორგანოები, საზოგადოებრიობა უფრო სწრაფად, ოპერატიულად გამოეხმაურება ანტისაზოგადოებრივ მოქმედებათა ფაქტებს. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ბრძოლა ყოველი საბჭოთა ადამიანის წმიდათა წმიდა მოვალეობაა.

სახალხო რაზმეულების შექმნა, — ამბობს დეპუტატი ო. დგებუაძე,—მეტად დროული და საჭირო იყო. ბოლოს და ბოლოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ბრძოლა იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც თავიანთი უზნეო ქცევით აფერხებენ ჩვენი ხალხის ძლევამოსილ წინსვლას კომუნიზმისაკენ, მთლიანად ხალხის, ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელში უნდა გადავიდეს. ჩვენს ქალაქში 17 ათასი რაზმეულია. ეს დიდი ძალაა, მაგრამ იგი მისი საქმიანობით უფრო ეფექტური იქნება, თუ მათ მხარს დაუჭერენ მშრომელები, თუ ისინი აქტიურად დაეხმარებიან მილიციის ორგანოებს მუშაობაში. ზოგიერთი რაზმელი ხულიგნების წინააღმდეგ მებრძოლად ვერ გამოდგება. იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელები, რომლებიც რაზმელებს გამოჰყოფენ მხოლოდ იმიტომ, რომ ვალდებულება მოიხადონ, არ არიან ჩვენი ქალაქის პატრიოტები. ჩვენ არ გვაინტერესებს მათ მიმართ რა ჩანაწერები გვაქვს, ჩვენ გვაინტერესებს სანიმუშო წესრიგი, რომელიც ჩვენს ქალაქში ჯერჯერობით არ არის.

დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში დიდ მუშაობას ეწევა მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები. განსაკუთრებით დიდი ღონისძიებანი გატარდა, — ამბობს ქ. თბილისის პროკურორი ა. ტაკიძე, — გაფლანგვა-მტაცებლობის, მექრთამეობის, სპეკულაციისა და სხვა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მაგრამ მათ მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. პროკურატურის ორგანოებმა ვერ მიაღწიეს ისეთ მდგომარეობას, რომ არც ერთი დანაშაული არ დარჩეს გამოუმჟღავნებელი.

დანაშაულისა და მისი გამომწვევი მიზეზების ლიკვიდაცია, განაგრძობს ამხ. ტაკიძე, წარმოუდგენელია საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობის გარეშე. ზოგიერთი მოქალაქე დახმარებას არ უწევს საგამომძიებლო ორგანოებს, ხელს უშლის ჭეშმარიტების დადგენაში, ზოგჯერ მოწმეები და დაზარალებულები ფულზე ყიდიან თავიანთ სინდისს და სიცოცხლესაც კი. სასტიკად უნდა აგოს პასუხი ყველამ, ვინც კი შეეცდება დამნაშავის დაფარვას, ხელს შეუშლის ძიებას ჭეშმარიტების დადგენაში, ვინც პროტექციითა და მეგობრობით ან სხვა ქვენაგრძნობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდილობს მიჩქმალოს დანაშაული. ყველა უნდა გრძნობდეს, რომ დამნაშავეს ოჯახშიაც არ ეყოლება მფარველი. საზოგადოებამ ფაქტის წინაშე უნდა დააყენოს ყოველი მოქალაქე, დაარწმუნოს, რომ კანონის წინაშე ყველა თანაბარია, ვაიძულოთ რომ პატივს სცემდნენ კანონს.

ფაქტები მოწმობენ, — თქვა ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსმა, დეპუტატმა ა. ოსეფაიშვილმა, — რომ მილიციის მუშაკებს ჯერ არ დაუმყარებიათ ჯეროვანი კონტაქტი საზოგადოებრიობის ფართო ფენებთან. ხშირად იგრძნობა გულგრილობა, არაოპერატიულობა მილიციის აპარატის მუშაობაში. უნდა გაძლიერდეს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა პირად შემადგენლობაში. აღარ შეიძლება შევურიგდეთ ისეთ ადამიანებს მილიციის მუშაკთა რიგებში, რომლებიც არღვევენ სოციალისტურ კანონიერებას, ბოროტად იყენებენ სამსახურებრივ მდგომარეობას.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე დეპუტატებმა ა. კორშიამ, ვ. მურავლიოვამ, მ. მირიანაშვილმა, ც. ქოჩეჩაშვილმა და გ. ვარდოსანიძემ.

სესიამ მიიღო ვრცელი გადაწყვეტილება განხილულ საკითხზე.

ლ. ისაკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგი ტრადიციის დასაწყისი

1 ივნისი. დღის 12 საათია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო დარბაზი ხალხით ივსება. შეკრებილნი გულთბილად საუბრობენ; ბევრი ეტყობა დიდი ხანია არ შეხვედრიან ერთმანეთს და მართლაც, აქ შეიკრიბნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები 1922 წლიდან. ეს საინტერესო ღონისძიება მოაწყო სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანატმა.

საზეიმო, საქმიანი შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, დოც. **გ. ინწკირველმა.**

— ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, — აღნიშნა გ. ინწკირველმა, — სხვადასხვა უბანზე კეთილსინდისიერად მოღვაწეობენ ხალხის საკეთილდღეოდ, ეწევიან ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას. მათი მუშაობა უფრო ნაყოფიერი, მრავალფეროვანი და ხალისიანი რომ გახდეს, მეცნიერება და პრაქტიკა ერთმანეთს რომ მეტად დაუახლოვდეს, გადავწყვიტეთ ყოველი წლის პირველ ივნისს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ყველა წლების გამოშვების ყოფილი სტუდენტები შევიკრიბოთ, გავუზიაროთ ერთმანეთს მუშაობის გამოცდილება, მიღებული პრაქტიკა, კარგი მუშაობა მოვიწონოთ, მისაბაძი გავხადოთ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის წარსულზე და აწმყოზე ვრცელი მოხსენება გააკეთა დოც. **ვ. ფარქოსაძემ.** მომხსენებელმა მოაგონა იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს სუფთა გრძნობებით აღსავსე სასიხარულო წლები სტუდენტობისა, ღირსშესანიშნავი დღე იურიდიულ ფაკულტეტზე სასწავლებლად ჩარიცხვისა. მან გაიხსენა მეცნიერებისა და კულტურის დიდი კერის, ქართველი ერის სიამაყის — უნივერსიტეტის შექმნის ისტორია და იურიდიული ფაკულტეტის ჩამოყალიბება; მოაგონა თავდადებული და მადლიანი წინაპრები, რომლებსაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართული უნივერსიტეტის შექმნაში. ესენი იყვნენ დიდი ქართველი მეცნიერები: უნივერსიტეტის ფუძემდებელი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი, პროფ. პროფ. შ. ნუცუბიძე, ი. ყიფშიძე, აკ. შანიძე, ელ. ჩიჯავაძე, ექვთ. თაყაიშვილი, პ. მელიქიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ა. რაზმაძე და სხვ. სათავეში თავიდანვე მძლავრ მეცნიერთა კოლექტივის ჩადგომამ უნივერსიტეტს დიდი ავტორიტეტი მოუპოვა. ეკონომიური ფაკულტეტის შექმნის სამზადისთან დაკავშირებით 1920-21 წლებში უნივერსიტეტის მოწვევით რუსეთიდან საქართველოში ჩამოვიდა ცნობილი მეცნიერი ლ. ანდრონიკაშვილი, რომელსაც მიენდო საფუძველი ჩაეყარა მომავალი იურიდიული დარგისათვის. იგი თავგამოდებით ცდილობდა გამოყოფილიყო ცალკე ფაკულტეტის სახით ეკონომიურ და იურიდიულ მეცნიერებათა ჯგუფი და შედეგსაც მიაღწია. 1922 წლის შემოდგომიდან იხსნება სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტი, სადაც ლექციებს კითხულობენ: ივ. ჯავახიშვილი, შ. ნუცუბიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ლ. ანდრონიკაშვილი (სამართლის თეორია და სამოქალაქო სამართალი), დ. უზნაძე, კ. კეკელიძე (ბიზანტიის სამართალი), ღამბაროვი (რომის სამართალი) და სხვ.

ამ ფაკულტეტზე სამუშაოდ მოიწვიეს პროფ. ალ. ვაჩეიშვილი, დოც. გ. გეხტმანი, გ. ტატიშვილი, სამოქალაქო სამართლის კათედრაზე გრ. რცხილაძე. ამ კათედრაზე 1923 წელს ფაკულტეტიდან დატოვილი იქნა ი. მრევლიშვილი, ხოლო 1924 წელს — ფ. გოკიელი.

1934 წელს მშენებლობისა და სამართლის ფაკულტეტი „სამართლის ფაკულტეტად“ გარდაიქმნა, ხოლო 1936 წელს მას დაერქვა „იურიდიული ფაკულტეტი“.

ამხ. ვ. ფარქოსაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის კედლებში არიან აღზრდილნი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ი. დოლიძე, იურიდიული მეცნიერების პირველი ქართველი დოქტორი ქალი პროფ. თ. წერეთელი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ბ. ფურცხვანიძე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ივ. სურგულაძე და სხვ.

იურიდიულ მეცნიერებაში ნაყოფიერად მუშაობენ დოცენტები ნ. ლომსაძე, ი. მრევლიშვილი, გ. ნეიძე, ს. ჯორბენაძე, გ. ინწკირველი, ლ. ალექსიძე, ვ. აბაშმაძე, ა. ფალიაშვილი და სხვ. იურიდიული მეცნიერების კანდიდატები: აკ. კარანაძე, დ. ცინცაძე, ნ. კორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძაია-სამადაშვილი, ს. ჯაფარიძე, მ. ლეკვეიშვილი, გ. ტყეშელიაძე, გ. ნადარეიშვილი, მ. კომახიძე, თ. ლილუაშვილი, უ. ბახტაძე და სხვ.

მომხსენებელმა ილაპარაკა იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა პრაქტიკული მუშაკების, იმ მრავალრიცხოვანი არმიის შესახებ, რომლებიც ამჟამად მთელი მონდომებით და მუყაითი შრომით ასრულებენ საპასუხისმგებლო სახელმწიფოებრივ საქმიანობას და მტკიცედ დგანან სოციალისტური მართლმსაჯულების სადარაჯოზე. მან აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ პროკურორი პ. ბერძენიშვილი ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შორის პირველია, რომელიც ამ თანამდებობაზე მუშაობს. ფაკულტეტი ასახელეს აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. მაისურაძემ, დიდი ხნის პრაქტიკოსმა მუშაკებმა გრ. ბიწაძემ, ს. ქაჯაიამ, გ. იოსავამ, ვ. ხმალაძემ, ჯ. ბაჯელიძემ, პარტიული მუშაობის ხაზით — მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დირექტორმა ვ. მერკვილაძემ, აკ. გობრონიძემ, რომელიც რამდენიმე წლის მანძილზე პარტიის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა. ადვოკატურის ხაზით ნაყოფიერად მუშაობენ ფაკულტეტის კურსდამთავრებულები: ნ. დავითაია, ბ. ხომერიკი, გ. საგინაშვილი, უშ. კაპანაძე; უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, იურიდიული მეცნიერების კანდიდატი რ. კომახიძე აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეა.

მოხსენების დასასრულს ამხ. ვ. ფარქოსაძემ უსურვა რა წარმატებები მის კოლეგებს, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა იურიდიული ფაკულტეტის დაარსებიდან დღემდე 2 000-ზე მეტი სპეციალისტი მოამზადა.

საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების მუშაკთა სახელით ქართველ იურისტებს მიესალმა საქართველოს სსრ პროკურორი **პ. ბერძენიშვილი.**

ნამდვილად მადლობას იმსახურებს სახელმწიფო უნივერსიტეტის მთელი კოლექტივი, — აღნიშნა პ. ბერძენიშვილმა, — პირველ რიგში ამ შეკრების ინიციატორი — იურიდიული ფაკულტეტი, მისი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებმაც კიდევ ერთხელ გამოხატეს ყურადღება და ზრუნვა თავისი აღზრდილებისადმი, გამოხატეს პატივისცემა იურიდიული საზოგადოებრიობისადმი, რომელიც დიდ როლს ასრულებს საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

ეს შეხვედრა მრავალმხრივ არის საგულისხმო და საინტერესო. სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულები პირველად წარდგნენ საქმიანობის ერთგვარი კოლექტიური ანგარიშით აღმზრდელი უმაღლესი სასწავლებლის წინაშე, საყვარელი პროფესორ-მასწავლებლების წინაშე.

ქართველი იურიდიული საზოგადოებრიობის შეხვედრას ესწრება საქართველოში მომუშავე იურისტთა უმრავლესობა, ყველა ადმინისტრაციული ორგანოს მუშაკი და ეჭვი არ უსდა ვიქონიოთ, რომ ეს შეხვედრა ნაყოფს გამოიღებს, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იურიდიული ფრონტის თეორიული და პრაქტიკული მუშაკების კავშირის შემდგომ განმტკიცებას, საფუძველს ჩაუყრის პრაქტიკასთან, ცხოვრების მოთხოვნილებასთან თეორიის კიდევ უფრო მეტ დაახლოებას.

დიდია მოთხოვნები რაც ბოლო წლებში პარტიამ წაუყენა სასამართლოს, პროკურატურის, მილიციის, ადვოკატურის ორგანოებს მართლმსაჯულების სწორად განხორციელებისათვის, სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. ასეთ წარმომადგენლობით შეხვედრაზე იურისტებს შესაძლებლობა ექნებათ განიხილონ ისეთი აქტუალური პრობლემები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მთელი საზოგადოებრიობის დარაზმვას, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, იმსჯელონ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის სრულყოფის საკითხებზე და სხვა. პ. ბერძენიშვილმა ხაზი გაუსვა სახელმწიფო უნივერსიტეტის განუზომელ მნიშვნელობას ქართველი ხალხის სულიერი კულტურის განვითარებაში, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღმავლობაში. მან აღნიშნა, სოციალ-ეკონომიური და იურიდიული ფაკულტეტების ის უდიდესი მნიშვნელობა, რაც მათ შეასრულეს კვალიფიციური იურისტების გამოზრდისათვის, სწავლულ იურისტთა ეროვნული კადრების მომზადებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის სამინისტროებსა, უწყებებსა და წარმოება-დაწესებულებებში ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან უნივერსიტეტის კედლებში აღზრდილი იურისტები. საამაყოა, რომ დღეს რესპუბლიკაში სამეცნიერო კვლევით მუშაობას ეწევა მეცნიერების ათამდე დოქტორი, იურიდიული მეცნიერების კანდიდატის ხარისხი აქვს 50-დე კაცს. ახლა უკვე აღარავის აკვირვებს, რომ ქართველი სწავლული იურისტების რეზონანსი გასცდა საკავშირო მასშტაბს და უცხოელთა აღიარებაც ჰპოვა.

პ. ბერძენიშვილმა დიდი სიყვარულით და პატივისცემით მოიხსენია ძვირფასი სახელები იმ ადამიანებისა, რომლებმაც უდიდესი ამაგი დასდეს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულ-

ტეტს. ესენი იყვნენ უაღრესად განათლებული და დიდი ერუდიციის მქონე ქართველი მეცნიერები, პროფესორები ლ. ანდრონიკაშვილი, ზ. ნანეიშვილი, ირ. სურგულაძე და სხვები, რომლებიც ნიმუში იყვნენ თავიანთი აღზრდილებისათვის; უჩვენებდნენ მათ გულისხმიერებას, სათნოების, პატიოსნების, დაუცხრომელი შემოქმედებითი შრომის ბრწყინვალე მაგალითებს.

პ. ბერძენიშვილი შეჩერდა რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებში მომუშავე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებზე, რომლებიც კეთილსინდისიერად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

თავისი სიტყვის დასასრულს პ. ბერძენიშვილმა რწმენა გამოთქვა, რომ ეს შეხვედრა ტრადიციული გახდება.

იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სახელით დამსწრე საზოგადოებას მიესალმა პროფ. ივ. სურგულაძე. მან ხაზგასმით აღნიშნა თუ რა დიდია იურისტის როლი თანამედროვე საზოგადოებაში, ილაპარაკა იმ ამოცანებზე რაც აკისრიათ საბჭოთა იურისტებს კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში და აღნიშნა, რომ ამ საპატიო მოვალეობას პირნათლად ასრულებენ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულები.

საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობის სრულყოფისა და სიახლის საკითხებზე შეკრებილთ ესაუბრა დოც. ს. ჯორბენაძე. მან გააკეთა მოკლე მიმოხილვა სამოქალაქო კანონმდებლობის განვითარების ეტაპების შესახებ. ამავე დროს შეეხო მოქალაქეთა პირადი საკუთრების, მემკვიდრეობის საკითხს, ვალდებულებითი სამართლის გამოყენების სფეროს, ხაზი გაუსვა სამოქალაქო კანონმდებლობაში შეტანილ არსებით ცვლილებებს და სხვ.

დამსწრეთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა ადვოკატმა ვ. კეკელიამ. მოიწონა რა ეს კარგი ღონისძიება, შემოიტანა წინადადება, რომ თეორიული და პრაქტიკული მუშაკების ურთიერთდაკავშირებისათვის ხშირად მოეწყოს ასეთი შეხვედრები და ამ შეხვედრებზე წამოჭრილი საკითხები გადავაქციოთ საჯარო პაექრობის საგნად.

საღამოს დასასრულს გამოქვეყნდა იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა მიერ გამოგზავნილი დეპეშები და წერილები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა შეკრების მუშაობა შეაჯამა დოც. გ. ინწკირველმა.

მ. ვაყელიშვილი,

დ. ნანოგაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული კომიტეტი ისილავს რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის საკითხს

საქართველოს სსრ პროკურატურის, უმაღლესი სასამართლოსა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ბრიგადამ მახარაძის რაიონში შეამოწმა პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოების მუშაობა.

შემოწმების შედეგები განიხილა საქართველოს კპ მახარაძის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს კომიტეტის ბიურომ.

რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის შესახებ პარტიული კომიტეტის ბიუროს ინფორმაცია გაუკეთეს: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა თ. პაიჭაძემ, რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორმა გ. კერესელიძემ.

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ პარტიული კომიტეტის ბიუროს ახსნა-განმარტება მისცეს: რაიონის პროკურორმა ე. გოგუაძემ, სახალხო მოსამართლემ ნ. ელიაძემ, მილიციის განყოფილების უფროსმა ე. ჩხიკვიშვილმა, პროკურატურის გამომძიებელმა მ. რუსიეშვილმა.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს პარტიული კომიტეტის ბიუროს წევრებმა: მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. გობრონიძემ, პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ ა. თოიძემ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსმა ვ. ჯაველმა, პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. თოხაძემ, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ვ. მაისურაძემ, საქართველოს სსრ პროკურორმა პ. ბერძენიშვილმა.

პარტიული კომიტეტის ბიურომ აღნიშნა რაიონის პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოების დადებითი მუშაობა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში.

წინა წლებთან შედარებით საზოგადოებრიობა უფრო ფართოდ მონაწილეობს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში, გაუმჯობესდა სახალხო რაზმეულების, ამხანაგური სასამართლოების მუშაობა.

პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები შეუნელებელი ყურადღებით ეკიდებიან და სათანადო დახმარებას უწევენ ადმინისტრაციულ ორგანოებს, ატარებენ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით.

გაუმჯობესდა საბჭოთა კანონიერების პროპაგანდა. პროკურატურის, სასამართლოს, მილიციის პასუხისმგებელი მუშაკები გამოდიან ლექცია—მოხსენებით წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აქვეყნებენ წერილებს ადგილობრივ პრესაში.

ამასთანავე ერთად პარტიული კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ პროკურატურის, სასამართლოს, მილიციის ორგანოებს მუშაობაში მთელი რიგი ნაკლოვანებები აქვთ.

მილიციის, პროკურატურის ზოგიერთი მუშაკი მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, რის გამოც ადგილი აქვს დანაშაულის დროულად გაუხსნელობის, სისხლის სამართლის საქმეთა უხარისხოდ გამოძიების, ვადების დარღვევის შემთხვევებს.

იშვიათად ეწყობა სასამართლოს გამსვლელი სესიები. ზოგიერთმა სახალხო მოსამართლემ, ჯერ კიდევ, ვერ მიაღწია განაჩენების, გადაწყვეტილებების სტაბილობას. ამ მხრივ ცუდი მაჩვენებლები აქვთ სახალხო მოსამართლეებს ნ. ელიაძეს და ვ. ტაბიძეს.

პარტიული ორგანიზაციების სადაბო, სასოფლო საბჭოების ერთი ნაწილი სისტემატურად არ იხილავს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობის საკითხებს, ადმინისტრაციულ ორგანოებს არ უწევენ დახმარებას და მათთან ერთად არ ქმნიან შეურიგებლობის, შეუწყნარებლობის ატმოსფეროს იმ პირების მიმართ, რომლებიც გაურბიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, არაშრომითი შემოსავლით იშენებენ ბინებს და სხვა.

პარტიული კომიტეტის ბიურომ მიიღო ვრცელი დადგენილება, რომელიც უზრუნველყოფს რაიონის პროკურატურის, სასამართლოს, მილიციის ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებას, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციების აქტიურ მონაწილეობას სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისა და სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად პარტიულ ორგანიზაციებს —საქალაქო, სადაბო საბჭოების აღმასკომებს დაევალათ რეგულარულად განიხილონ პარტიულ კრებებზე, სესიებზე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხები, მიიღონ ზომები ამ მიმართებით არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის. ასევე გააძლიერონ იმ კომისიების მუშაობა, რომლებიც სწავლობენ არა შრომითი შემოსავლით აშენებული სახლების საკითხებს, მათი დროულად ჩამორთმევისა და ასეთის საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე გადაცემის შესახებ.

სარაიონთაშორისო გაზეთ „ლენინის დროშის“ რედაქციას, საკოლმეურნეო მრავალტირაჟიანი გაზეთების რედკოლეგიებს დაევალათ სისტემატურად გამოაქვეყნონ გაზეთის ფურცლებზე სოციალისტური კანონიერების საკითხები, განაზოგადონ სახალხო რაზმეულების, ამხანაგური სასამართლოების მუშაობა, მკაცრად ამხილონ ის პირები, რომლებიც გაურბიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და სხვა.

ვ. გოგუაძე.

ახალი წიგნები

ნაყოფიერი მეცნიერული-კვლევითი მუშაობა წარმოებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის განყოფილებაში. მიმდინარე წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოსცა სამი მონოგრაფია, დაწერილი ამ განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის დოცენტ გ. ყვანიას მონოგრაფიაში „სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი“ განხილულია ნეიტრალიტეტის საერთაშორისო-სამართლებრივი ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიული პროცესი, მოცემულია ნეიტრალიტეტის კოდიფიცირებული სამართლის კრიტიკული ანალიზი. წიგნში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნეიტრალიტეტის მნიშვნელობას საყოველთაო უშიშროების სიტემაში და ამ თვალსაზრისით — სახელმწიფოს მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსს.

წიგნი გათვალისწინებულია როგორც სპეციალისტებისა და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასევე თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

წიგნი შედგება შესავლისა და 6 თავისაგან, შეიცავს 220 გვერდს და ღირს 85 კაპიკი.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის მ. ლეკვეიშვილის მონოგრაფია „სასამართლო პროცესი XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში“ განიხილავს სამართლის წარმოების წესს გვიანფეოდალურ აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ამ საუკუნეებში გაბატონებული იყო პროცესის საბრალდებო ფორმა და აგრეთვე სამძებრო პროცესის ელემენტები სასამართლო პროცესში.

შრომაში ყურადღება აქვს დათმობილი ფეოდალური საქართველოს სასამართლო პროცესში მიღებულ მტკიცების სხვადასხვა საშუალებათა შესწავლას. არსებული დამამტკიცებელი საბუთებიდან განხილულია ორდალები, ფიცი, მოწმის ჩვენება, წერილობითი დამამტკიცებელი საბუთები და სხვა.

წიგნი შედგება შესავლისა და ორი თავისაგან, შეიცავს 110 გვერდს და ღირს 37 კაპიკი.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის გ. ნადარეიშვილის მონოგრაფიაში „ფიცი, როგორც მტკიცებულება, ქართული სამართლის წიგნების მიხედვით“, განხილულია ფეოდალურ საქართველოში ფიცის, როგორც დამამტკიცებელი საბუთის ადგილი და მნიშვნელობა სხვა მტკიცებულებათა სისტემაში. ნაშრომში გამოყენებულია როგორც გამოქვეყნებული დოკუმენტები, ასევე საარქივო მასალები. ავტორის აზრით ქართული სასამართლო პროცესი X-XVIII საუკუნეებში თვითმყოფი განვითარების ისეთ საფეხურს აღწევდა, როდესაც ფიცის გვერდით მოწმის ჩვენების და წერილობითი საბუთების მნიშვნელობაც დიდი იყო.

წიგნი შეიცავს 114 გვერდს და ღირს 40 კაპიკი.

ფასი 50 კაპ. ИНДЕКС 76185

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 4

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической комиссии при Совете Министров
Грузинской ССР